საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 დეკემბერი **ორშაბათი** 2011
№304 (13601) ფასი 80 თეთრი

# სამყაროს რაღაც აკლდა

# სროლები შაშხანის სიზუსტით

## ბოლოს შუშხუნებიც

12





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# ჩვენ კობი გვყავს!

## კობიაშვილს ჰერტას ახალი მწვრთნელიც ენდობა

7







# დიდი ბოქსინგდღე!

ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტურის წინ

5

## რისთვისაც გვიყვარს ეს თამაში

სულ ორიოდე საათი გვეყო იმის გასააზრებლად, რას ვკარგავდით კალათბურთელებისა და კლუბების მფლობელთა სიჯიუტის გამო. საბედნიეროდ, ნბა-ს რიგით 66-ე სეზონი გადარჩა და უჩვეულო დროს, შობა დღეს დიდებულადაც დაიწყო. საქვეყნოდ ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიუ იორკ ნიკსმა“ და „ბოსტონ სელტიკსმა“ მართლაც რომ შოუ აჩუქეს 20 ათასამდე გულშემატკივარს. ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. გადაწყდა მასპინძელთა სასარგებლოდ (106:104) და ეს **კარმელო ენტონიმ** გააკეთა, რომლის ანგარიშზეც 37 ქულა და 8 მოხსნაა. გახსნის მატჩში იყო ყველაფერი, რაც ამართლებს NBA-ს ძველ და ახალ სარეკლამო სლოგანებს: I Love This Game და Where Amazing Happens. დიდებულ დასაწყისს გაგრძელებაც საკადრისი მოჰყვა - შარშანდელი ფინალის რემატჩი - ჩემპიონმა „დალასმა“ ფინალისტ „მაიამის“ უმასპინძლა და 94:105 დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ბლატეროფობია

## კაცი, რომელსაც ყველა აგინებს

9



# როგორ თამაშობენ თამაშებით იტალიაში

## დონიმ წისქვილივით დაფქვა

9

U17. მეტოქეები

# საელიტოდ ყველა დაიქოქა

29 ნოემბერს ნიონში, უეფას შტაბბინაში ასაკობრივ ნაკრებთა შესარჩევი ტურნირების წილისყრა მოეწყო და საქართველოს 17 და 19-წლამდელების საელიტრაუნდო მეტოქეებიც გაირკვა. შეგპირდით, რომ ჩვენი ნაკრებების მზადების პარალელურად, ინფორმაციებს მოწინააღმდეგეთა ბანაკებიდანაც მოგაწვდიდით და დღეს 17-წლამდელთა თემას შევეხებით.

შეგახსენებთ, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც **ვასილ მაისურაძე** წვრთნის, ესპანეთის, ინგლისისა და უკრაინის ნაკრებებს დაუპირისპირდება. ჯგუფი უმძიმესია, მაგრამ ჩვენს შანსებს ის ზრდის, რომ ჯგუფის მატჩებს თბილისი უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე, რომელიც სლოვენიაში ჩატარდება, მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

დავიწყოთ ჯგუფის ფავორიტი ესპანეთით. **სანტი დენიას** გუნდს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ მატჩი არ ჩაუტარებია, მაგრამ იანვრიდან დაწყებული, აქტიური მოსამზადებელი ეტაპი აქვს დაგეგმილი. საქართველოში ჩამოსვლამდე ესპანელები დროის დიდ ნაწილს სამშობლოში გაატარებენ და რამდენიმე სპარინგმატჩს შინ, სავარაუდოდ, "ბარსელონას" საწვრთნელ ბაზაზე ჩაატარებენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელის თქმით, გასვლითი შეხვედრების გამართვაც აუცილებელია და ამ მიზნით თბილისში სტუმრობამდე ცოტა ხნით ადრე პირენეელები რომელიმე აღმოსავლეთევროპულ ქვეყანაში „შეივლიან“.

გავიხსენოთ, რომ მაისურაძის გუნდი ესპანეთის ნაკრებს ბაქოურ ტურნირზე შეხვდა და 1:1 ეთამაშა.

ინგლისელები მინიმუმ ერთ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ **ჯონ პიკოკის** გუნდი ერთ ტესტმატჩს პორტუგალიის ნაკრებთან ჩაატარებს. პიკოკი საელიტრაუნდო მეტოქეებზე ლაპარაკისას მხოლოდ ესპანეთს ახსენებს და ჩვენზე არაფერს ამბობს – არადა, შარშან, შემოდგომაზე, მან თბილისში ინგლისელ 17-წლამდელთა წინა თაობა ჩამოიყვანა, რომელთანაც ჩვენებმა 1:1 ითამაშეს.

ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრებმა წლეულს სულ 25 მატჩი ჩაატარა, რაც სარძნობლად აღემატება ჩვენი ნაკრების მიერ გამართულ შეხვედრათა რაოდენობას.

ესპანელთა და ინგლისელთაგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრებს ერთ-ერთ სახიფათო მეტოქედ ასახელებს უკრაინელ 17-წლამდელთა დამრიგებელი **ალექსანდრ პეტრაკოვი**. მან ნაკრების 22 კანდიდატი კიევის "დინამოს" ბაზაზე შეკრიბა და ახალ წლამდე ინტენსიურად ავარჯიშებს, ამხანაგურად კი მხოლოდ უკრაინის დაბალი ლიგის ერთ-ერთ კლუბს ეთამაშება.

იანვარში უკრაინელები ბელარუსში, საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ, სადაც, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებსაც შეხვდნენ – მინსკში მაისურაძის გუნდიც მიემგზავრება.

პეტრაკოვის 22-კაციან სიაში ქართული წარმოშობის ერთი ფეხბურთელიც არ არის ნახსენები, არადა, ბოლო წლებში უკრაინის ასაკობრივ ნაკრებებში სისტემატურად თამაშობდნენ ქართული გვარის მქონე ჭაბუკები.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვასილ მაისურაძე

ზესტაფონი

# იმერლები და მარბელელები
## ზესტაფონი ძლიერ გარემოცვაში

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "ზესტაფონი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებელ შეკრებას ტრადიციულ ადგილზე, ცნობილ ესპანურ კურორტ მარბელაზე გაივლის. ისევე, როგორც წინა სეზონში, საქართველოს ჩემპიონები თებერვალშიც იასპარეზებენ "მარბელას თასზე", რომელსაც "კოსტა დელ სოლიც" ეწოდება.

ტურნირის წილისყრა ჯერ არ გამართულა. სამაგიეროდ, გაირკვა მისი ჩატარების ვადები და მონაწილე კლუბები. შეჯიბრების ორგანიზატორებმა სათამაშო დღეებად 3, 6 და 9 თებერვალი დაადგინეს, მონაწილე კი კვლავინდებურად რვაა:

**"ზესტაფონი" (ზესტაფონი, საქართველო)**
**"დინამო" (კიევი, უკრაინა)**
**ცსკა (მოსკოვი, რუსეთი)**
**"რუბინი" (ყაზანი, რუსეთი)**
**"კრილია" სოვეტოვი (სამარა, რუსეთი)**
**"რაპიდი" (ბუქარესტი, რუმინეთი)**
**"ლეხი" (პოზნანი, პოლონეთი)**
**"გუანჯოუ" (გუანჯოუ, ჩინეთი)**

"კოსტა დელ სოლი" კვლავ ოლიმპიური სისტემით ჩატარდება და ყველა გუნდს სამი მატჩის გამართვა მოუწევს. მეოთხედფინალებში გამარჯვებულები ბრძოლას ჩემპიონობისთვის განაგრძობენ, დანარჩენები კი V-VIII ადგილებს გაითამაშებენ.

შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" შარშან "მარბელას თასზე" VII ადგილი დაიკავა, თუმცა სამიდან ორ შეხვედრაში ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა. **გია გეგუჩაძის** გუნდი მეოთხედფინალში პრაღის "სპარტასთან" 0:5 განადგურდა, შემდეგ კიევის "დინამოსთან" მხოლოდ პენალტების სერიით დამარცხდა, VII ადგილისთვის მატჩში კი პლოვდივის "ლოკომოტივს" დამაჯერებლად, 3:0 სძლია.

ესპანეთში "ზესტაფონი" სხვა საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებს. იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებსაც ფეროელთა ამჟამინდელი თავკაცი **გიორგი ჭიაბრიშვილი** უცხოურ შეკრებაზე წაიყვანს, რამდენიმე დღეში გაირკვევა. ბუნებრივია, ესპანეთში იმერელთა ყველა ახალწვეული გაემგზავრება, რომელთა გარდა გუნდს მძიმე ტრავმების შემდეგ დაბრუნებულები, **გიორგი ხიდეშელი** და **ზურაბ მენთეშაშვილიც** შეუერთდებიან

"ზესტაფონის" წევრებს საახალწლო არდადეგები 8 იანვარს უმთავრდებათ, რის შემდეგაც შეკრების პირველ ეტაპზე გუნდის სამწვრთნელო შტაბი აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებს. გამორიცხული არ არის, უამინდობის შემთხვევაში "ზესტაფონმა" ესპანეთამდე ხანმოკლე შეკრება თურქეთში გაიაროს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

+1

# მატებაა: ქართველები და პრო

საქართველოში თითებზე ჩამოითვლებიან ის სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს სამწვრთნელო სერტიფიკატს – პროლიცენზიას ფლობენ. რამდენიმე დღის წინ კი მათ რიცხვს **გელა სანაია** შეუერთდა.

შეგახსენებთ, ახალგაზრდა მწვრთნელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად რამდენჯერმე ჩავიდა კიევში, ბოლო ვიზიტისას კი თეორიულ-პრაქტიკული გამოცდები ჩააბარა და თბილისში ლიცენზიით დაბრუნდა.

*"იმის მიუხედავად, რომ კარგად ვიყავი მომზადებული, მაინც ბევრი ვინერვიულე, რადგან გამოცდები ძალიან მკაცრად ტარდებოდა. კიევში დაძაბული კვირა გავატარე, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და შრომა დამიფასდა. პროლიცენზია კედელზე ჩამოსაკიდად არ ამიღია და ახლა იმის იმედი მაქვს, რომ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების საშუალება მომეცემა"*, - გვითხრა სანაიამ.

კიევში სემინარები "დინამოს" ბაზასა და ოლიმპიური მომზადების ცენტრში ჩატარდა. სანაიასთან ერთად პროლიცენზია ცნობილ კლუბებში დასაქმებულმა რამდენიმე სპეციალისტმა მიიღო - მათ შორის მინსკის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **ვადიმ სკრიპჩენკომ**, დონეცკის "მეტალურგის" თავკაცმა **ვლადიმირ პიატენკომ** და სხვებმა. სანაიასთან ერთად პროლიცენზიის მფლობელი გახდა ლატვიაში მომუშავე ქართველი მწვრთნელი **თამაზ პერტია**.

რაც შეეხება სანაიას, იმედს ვიტოვებთ, რომ მის უმუშევრობას წერტილი მალე დაესმება. პროლიცენზიას რომ თავი დავანებოთ, მან საკუთარი კვალიფიკაცია პრაქტიკული საქმიანობითაც დაამტკიცა.

მას შემდეგ, რაც წინა სეზონის მსვლელობისას "სამტრედია" დატოვა,



გელა სანაია

სანაია მცირე ხნით წვრთნიდა ხობის "კოლხეთს", საიდანაც იმიტომ წავიდა, რომ ფოთის "კოლხეთთან" წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და თითქოს ფოთელთა მთავარი მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, თუმცა კარგად გეხსომებათ, რა მოხდა ამის შემდეგ – სიტყვიერი შეთანხმება დაირღვა და სანაიასაც ისღა დარჩენოდა, აქცენტი მთლიანად ცოდნის გაღრმავებაზე გადაეტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რანი ვართ და რა ვღირვართ...

# აქტუალური თემა წლის ბოლოს: ფასები როგორია?

გაილია 2011 წელი, გასახარიც არაერთი გვქონდა და დასანანიც... ქართველი ფეხბურთელების ნაწილი დაფასდა, ნაწილი კი გადაფასდა.

ნიშანდობლივია, რომ წლეულს ჩვენს ფეხბურთელებს ოდნავ მეტი ფასი დაედოთ. პირველად მოხდა, რომ ქართველმა მეკარემ მილიონიანი ზღვარი გადალახა.

წლის ბოლოს "ტრანსფერმარკტმა" ჩვენი მოთამაშეების ფასები დაასახელა.

| | |
|---|---|
| გიორგი ლორია | 800.000 |
| ნუკრი რევიშვილი | 1.200.000 |
| კოკა სეფიაშვილი | 150.000 |
| უჩა ლობჟანიძე | 1.000.000 |
| გურამ კაშია | 2.000.000 |
| აკაკი ხუბუტია | 400.000 |
| ალექსანდრე კვახაძე | 325.000 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | 3.000.000 |
| კახა ალადაშვილი | 350.000 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 750.000 |
| კახა კალაძე | 1,500,000 |
| გია გრიგალავა | 800.000 |
| დავით კვირკველია | 1.000.000 |
| ლაშა სალუქვაძე | 1,000,000 |
| ირაკლი მაისურაძე | 300.000 |
| ჯაბა კანკავა | 400.000 |
| სანდრო კობახიძე | 400.000 |
| ჯანო ანანიძე | 2.000.000 |
| გიორგი განუგრავა | 200.000 |
| სანდრო გურული | 600.000 |
| ბუბა დაუშვილი | 550.000 |
| ლევან კობიაშვილი | 650,000 |
| თორნიკე გორგიაშვილი | 275.000 |
| შოთა გრიგალაშვილი | 450.000 |
| გიორგი ჯანელიძე | 75.000 |
| ნიკა გელაშვილი | 600.000 |
| ლევან მჭედლიძე | 550.000 |
| ლადო დვალიშვილი | 1.200.000 |
| ირაკლი მოდებაძე | 350.000 |
| ოთარ მარცვალაძე | 1.200.000 |
| ალექსანდრე იაშვილი | 525,000 |

**ვინც ნაკრებში არ თამაშობს**

| | |
|---|---|
| გოგიტა გოგუა | 2,000,000 |
| აკაკი გოგია | 750,000 |
| გოჩა ხოჯავა | 700,000 |
| დავით მუჯირი | 400,000 |
| მათე ვაწაძე | 400,000 |
| ზურაბ არზიანი | 275.000 |

ყველაზე ძვირადღირებულ ქართველ ფეხბურთელთა სია კი ასეთია:

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრე ამისულაშვილი | 3.000.000 |
| 2-5. ჯანო ანანიძე | 2.000.000 |
| გოგიტა გოგუა | 2,000,000 |
| გურამ კაშია | 2.000.000 |
| გიორგი ჭანტურია | 2.000.000 |
| 6. კახა კალაძე | 1,500,000 |
| 7-9. ნუკრი რევიშვილი | 1.200.000 |
| ლადო დვალიშვილი | 1.200.000 |
| ოთარ მარცვალაძე | 1.200.000 |
| 10-11. უჩა ლობჟანიძე | 1.000.000 |
| დავით კვირკველია | 1.000.000 |

**მერაბ მამულაშვილი**



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


აკაკი ხუბუტია

# რა გვაკლდა? რწმენა, სითამამე და თავხედობა, რა თქმა უნდა, სპორტული

საქართველოს ნაკრების 25 წლის მცველი **აკაკი ხუბუტია** რუმინული "გაზ მეთანიდან" თურქულ "სამსუნსფორში" სეზონის მიმდინარეობისას გადავიდა. აკაკის ორიოდე დღით თბილისში ჩამოსულს შევხვდით.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩეხი მენეჯერი **დალიბორ ლაჩინა** (რომელიც მისი აგენტია) იმედოვნებდა, რომ ქართველ მცველს ბუნდესლიგის "ვოლფსბურგში" გადაიყვანდა, მაგრამ აკაკი "სამსუნსფორში" აღმოჩნდა. ხუბუტია ამბობს, რომ ეს იყო სვლა, რომლითაც კარიერაში უფრო სერიოზული წინსვლის იმედი გაუჩნდა.

*"რუმინეთის ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისაა, მაგრამ მენეჯერმა მითხრა, რომ იქიდან პირდაპირ ბუნდესლიგაში მოხვედრა მაინც ძნელი იქნებოდა. ამიტომ "გაზ მეთანიდან" ჯერ თურქეთში გადამიყვანა, საიდანაც გერმანიაში მოხვედრა უფრო ადვილია. "სამსუნში" რუმინელებმა ერთწლიანი იჯარით გამიშვეს, მერე კონტრაქტიც მიმთავრდება და იმედიანად ვარ – 25 წლისა საქართველოს ნაკრების წევრი ვარ, ვთამაშობ თურქეთის ჩემპიონატში და რატომ არ უნდა მქონდეს უკეთეს ლიგაში თამაშის იმედი? ახლა ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა, რაც "სამსუნში" მაქვს და იმედია, ასეც გაგრძელდება,"* – ამბობს აკაკი.

ხუბუტია "სამსუნში" ტრავმირებული ჩაირიცხა. ცხადია, ამის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა: *"მეოთხე თვეა, რაც თურქეთში ვარ და გუნდთან და ჩემპიონატთან ადაპტაციის პერიოდი უკვე გავიარე. მაგრამ თავიდან ტრავმირებული ჩავედი და თამაშები გამოვტოვე. აღდგენითი პროცესი რომ დავასრულე, მწვრთნელმა შემადგენლობაში დამაყენა და გოლიც გავიტანე. მაგრამ საბერძნეთთან სანაკრებო შეხვედრის მერე გუნდში დაბრუნებული არ მათამაშა და იმ დღეს 0:3 წავაგეთ. მწვრთნელს დაველაპარაკე და ამიხსნა, ტრავმის გამო მოსამზადებელი ეტაპი არ გაგივლია, ჯერ მზად არ ხარ, მაგრამ შენი დრო მალე მოვაო. ასეც მოხდა, ხუთი მატჩი გამოვტოვე, მაგრამ მოლდოვის შემდეგ ძირითადში დამაყენა და 90 წუთს შეუცვლელად მათამაშებდა".*

ხუბუტიამ იმ სირთულეებზეც გვიამბო, რუმინეთიდან თურქეთში გადასვლისას რომ შეხვდა: *"ახალ ქვეყანასა და გუნდში გადასვლას ყოველთვის ახლავს სიძნელეები — უნდა შეეგუო ახალ გარემოსა და თანაგუნდელებს. მე კი საკმაოდ დიდი ნახტომი გავაკეთე. რუმინეთში ძლიერი ჩემპიონატია, მაგრამ თურქეთისა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცა ისეთი რთულიც არ არის, როგორც, მაგალითად, საქართველოდან რუსეთში გადასვლა.*

*შესაძლებლობების გამოვლენაში გარემოც ხელს მიწყობდა. თურქეთი ფეხბურთში ძალიან დაწინაურდა. ეს არა მხოლოდ მდიდარი საფეხბურთო ლიგაა, არამედ თანამედროვე მიდგომებიც აქვთ, რამაც ჩემზე სასიკეთოდ იმოქმედა. მართალია, გუნდი ახლა ერთ-ერთი აუტსაიდერია, მაგრამ აქ პროფესიონალურად მუშაობენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ხალხი ძალიან თბილად და მეგობრულადაა განწყობილია. ქუჩაში უკვე მცნობენ, თანაც, სამსუნში ბევრი ლაზი ცხოვრობს. მშობლიური ენა ცოტას ახსოვს, მაგრამ ფესვები არ ავიწყდებათ და ქართველის ნახვა ძალიან ახარებთ".*

ხუბუტიას საქართველოს ნაკრებზეც დავეკითხეთ – რა დაემართა გუნდს, რომელმაც შესარჩევი ციკლი კარგად დაიწყო და ტრადიციულად, ანუ ცუდად დაასრულა?

*"ვერავინ დაგვწამებს, რომ მონდომება გვაკლდა და უგულოდ ვთამაშობდით, მაგრამ მხოლოდ მონდომებით ვერაფერს გახდები, საკუთარი ძალების რწმენა და მეტი სითამამე, ასეც კი ვიტყოდი, მეტი სპორტული თავხედობაა საჭირო. ასე მგონია, ნაკრებს სწორედ ეს თვისებები დააკლდა. მძიმედ იმოქმედა ისრაელთან წაგებამ, რასაც ობიექტური მიზეზი ჰქონდა – ხორვატიასთან მატჩს დიდი ფიზიკური და ფსიქიკური ენერგია შევალიეთ, ამ შეხვედრის მერე სამ დღეში ვითამაშეთ და ძალების აღდგენა ვერ მოვასწარით, სირბილი აღარ შეგვეძლო. რობოტები ხომ არ ვართ? დღეს კი ფეხბურთში დიდი მოთხოვნებია, 10-12 კილომეტრი მაინც უნდა ირბინო მატჩში.*

*არადა, ხორვატებთან თამაშის შემდეგ ძალების ალსადგენად დრო რომ გვქონოდა, ისეთი თავდაჯერებულები ვიყავით, დარწმუნებული ვარ, ისრაელთან ათიდან ათ შეხვედრას არ წავაგებდით"*, – თქვა ხუბუტიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ღვინიანიძეს აქებენ




მართალია, **მათე ღვინიანიძე** უკრაინის რანგით მეორე ლიგაში თამაშობს, მაგრამ მედიის ყურადღება მაინც არ აკლია.

პოპულარულმა ვებგვერდმა "უაფუტბოლმა" მისი თამაში ასე შეაფასა: "ღვინიანიძე "სევასტოპოლის" ლიდერია. 25 წლის ქართველმა მცველმა სეზონის პირველი ნახევარი სტაბილურად და მაღალ დონეზე ჩაატარა. ამას გარდა, მან თავი შეტევაშიც გამოიჩინა და ორი გოლიც გაიტანა", - წერს გამოცემა.

უკრაინის პირველ ლიგაში ღვინიანიძის "სევასტოპოლი" მეხუთე ადგილზეა და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად 11-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა სჭირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# ნათესაური როქი

## ალავიძე საქართველოში, ჩიკვილაძე - უზბეკეთში

ქუთაისის "ტორპედოს" მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** დაემშვიდობა და უზბეკეთს მიაშურა. **გია გეგუჩაძის** დანიშვნის შემდეგ ჩიკვილაძე შემადგენლობაში სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა, ბოლოს კი 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოხვდა და მიხვდა – სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. მას ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და წასვლაში ხელი არ შეუშალეს.

შევიტყვეთ, რომ ჩიკვილაძე კარიერას უზბეკეთში, გუზარის "შურტანში" გააგრძელებს. 27 წლის მცველი უკვე იყო უზბეკეთში, გუნდს შეუთანხმდა და გადაწყვეტილი ამბავია – ითამაშებს იმ გუნდში, სადაც მისი უახლოესი ნათესავი, მეკარე **მიხეილ ალავიძე** თამაშობდა. ნათესავები მხარდამხარ იმიტომ ვერ ითამაშებენ, რომ ალავიძე გუნდიდან ... უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ გაუშვა. საქმე ისაა, რომ ამ ორგანიზაციის ახალმა წესდებამ ალავიძეს "შურტანში" დარჩენის უფლება წაართვა.


თენგიზ ჩიკვილაძე


მიხეილ ალავიძე

- უზბეკეთის ფედერაციის ახალი წესდებით ჩემპიონატში ლეგიონერი მეკარეების თამაში აიკრძალა. მათი მიზანია, გაზარდონ ადგილობრივი მეკარეები და საამისოდ ხელსაყრელი გარემო შეუქმნან. ეს ორი დღის წინ მაცნობეს. ამაზე ადრეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ არ მეგონა, საქმე აქამდე თუ მივიდოდა, ასე რომ, უგუნდოდ დავრჩი.

**- კონტრაქტი გაწყვიტე?**

- კონტრაქტი ისედაც დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. "შურტანს" ახალი კონტრაქტის გაფორმება სურდა, მინიმუმ ერთწლიანზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, ასეც რომ მომხდარიყო, ხელშეკრულების დარღვევა მაინც მოგვიწევდა.

**- უზბეკეთში მოთამაშე ქართველებიდან ვის გამოარჩევდი?**

- სულ სამი ქართველია. ტაშკენტის "პახტაკორში" კახა მახარაძე და ირაკლი კლიმიაშვილი თამაშობენ და ორივე მოსწონთ. კლიმიაშვილმა გუნდს უზბეკეთის თასი მოაგებინა, ფინალში ორი გოლი გაიტანა. "ბუხოროშია" ცენტრალური მცველი გიორგი კვესიეშვილი. არა მგონია, ამ გუნდში დატოვონ, რადგან წერდნენ, რომ მისით ლიდერები დაინტერესდნენ. უზბეკებს ფული არ აკლიათ, ძლიერი ლეგიონერების მიწვევის საშუალება აქვთ და ქართველს ტყუილად არავინ აიყვანს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ლემონჯავა რიონს აუყვა

ქუთაისის "ტორპედო" საგაზაფხულო ეტაპისთვის გაძლიერებასა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს. მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** სელექციისთვის სეზონის მიმდინარეობისასაც იცლიდა და ამ საქმიანობის შედეგებს, ბუნებრივია, ახლა ვიგებთ.

ერთი ტრანსფერის ამბავი უკვე ცნობილია — „ტორპედომ" მარჯვენა მცველი **დათა რიგვავა** დაიმატა. ზუგდიდის „ბაიას" 20 წლის ფეხბურთელთან 3+2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

„ტორპედოში" განაგრძობს კარიერას **გიორგი ლემონჯავაც**. 21 წლის ფეხბურთელი ფოთის „კოლხეთის" აღზრდილია და ზღვისპირელთა რიგებში ჩემპიონატის 13 მატჩი ჩაატარა. ადრე **სოსო ფილია** მას საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებდა, მაგრამ გუნდში ტრავმიანების სიმრავლის გამო წლეულს მარცხენა მცველის პოზიციაზეც ამწესებდა - "ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, ლემონჯავამ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ეს შენაძენებზე ვთქვით და, ისიც შევიტყვეთ, რომ კლუბი რამდენიმე ფეხბურთელთან დაშორებას აპირებს, რაც სულაც არ არის სიახლე – მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გეგუჩაძე არ მალავდა, რომ ბევრ ცვლილებას გეგმავდა.

*"უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი იმ ფეხბურთელთა სია, რომლებთანაც ქუთაისის „ტორპედო" ურთიერთობას გაწყვეტს და ამ ცვლილებათა შესახებ ოპერატიულად გაცნობებთ,"* – იუწყება "ტორპედოს" ვებგვერდი.

ქუთაისელთა მოსამზადებელი გეგმები კი ასეთია: ზამთრის არდადეგების შემდეგ, 4 იანვარს „ტორპედო" თბილისში შეიკრიბება. სამედიცინო შემოწმების პარალელურად, ქუთათურები საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" სტადიონზე ივარჯიშებენ, 9-დან მზადებას ქუთაისში განაგრძობენ, 22 იანვრიდან კი ანტალიაში ათდღიან შეკრებას დაიწყებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

# გავშვეთ უნდა უმაღლესში!

საქართველოს თასის პირველი მფლობელი და ორგზის ვერცხლის პრიზიორი ლანჩხუთის „გურია" უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებს. პირველ ეტაპზე კლუბს ფინანსურად კვლავაც ადგილობრივი ბიუჯეტი უზრუნველყოფს, საამისო ხარჯები 2012 წლის ლანჩხუთის საფინანსო ანგარიშში უკვე შეტანილია. „გურიას" მხარში უდგას ადგილობრივი ხელისუფლება და განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გოგუაძე**. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** მომავალი წელი გურიის რეგიონის აღორძინების წლად გამოაცხადა და ლანჩხუთისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ კლუბის უმაღლეს ლიგაში გადასვლა მიიჩნევა.

ლანჩხუთელებმა საუმაღლესლიგო პლეი ოფში თამაში პირველი ლიგის გათამაშების დასრულებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდეს. რა თქმა უნდა, პლეი ოფში იმავე შემადგენლობით მიზნის მიღწევა ძნელი იქნება, მით უმეტეს, სეზონის ბოლოსკენ რამდენიმე წარუმატებელი მატჩის გამო არაერთი წამყვანი მობურთალი დაითხოვეს, წლის ბოლოს კი ყველა მოთამაშესა და სამწვრთნელო შტაბს ხელშეკრულების ვადა გაუვიდათ, ამიტომაც გურულებს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოუწევთ.

ამჟამად კლუბის მთავარი მწვრთნელის, **გიგლა იმნაძის** განკარგულებაში მხოლოდ ადგილობრივი ახალგაზრდები არიან. ჯერ არ ახმაურებენ იმ მობურთალთა ვინაობას, რომელთა დამატებასაც გეგმავენ. როგორც გიგლა იმნაძემ გვითხრა, „გურია" ნაახალწლევს, სავარაუდოდ, გრიგოლეთში, საკუთარ ბაზაზე დაიწყებს მზადებას, თუმცა, არ არის გამორიცხული, კლუბის ისტორიაში პირველად უცხოური შეკრებაც მოეწყოს და თუ ეს მოხერხდა, გურულები, ალბათ, ანტალიას მიაშურებენ.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

მკითხველი – გაზეთი

# არადა, ყველაფერი დებულებაში წერია

მას შემდეგ, რაც „ლელოში" გამოქვეყნდა სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის დასკვნა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის **ალექს გარსიას** სატელევიზიო ეთერით საქართველოს ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების მიმართ არაკორექტული, შეურაცხმყოფელი განცხადების გამო ამ უკანასკნელის 3500 ლარით დაჯარიმებასთან დაკავშირებით, რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის შეკითხვები თხოვნით, სიცხადე შევიტანოთ სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების ობიექტურობაში.

ქვემოთ გთავაზობთ ამონაწერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2011-2012 წლების ეროვნული ჩემპიონატის დებულებიდან, რაც ნათელს ჰფენს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას:

**თავი 7. სადისციპლინო სასჯელი**

**7.2.** კლუბის წარმომადგენლების (მათ შორის ხელმძღვანელების, მწვრთნელების, ფეხბურთელების) მიერ იმ შეჯიბრებების დისკრედიტაციისას, რომელზედაც ვრცელდება ამ დებულების მოქმედება, ასევე ზემოაღნიშნულ პირთა მიერ სფფ-ს, მსაჯებისა და მოწინაალმდეგე კლუბების მიმართ პრესის, ტელევიზიის, სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და/ან ნებისმიერი საჯარო ფორმით არაკორექტული, შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთებისა და/ან პროვოკაციული აგიტაციის შემთხვევაში (მაგ: ფიზიკური ანგარიშსწორების ქადაგება, მატჩის მონაწილეთა და ქომაგთა გაღიზიანება, მსაჯზე ზეწოლის მცდელობა, მოწოდებები არასპორტული საქციელისაკენ და სხვა) კლუბი დაჯარიმდება 3500 ლარით. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება 7000 ლარით, ხოლო განცხადების უშუალო ავტორს ავტომატურად აეკრძალება საფეხბურთო საქმიანობა 1 კალენდარული წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცნობ-უცნობი რჩეულები

**საქართველოს ჩემპიონატში 14 თებერვლამდე შესვენებაა და უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მეორე ეტაპისათვის მზადებას საახალწლო-საშობაო დღესასწაულების შემდეგ დაიწყებს. მანამდე კი, ალბათ დროა ჩემპიონატის პირველი ეტაპი შევაჯამოთ, ოთხთვენახევარი რომ გრძელდებოდა: 6 აგვისტოდან 22 დეკემბრამდე. როგორც ბოლო წლებში, „ლელო“ ამჯერადაც შემოგთავაზებთ პირველ ეტაპზე თითოეული გუნდის ასპარეზობის შეფასებას; თუმცა, ვიდრე ჩემპიონატის გამორჩეულ გუნდებსა თუ იმედგაცრუებებზე დეტალურად ვისაუბრებდეთ, იქამდე ინდივიდუალური მონაცემები გვინდა შევაჯამოთ. აი, მაგალითად, ხვალ მეგოლეებსა და... უდისციპლინოებს წარმოგიდგენთ, დღეს კი ამა თუ იმ ტურში თავგამოჩენილ ფეხბურთელებსა თუ მწვრთნელებს. ალბათ, აღარც ღირს იმის შეხსენება, რომ უკვე წლებია, „ლელო“ ყოველი ტურის შემდეგ სიმბოლურ ნაკრებს ადგენს და აი, პირველ ეტაპზე ჩვენი რჩეულების მაჩვენებელთა შეჯამების დროც დადგა.**


გიორგი ჭიაბრიშვილი


გიორგი მანწკავა


ომარ მიგინეიშვილი

### მწვრთნელები

უმაღლესი ლიგის გუნდების მწ-ვრთნელებს შორის ტურის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე ხშირად „ზესტაფონის“ ახალგაზრდა თავკაცი **გიორგი ჭიაბრიშვილი** იყო დასახელებელი. იმედია, ეს ფაქტი „უცნაურ-მოულოდნელი“ არავისთვის იქნებოდა: დებიუტანტი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონმა“ პირველი ეტაპი ისე ჩაამთავრა, როგორც მოქმედ ჩემპიონსა და ამ გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს ეკადრებოდა. ჭიაბრიშვილს მცირედით ჩამორჩება სეზონის გუნდი-აღმოჩენის, მარტვილის „მერანის“ მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჟვანია** - ეს ახალგაზრდა სპეციალისტი უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს, მაგრამ თავისზე ბევრად გამოცდილი კოლეგები მოიტოვა უკან. ნურც ის ფაქტი გაუკვირდება ვინმეს, **ალექს გარსია** მხოლოდ ერთადერთხელ რომ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად“: ესპანელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ ხომ მხოლოდ ერთხელ შეძლო პრინციპულ მატჩში გამარჯვება (XIV ტურის საშინაო შეხვედრაში ქუთაისის „ტორპედოს-თან“)...

### მეკარეები

უმაღლესი ლიგის გუნდებში პირველ ეტაპზე ყველაზე ნაკლები გოლი „ტორპედოს“ აქვს გაშვებული, რაც, უპირველესად, ქუთათურთა კლუბის 27 წლის მეკარის **ომარ მიგინეიშვილის** დამსახურებაა. 17 მატჩში 12 გაშვებული ბურთი მართლაც ჩინებული შედეგია და ამიტომაც აქვს მიგინეიშვილს კოლეგებში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი - ოთხჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ანალოგიური შედეგი აქვს „ბაიას“ გამოცდილ მეკარეს, 31 წლის **გიორგი სომხიშვილსაც,** რომლის დიდი დამსახურებაც არის, ზუგდიდელები საუკეთესო რვაგუნდიან ცხრილში რომ იმყოფებიან: შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს ამ ჩამონათვალში 22 წლის **როინ კვასხვაძის** არყოფნა, თუმცა ამას ობიექტური ახსნაც „მოეძებნება“: ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, „ზესტაფონი“ ისე ამთავრებდა მატჩს, მეკარეს თავის გამოჩენის შანსს რომ... არ აძლევდა; ამას გარდა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო და პერსპექტიულ მეკარეს ტრავმის გამო საკმაო რაოდენობის მატჩიც გაუცდა.

### მცველები

მცველებს შორის ორი გამოკვეთილი ლიდერია: 29 წლის **დავით გამეზარდაშვილი** („ტორპედო“) და 23 წლის **ანზორ სუხიაშვილი** („მერანი“). ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნებულმა გამეზარდაშვილმა პირველ ეტაპზე 14 მატჩი ჩაატარა და იმის გარდა, რომ „ტორპედოს“ დაცვის ერთ-ერთ ლიდერი იყო, შეტევებშიც ხშირად მონაწილეობდა და მეტოქეთა კარში 2 გოლი გაიტანა. გამეზარდაშვილის ასეთი წარმატებული ასპარეზობა არავის გაჰკვირვებია, აი, „მერანის“ მარცხენა მცველი ანზორ სუხიაშვილი კი თამამად შეიძლება ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრი არ ელოდა, უმაღლეს ლიგაში, ფაქტობრივად, სადებიუტო სეზონში სუხიაშვილი თუ ასე კარგად წარმოაჩენდა საკუთარ შესაძლებლობებს - 17 მატჩი ჩაატარა ძირითადში და ხუთჯერ „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ მოხვდა!

### ნახევარმცველები

ამ ამპლუაშიც „მერანის“ ფეხბურთელები დომინირებენ და ესეც მორიგი მოულოდნელობაა! ეგ კი არა, მარტვილელთა შეტევების სულისჩამდგმელს, 30 წლის **გიორგი მანწკავას,** საერთოდაც, საუკეთესო შედეგი აქვს უმაღლეს ლიგაში - ყველაზე მეტჯერ (შვიდჯერ) იყო დასახელებული „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“. აღარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ ინდივიდუალურ მაჩვენებელზეც: 17 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. მანწკავა გამოცდილი ფეხბურთელია და სხვადასხვა დროს უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდშიც უთამაშია. ანუ, ქომაგებისათვის „უცხო“ ნამდვილად არ ყოფილა. რასაც ვერ ვიტყვით მის ახალგაზრდა თანაგუნდელზე, 21 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილზე** - „მერანში“ სეზონის დაწყების წინ რომ ჩაირიცხა და სულ მოკლე დროში მარტვილელთა ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა. ელგუჯა გრიგალაშვილი უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს, თუმცა ამის მიუხედავად, ჩინებული მაჩვენებლითაც შეუძლია თავი მოიწონოს: 17 მატჩში 4 გოლი გაიტანა და ხუთჯერ გახდა ჩვენი რჩეულიც; ასევე ხუთჯერ იყო დასახელებული „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ ელგუჯა გრიგალაშვილის... უფროსი ძმა, 25 წლის **შოთა გრიგალაშვილიც;** თუმცა, ეს ფაქტი მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: ბოლო წლებში „ზესტაფონისა“ და საქართველოს ჩემპიონატის უდავოდ, ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა ხომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ შოთა გრიგალაშვილმა ჩემპიონატის ეს ეტაპი ტრავმის გამო სრულად ვერ ჩაატარა, თორემ, დარწმუნებული ვართ, რომ უფრო მეტჯერაც ვიხილავდით „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“.

### თავდამსხმელები

და აი, როგორც იქნა, „დინამოს“ ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ „მოწინავეთა“ შორის: ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის ასევე ყველაზე „ცნობადმა“ ლეგიონერმა **ჩისკომ** ხუთჯერ დაიმსახურა „ლელოს“ სიმპათია; ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 31 წლის ესპანელი ლეგიონერი 9 გოლით „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირია; თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, „ვალენსიას“ ყოფილი ვარსკვლავისგან „დინამოს“ ერთგული ქომაგები, ალბათ, ცოტა უფრო მეტსაც ელოდნენ... სამაგიეროდ, ვერავინ დაემდურება „მეტალურგის“ 28 წლის ცენტრფორვარდს **დიმიტრი ტატანაშვილს,** თავის ახალ კლუბში საუკეთესო ბომბარდირი რომ არის და, ჩისკოს მსგავსად, ხუთჯერ რომ დავასახელეთ „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“. ისე, ჩვენს ჩემპიონატში ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირს, 26 წლის **ნიკა გელაშვილს** პირველი ეტაპი სრულად რომ ჩაემთავრებინა, რჩეულთა შორისაც უფრო მეტჯერ მოხვდებოდა და, ალბათ, ბომბარდირთა შორისაც ერთ-ერთი ლიდერი იქნებოდა...

### მწვრთნელები

გიორგი ჭიაბრიშვილი (ზესტაფონი) - 4, მალხაზ ჟვანია (მერანი) - 3, გია გეგუჩაძე (ტორპედო) - 2, კობა ჟორჟიკაშვილი (მეტალურგი) - 2, ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია) - 2, ელგუჯა ქომეთიანი (ბაია) - 2, სოსო ფილია (კოლხეთი) - 2, ალექს გარსია (დინამო) - 1, ზვიად ჯელაძე (გაგრა) - 1, ვლადიმერ ხაჩიძე (სპარტაკი) - 1, ლევან ბაჯელიძე (სიონი) - 1, ანატოლი პისკოვეცი (გაგრა) - 1.

### მეკარეები

ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო) - 4, გიორგი სომხიშვილი (ბაია) - 4, გრიგოლ ბედიაშვილი (მეტალურგი) - 2, გიორგი ლორია (დინამო) - 2, ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი) - 1, გიორგი ძაძამია (ვიტ ჯორჯია) - 1, ჯონი შეროზია (მერანი) - 1, ლადო ნადირაშვილი (კოლხეთი) - 1, კოკა სეფიაშვილი (გაგრა) - 1, ვახტანგ ლობჟანიძე (სიონი) - 1.

### მცველები

დავით გამეზარდაშვილი (ტორპედო) - 5, ანზორ სუხიაშვილი (მერანი) - 5, ალექსანდრე ინწკირველი (კოლხეთი) - 3, დავით ოდიკაძე (დინამო) - 3, თეიმურაზ ღონღაძე (ზესტაფონი) - 3, ზაალ ელიავა (ზესტაფონი) - 2, ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი) - 2, გივი კვარაცხელია (მეტალურგი) - 2, ლაშა ჯაფარიძე (მეტალურგი) - 2, გიორგი ტყეშელაშვილი (გაგრა) - 2, ლაშა კალანდაძე (გაგრა) - 2, გურამ ადამაძე (ვიტ ჯორჯია) - 2, ნიკა აფაქიძე (ბაია) - 2, ვალერი იობაშვილი (მერანი) - 2, გიორგი სეთურიძე (მეტალურგი) - 1, გივი ქარქუზაშვილი (დილა) - 1, დათა რიგვავა (ბაია) - 1, ნიკა მგელაძე (ბაია) - 1, გიგა ჟვანია (მერანი) - 1, ნიკოლოზ ჯიშკარიანი (გაგრა) - 1, ფრიდოლინ ბოიომო (სპარტაკი) - 1, პაატა ცხვიტარია (კოლხეთი) - 1, ალექსანდრე კვახაძე (მეტალურგი) - 1, გიორგი ონიანი (ზესტაფონი) - 1, სევასტი თოდუა (ზესტაფონი) - 1, გულვერდ თომაშვილი (დინამო) - 1, გიორგი რეხვიაშვილი (დინამო) - 1, გიორგი პაჭკორია (ბაია) - 1.

### ნახევარმცველები

გიორგი მანწკავა (მერანი) - 7, ელგუჯა გრიგალაშვილი (მერანი) - 5, შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი) - 5, მიკელ ალვარო (დინამო) - 4, გიორგი დათუნაიშვილი (ტორპედო) - 3, მიკოლა ნაკონეჩნი (გაგრა) - 3, თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი) - 3, გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია) - 3, ბექა ზაქრაძე (ვიტ ჯორჯია) - 3, გიორგი კორიფაძე (ვიტ ჯორჯია) - 3, ლევან შარიქაძე (გაგრა) - 3, თორნიკე თარხნიშვილი (ტორპედო) - 3, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი) - 2, პავლე ხორგუაშვილი (დილა) - 2, ალექსანდრე კოშკაძე (დინამო) - 2, დავით რაჟამაშვილი (დილა) - 2, ლევან წურწუმია (ბაია) - 2, გივი დიდავა (მერანი) - 2, რევაზ გეწაძე (მეტალურგი) - 2, ლაშა გვალია (კოლხეთი) - 2, ლაშა ჩალაძე (მერანი) - 2, გივი იოსელიანი (ტორპედო) - 2, ჯაბა ჯილაური (დინამო) - 2, ნიკა მაისურაძე (სპარტაკი) - 2, ლუკა გუგუჩია (ბაია) - 1, ავთო ენდელაძე (ბაია) - 1, გიორგი კუხიანიძე (ტორპედო) - 1, გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, გურამ გურეშიძე (ვიტ ჯორჯია) - 1, გიორგი ქავთარაძე (მეტალურგი) - 1, ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი) - 1, გრიგოლ დოლიძე (ტორპედო) - 1, დავით დილმელაშვილი (ტორპედო) - 1, დავით ჯანელიძე (ტორპედო) - 1, ზვიად სიხარულია (ბაია) - 1, თეიმურაზ შონია (სპარტაკი) - 1, გიორგი ქუცურუა (სიონი) - 1, ლაშა ქებაძე (კოლხეთი) - 1, დავით მეგრელიშვილი (კოლხეთი) - 1, ნოდარ ნოზაძე (დილა) - 1, რომან ახალკაცი (დილა) - 1, ომარ გოგონაია (კოლხეთი) - 1, კობა შალამბერიძე (სპარტაკი) - 1, მიხეილ სარდალიშვილი (ზესტაფონი) - 1.

### თავდამსხმელები

ჩისკო (დინამო) - 5, დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) - 5, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) - 3, ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი) - 3, ირაკლი ქობალია (ბაია) - 2, ნიკა გელაშვილი (ზესტაფონი) - 2, რევაზ გოცირიძე (ტორპედო) - 2, დავით ჩაგელიშვილი (დილა) - 2, ჯერემია (გაგრა) - 2, კოტო (დინამო) - 2, ბესიკ ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია) - 2, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) - 1, გიორგი რეხვიაშვილი (სიონი) - 1, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) - 1, ზვიად მეტრეველი (სპარტაკი) - 1, ვლადიმირ ორდინსკი (გაგრა) - 1, შალვა კვანტალიანი (გაგრა) - 1, ვახტანგ ფანცხავა (დინამო) - 1.

**გია ტუხაშვილი**


ჩისკო (მარცხნივ) და დავით გამეზარდაშვილი


დიმიტრი ტატანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს

**ჩელსი–ფულჰემი 17:00**

**ტრავმა:** ტერი, ივანოვიჩი, დ. ლუიზი, ესიენი – ს. დევისი, შვარცერი, სიდუელი, გრიგერა
**დისკვალიფიკაცია:** რამირესი (ჩელ)

**ბოლტონი–ნიუკასლი 19:00**

**ტრავმა:** უიტერი, რიკეტსი, რაილი, გარდნერი, მირსი, ლი, ჰოლდენი, შ. დევისი – უილიამსონი, კაბაიე, გოსლინგი, ლოვენკრანდსი, გათრი, ს. ტეილორი, მარვო
**დისკვალიფიკაცია:** გოსლინგი (ნიუკასლი)

**ლივერპული–ბლექბერნი 19:00**

**ტრავმა:** ლეივა, ჯერარდი, სპირინგი – დანი, სალგადო, ოლსონი, ქივე, გრელა, ნილსენი

**მანჩესტერ იუნ.–უიგანი 19:00**

**ტრავმა:** ე. იანგი, ფლეტჩერი, ვიდიჩი, ფაბიო, ანდერსონი, ოუენი, კლევერლი – როდალეგა, კირკლენდი

**სანდერლენდი–ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** ბერდსლი, ბრაუნი, უიკჰემი, ტერნერი, ანხელერი, გორდონი, მინოლე, ფ. კემპბელი – მაკოლი, როდუელი, ენიჩიბე

**ვესტ ბრომ.–მანჩესტერ სიტი 19:00**

**ტრავმა:** მულუმბუ, შარნერი, მორისონი, გერა – ჰარგრივზი, კოლაროვი, ჯეკო

**სტოკი–ასტონ ვილა 23:45**

**ტრავმა:** შოუკროსი, უილენი, უილკინსონი, სიდიბე – კოლინზი, პესკი, ბენტი, პერდი, გივენი, ლიჩაი
**დისკვალიფიკაცია:** ჰატონი (ასტ)

## ხვალ

**არსენალი–ვულვერჰ. 19:00**

**ტრავმა:** ჯურუ, სონგი, სანტოსი, ფაბიანსკი, მანონე, დიაბი, ჯენკინსონი, გიბსი, სანია, უილშერი – ო'ჰარა, ფოული, ედუარდსი, კრედოკი

**სუონსი–ქუინზ პარკი 21:00**

**ტრავმა:** დაიერი, ბოდე, ტატე – ბოთროიდი, გებიდონი, ა. ფერდინანდი, მერფი, ჰალსი, დაიერი

**ნორვიჩი–ტოტენჰემი 23:30**

**ტრავმა:** აიალა, დე ლაეტი, ვუგანი, უორდი – დეფო, ლენონი, ბეილი, ჰადლსტოუნი, დოუსონი
**დისკვალიფიკაცია:** ნაფტონი (ნორ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 17 | 14 | 2 | 1 | 53-15 | 44 |
| 2. იუნაიტედი | 17 | 13 | 3 | 1 | 42-14 | 42 |
| 3. ტოტენჰემი | 16 | 11 | 2 | 3 | 32-19 | 35 |
| 4. ჩელსი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-20 | 33 |
| 5. არსენალი | 17 | 10 | 2 | 5 | 33-25 | 32 |
| 6. ლივერპული | 17 | 8 | 6 | 3 | 20-13 | 30 |
| 7. ნიუკასლი | 17 | 7 | 6 | 4 | 23-22 | 27 |
| 8. სტოკი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-28 | 24 |
| 9. ნორვიჩი | 17 | 5 | 6 | 6 | 27-31 | 21 |
| 10. ვესტ ბრომ. | 17 | 6 | 3 | 8 | 19-26 | 21 |
| 11. ევერტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 17-19 | 20 |
| 12. ასტონ ვილა | 17 | 4 | 7 | 6 | 19-23 | 19 |
| 13. ფულჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 18-23 | 18 |
| 14. სუონსი | 17 | 4 | 6 | 7 | 16-21 | 18 |
| 15. სანდერლენდი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-21 | 17 |
| 16. ქუინზ პარკი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-31 | 16 |
| 17. ვულვზი | 17 | 4 | 3 | 10 | 19-32 | 15 |
| 18. უიგანი | 17 | 3 | 5 | 9 | 15-30 | 14 |
| 19. ბოლტონი | 17 | 4 | 0 | 13 | 22-39 | 12 |
| 20. ბლექბერნი | 17 | 2 | 4 | 11 | 24-38 | 10 |

ბომბარდირები: 16 — ვან პერსი (არსენალი); 13 - აგუერო (სიტი), ბა (ნიუკასლი), რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 - ჯეკო (სიტი), იაკუბუ (ბლექბერნი); 9 — ადებაიორი (ტოტენჰემი), სტარიჯი (ჩელსი); 8 — ბალოტელი (სიტი); 7 - ჰოლტი (ნორვიჩი), ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი), ლემპარდი (ჩელსი), კლასნიჩი (ბოლტონი); 6 - დეფო (ტოტენჰემი), ფლეტჩერი (ვულვერჰემპტონი), ერნანდესი (იუნაიტედი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

● *ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტურის წინ*

# დღეს დიდი ბოქსინგია!

დავიწყოთ ლიდერის თამაშით: „მანჩესტერ სიტი" სტუმრად „ვესტ ბრომვიჩს" ხვდება. „ვესტ ბრომვიჩი" ის გუნდია, რომელიც მიმდინარე სეზონში სხვა სტადიონებზე შესანიშნავად თამაშობს, საკუთარ „ჰოუთორნზე" კი - რა მოგახსენოთ. ასე მაგალითად, **როი ჰოჯსონის** ბიჭებმა ბოლოხანს ზედიზედ ორი სტუმრობა მოიგეს — რამდენიმე დღის წინ თვით „ნიუკასლ იუნაიტედი" ემსხვერპლათ - 3:2 და ზედა ოთხეულს პლუს „ლივერპულს" თუ არ ჩავთვლით, უცხო გარემოში ყველაზე კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ შინ... „ჰოუთორნზე" გუნდს რვა თამაშიდან მხოლოდ ორი აქვს მოგებული და ისიც მაჩანჩალებთან. ჰოჯსონი ამბობს:

*„შინ რამდენიმე შეხვედრაში მართლა კარგად ვითამაშეთ, მაგრამ რად გინდა, ამას ჩვენთვის ქულები არ მოუტანია. არადა, თუ ცხრილის შუაში გვინდა დარჩენა, ქულების დაგროვება აუცილებელია. ვიცი, რომ შინ წარმატებული სერიის დაწყება მაინცდამაინც „ბოქსინგ დღეს" და მაინცდამაინც „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ ძნელია, მაგრამ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ. წინ ხომ სხვა თამაშებიც გველის, აქ სხვა გუნდებიც ჩამოვლენ და დროა მათ დამარცხებაზე გადავიდეთ".*

საინტერესო ფაქტია: „ვესტ ბრომვიჩმა" ბოლო ოთხ საშინაო შეხვედრაში პენალტი გაუშვა. ჰოდა, თუ ჰოჯსონის ბიჭებს „მანჩესტერ სიტისთან" კი არა, ნებისმიერ მეტოქესთან რამე უნდათ, პენალტების „აკიდებას" თავი უნდა დაანებონ. არადა, სტატისტიკის თანახმად, „ვესტ ბრომვიჩსა" და „სიტის" შორის „ჰოუთორნზე" გამართული ბოლო ხუთი შეხვედრიდან ოთხში მასპინძლებმა გაიმარჯვეს...

ისტლენდელებმა კი, ამასობაში, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა და „ჩელსისთან" წაგება გადალახეს და ორი თამაში მოიგეს — ჯერ „არსენალს" აართვეს სამი ქულა, მერე კი „სტოკს" აჯობეს თვალსაჩინოდ - 3:0. **რობერტო მანჩინის** ყველაზე დიდი საზრუნავი 25 წლის



უიგანის თავკაცი რობერტო მარტინესი

ბოსნიელი თავდამსხმელის, **ედინ ჯეკოს** ჯანმრთელობაა. ამბობდნენ, რომ მუხლის მკურნალობა გაუჯანჯლდებოდა **მიკა რიჩარდსაც**, მაგრამ მერე გაირკვა, რომ საქმეს ასე ცუდადაც არ არის.

### იუნაიტედი შანსს ელის

სადაც „სიტი", იქაც „იუნაიტედი"... მიმდინარე პრემიერლიგაში ერთი ქალაქის ეს ორი გუნდი კვალში უდგას ერთმანეთს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩემპიონატი მათ დოლად იქცეს, ხოლო დანარჩენები დიდი ჩამორჩენით გამოედევნონ. დღეს, „იუნაიტედი" „უიგანს" მასპინძლობს.

ინგლისის ჩემპიონი, მოგეხსენებათ, „ხმაურიან მეზობელთან" ერთად გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ არც ის გამტყდარა — ან კი, როდის იყო, სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ტყდებოდა. ევროწარუმატებლობის შემდეგ „იუნაიტედმა" პრემიერლიგის სამი თამაში მოიგო, რომელთაგან ბოლო, „კრეივენ კოტეჯზე" „ფულჰემის" 5:0 რბევა აღმოჩნდა. გარდა ამისა, ფერგის ბიჭების ყოჩაღობის დასადასტურებლად, ასეთ ფაქტებს მოვიტანთ: ჯერ ერთი, ცხრილში ჩავხედოთ და გავიხსენოთ, რომ „იუნაიტედი" „სიტის" ორადორი ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმარისია მეზობელს ერთხელ დაუცდეს ფეხი, რომ ის ლიდერი გამოიცვლება და მეორე, მანჩესტერელებს „უიგანთან" ბოლო 13 დაპირისპირება არ წაუგიათ... სხვა სიტყვებით, ამ გუნდთან ფაქტობრივად არასდროს მარცხდებიან.

მეორე მხრივ, **რობერტო მარტინესის** „უიგანსაც" აქვს თავისი კოზირები — გუნდმა, რომელმაც რაღაც პერიოდში ზედიზედ რვა თამაში წააგო, ბოლოხანს თვალებში გამოიხედა: ბოლო ექვს შეხვედრაში ცხრა ქულა მიითვალა და თან, იმ გუნდებს შორის, ვისთანაც ფრედ ითამაშა, იყვნენ „ჩელსი" და „ლივერპული".

დღევანდელი მატჩის წინ ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მარტინესის სტილი მოსწონს: *„იმ დღეს „ჩელსისა" და „უიგანის" თამაშს ვუყურე და ვიფიქრე, „უიგანი" რა მშვენიერი გუნდი ყოფილა-მეთქი. ეს რობერტო მარტინესის კარგ მწვრთნელობაზე მეტყველებს. იგი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ადგილზეა გუნდი, პრინციპს არ ღალატობს და ბიჭებს კარგ ფეხბურთს ათამაშებს. ვიცი, ჩვენ „უიგანთან" დადებითი სტატისტიკა გვაქვს, მაგრამ საჩუქარს ნამდვილად არ ველოდებით. გარდა ამისა, თუ ჩემპიონობა გვინდა, ფეხი გაზის პედალზე ბოლომდე უნდა გვქონდეს მიჭერილი".*

მარტინესს, რასაკვირველია, „ოლდ ტრეფორდზეც" იმ შემადგენლობით ენდომება თამაში, რომელმაც ბოლო სამ შეხვედრაში არ წააგო, მაგრამ არ არის გამორიცხული, ორი კაცის შეცვლა მაინც მოუხდეს - **სტივენ გოჰურის** გრიპი სჭირდა და ვერც **უგო როდალეგა** იყო ჯანმრთელად.

### თუ ყველა ქულა აიღეს...

წინ გავარდნილი მანჩესტერელების შემდეგ მესამე ადგილზე მოკალათებულ „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მივხედოთ: „დეზები" ნორვიჩში თამაშობენ. ჩრდილოლონდონელებს, მართალია, სხვა გუნდებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული, მაგრამ ლიდერს ცხრა ქულით ჩამორჩებიან, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. „ტოტენჰემი" ხვალ თამაშობს და თუ გაუმართლებს, ხსენებულ ცხრაქულიან სხვაობას შეამცირებს, შემდეგ (22 იანვარს) კი უშუალოდაც დაუპირისპირდება **რობერტო მანჩინის** გუნდს.

წელან გამართლება ვახსენეთ. დახეთ, რა ხდება: ხვალიდან 22 იანვრამდე „სფურზი" უნდა ეთამაშოს „სუონსის", „ვესტ ბრომვიჩს", „ევერტონსა" და „ვულვერჰემპტონს" — ჩამოთვლილთაგან ციდან ვარსკვლავებს ერთიც ვერ წყვეტს. სულაც არ არის გამორიცხული **ჰარი რედნაპის** ბიჭებმა ამ შეხვედრაში ბლომად ქულები მოხვეტონ და ისე ჩავიდნენ „ეტიჰედზე".

„ნორვიჩზე" კი რა გითხრათ... თავად ხედავთ, ცხრილში მე-9 ადგილზეა და ტრავმების თვალსაზრისითაც არ სჭირს დიდი უბედურება. ერთი სიტყვით, მთლად იოლი დასამარცხებელი არ უნდა იყოს.

### სულ სხვა ჩელსი

მეოთხეზეა „ჩელსი", რომელიც „ფულჰემს" მასპინძლობს, თუ გეოგრაფიულად გვერდიგვერდ მოარსებე ორი დასავლეთლონდონური კლუბის შეხვედრას სტუმრობა ჰქვია. „ლურჯებმა" „ტოტენჰემთან" და „უიგანთან" 1:1 ითამაშეს, რის გამოც ლიდერთან 11-ქულიანი ჩამორჩენა აქვთ, მაგრამ მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** ამბობს, რომ ამიერიდან მისი ფეხბურთელები სხვანაირად ათამაშდებიან:

*„ვფიქრობ, ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს. „ტოტენჰემთან" 1:1-ზე მე პირადად ასე ვფიქრობ — ჩვენ შევხვდით ტიტულის ერთ-ერთ კანდიდატს და მასთან ქულების გაყოფა წარუმატებლობაზე მეტად წარმატებული შედეგია. ადრე უარეს მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ გამოვძვერით და იყო მომენტი, ლიდერს მხოლოდ 7 ქულით ჩამოვრჩებოდით, ასე რომ, ბრძოლა დამთავრებული სულაც არ არის".*

რაც შეეხება „ჩელსისა" და „ფულჰემის" ურთიერთშეხვედრებს, სტატისტიკა ასეთია: მეზობლები პრემიერლიგაში ოცჯერ დამდგარან ერთმანეთის პირისპირ და ამ შეხვედრებიდან 12 „ლურჯებმა" მოიგეს, 7 კი ფრედ დამთავრდა. გამოვიდა, რომ „ფულჰემს", ერთადერთხელ გაუმარჯვია. ეს 2006 წლის მარტში მოხდა.

ვილაშ-ბოაშს, ამ შეხვედრაში, შესაძლოა ბრაზილიელი მცველი, **დავიდ ლუიზი** დაუბრუნდეს. რაც შეეხება „ფულჰემს" მისი ბოლოდროინდელი სტატისტიკა სავალალოა: რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერ იუნაიტედთან" შინ 5:0 რომ წააგო, მოგეხსენებათ, ამას გარდა კი დავძენდით, რომ ბოლო ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ ორში გაიმარჯვა.

### ვან პერსი შირერის რეკორდს დაემუქრა

„არსენალი" „ვულვერჰემპტონს" მასპინძლობს. „მეთოფეებმა" ბოლო 10 შეხვედრიდან 8 მოიგეს და სეზონის კოშმარული სტარტის შემდეგ მეხუთე პოზიციაზე არიან. ჩრდილოლონდონელთა კარგ შედეგებს საფუძვლად ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **რობინ ვან პერსის** საუცხოო ფეხბურთი უდევს. დღეს, ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, ვან პერსის ჯერ კიდევ აქვს **ალან შირერის** რეკორდის გაუმჯობესების შანსი: შირერს, თავის დროზე, კალენდარული წლის განმავლობაში 36 გოლი გაუტანია. 2011 წლის დამთავრებამდე ჰოლანდიელს დღევანდელის გარდა კიდევ ერთი თამაში აქვს მარაგში.

მიმომხილველები წერენ, რომ ვან პერსის საუცხოო თამაში რამდენიმე თანაგუნდელის შესანიშნავი ასისტენტობით არის განპირობებული. კერძოდ, გამოყოფენ **ალექს სონგს, ჟერვინიოს**, რომელსაც მისთვის ხუთი საგოლე პასი აქვს მიწოდებული და **არონ რემსის**, რომელმაც ჰოლანდიელს ოთხჯერ გაატანინა.

„ლივერპული" კი „ბლექბერნს" მასპინძლობს. როგორია: „ბლექბერნმა" ოთხშაბათს „ბოლტონთან" წააგო 2:1, ცხრილის ფსკერზე ჩაეშვა და ახლა „ენფილდ როუდზე" უწევს სტუმრობა... თუმცა, ეს კიდევ არაფერი — 31 დეკემბერს „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა ჩააკითხოს. გეხსომებათ, რომ ბლექბერნელთა თავკაცი **სტივ კინი** ფანების არანორმალური ზეწოლის ქვეშ არის მოქცეული, მაგრამ ვინ იცის, „ლივერპულსა" და „იუნაიტედს" ქულები რომ დააკარგინოს, შესაძლოა მისცენ კიდეც მუშაობის გაგრძელების საშუალება. თუმცა, ეს, ალბათ, საახალწლო ზღაპარს უფრო ემსგავსება.

„სუონსი" დასავლეთ ლონდონიდან ჩასულ სტუმარს, „ქუინზ პარკ რეინჯერსს" მასპინძლობს. ეს იქნება ცხრილის ქვედა ნახევარში მოხვედრილი გუნდების დაპირისპირება, რომელსაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს. უელსური გუნდი მიმდინარე სეზონში თითქოს ცუდად არ თამაშობს, მაგრამ სტუმრად კარგავს ქულებს და მე-14 ადგილზეც ამიტომ არის.

„სტოკ სიტისა" და „ასტონ ვილას" დაპირისპირება კი უფრო ცხრილის შუაში თბილად დამკვიდრებისთვის ბრძოლაა, თუმცა, მასპინძლებმა კარგად იციან, რომ გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა საგაისო ევროთასებზეც დაიწყონ ფიქრი.

„სანდერლენდი" „ევერტონს" მასპინძლობს — „შავ კატებს" ახალი თავკაცის, **მარტინ ო'ნილის** ხელში მდგომარეობის გამოსწორების პროგრამა აქვთ შედგენილი და ლივერპულელების ძლევით ახალი ცხოვრების გზაზე მორიგ ნაბიჯს გადადგამენ. ბოლოს „სანდერლენდმა" „ევერტონს" 2001 წელს მოუგო...

„ბოლტონი" „ნიუკასლს" მასპინძლობს. ზემოთ მოგახსენეთ, რომ ბოლტონელებმა წინა ტურში „ბლექბერნი" დაამარცხეს, ცხრილში ადგილი გაუცვალეს და თუ დღეს ზედიზედ მეორე მოგებასაც მიაყოლებენ... ისე, „ბოლტონს" ზედიზედ ორი თამაში შარშანდელი აპრილის შემდეგ არ მოუგია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## ანრი არსენალში ბრუნდება?

„არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** მოკლე-ვადიანი ხელშეკრულებები ახსენა, რომლებმაც ლონდონური კლუბი სეზონის ბოლომდე უნდა გააძლიეროს. ამბობენ, რომ ამით ვენგერი „მანჩესტერ სიტის" **უეინ ბრიჯს** გადაიბირებს, თუმცა ბრიჯს ვინ ჩივის, „არსენალში", შესაძლოა, **ტიერი ანრი** დაბრუნდეს. ფრანგი 34 წლისაა და „ნიუ იორკ რედ ბულზში" თამაშობს. „არსენალი" მან 16 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ დატოვა და 2007 წელს „ბარსელონაში" გადაბარგდა.

წლეულს, ვენგერის გუნდი მთლიანად **რობინ ვან პერსის** თამაშზეა დამოკიდებული, მეორე ფორვარდი **მარუან შამახი** აფრიკის ერთა თასზე მიდის. *„მოკლევადიანი ხელშეკრულება ჩვენთვის იდეალურია. ტიერის ჯერ არ შევხმიანებივარ, ის არ არის ბრიტანეთში. გადაწყვეტილებას კი ზუსტად 1 იანვრამდე მივიღებ"*, - განაცხადა ვენგერმა.



ვენგერი და ანრი, ისევ ერთად?

ესპანეთი. ლა ლიგა. სეზონის შეჯამება

# ექვატორთან

ესპანურ პრიმერაში 8 იანვრამდე შესვენებაა. ლა ლიგას ჯერ ეკვატორი არ გადაულახავს, გუნდებმა 16-16 ტური მოილიეს, თუმცა რაღაც დასკვნების გამოტანა უკვე თავისუფლად შეიძლება. დღეიდან ვიწყებთ პრიმერას კლუბების სეზონის საშემოდგომო ეტაპის შეჯამებას. თითოეულ ნომერში 2-2 გუნდს შემოგთავაზებთ და ცხრილის ფსკერიდან, აუტსაიდერებისგან ვიწყებთ. მაშ ასე, დღევანდელ „მენიუში" ბოლოადგილოსანი „სარაგოსა" და ბოლოს წინა „რასინგია".

## სარაგოსა: სასჯელი საექვო ექსპერიმენტებისთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20. სარაგოსა | 16 | 2 | 4 | 10 | 13-31 | 10 |

| თარიღი | მეტოქე | ანგ. |
|---|---|---|
| 28 აგვისტო | რეალი (შ) | 0:6 |
| 11 სექტემბერი | ვალეკანო (გ) | 0:0 |
| 18 სექტემბერი | ესპანიოლი (შ) | 2:1 |
| 23 სექტემბერი | ბეტისი (გ) | 3:4 |
| 26 სექტემბერი | მალაგა (შ) | 0:0 |
| 1 ოქტომბერი | ვილიარეალი (გ) | 2:2 |
| 16 ოქტომბერი | სოსიედადი (შ) | 2:0 |
| 23 ოქტომბერი | ოსასუნა (გ) | 0:3 |
| 26 ოქტომბერი | ვალენსია (გ) | 0:1 |
| 30 ოქტომბერი | ატლეტიკო (გ) | 1:3 |
| 6 ნოემბერი | სპორტინგი (შ) | 2:2 |
| 19 ნოემბერი | ბარსელონა (გ) | 0:4 |
| 28 ნოემბერი | სევილია (შ) | 0:1 |
| 5 დეკემბერი | გრანადა (გ) | 0:1 |
| 11 დეკემბერი | მალიორკა (შ) | 0:1 |
| 17 დეკემბერი | ბილბაო (გ) | 1:2 |

**არაგონელებმა სეზონის პირველი ნახევარი ჩააგდეს... არა, მოდი, ასე დავიწყოთ - „სარაგოსას" საეჭვო სატრანსფერო პოლიტიკისა და სტრატეგიის გამო კატასტროფა მოუვიდა, თანაც ისეთი, რომლის გამოსწორებაც ამ სეზონშივე თითქმის შეუძლებელია. უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს ხავიერ აგირეს ლალიგურ პერსპექტივას, კიდევ უფრო მეტი კი - მექსიკელი თავკაცისას.**

### რას ვწერდით აგვისტოში

სეზონის წინ ლა ლიგის ყველა მონაწილეს მივუძღვენით სტატია, განვიხილეთ მათი სატრანსფერო საქმიანობა და პერსპექტივები. ახლა ამ სტატიებში ჩახედვისას ბევრი საინტერესო აღმოვაჩინეთ. გასულ სეზონში „სარაგოსამ" ბოლო ტურში „ლევანტეს" ძლევით დაიძვრინა თავი. პრიმერაში დარჩენის მიუხედავად, მისი ეკონომიკური მდგომარეობა არ გაძლიერებულა. ამიტომაც არაგონელებმა სხვადასხვა კლუბიდან ნიჭიერი, მაგრამ პრიმერასთვის ჯერაც მოუმწიფებელი ახალგაზრდები ინათხოვრეს. ასე გამოჩნდნენ გუნდში ბარსელონელი **აბრაჰამ მინერო** და **ედუ ორიოლი**, რეალელი **დავიდ მატეოსი** და **ხუან კარლოსი**.

დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა, რომ ამ სტრატეგიამ არ გაამართლა. მაშინ ვწერდით, რომ თუ „სარაგოსა" კიდევ არ გაძლიერდებოდა, განსაკუთრებით შეტევის ხაზში, მას პრიმერაში დარჩენა გაუჭირდებოდა. გუნდი დიდად აღარ გაძლიერებულა (მხოლოდ **ელდერ პოშტიგა** შეიმატა) და 2011 წელი ბოლო ადგილზე დაასრულა.

### სტატისტიკური მონაგარი

16 თამაშში 10 ქულა, სულ ეს არის, რასაც აგირეს გუნდმა მიაღწია. 10-დან 8 მშობლიურ „ლა რომალედაზე" და მხოლოდ 2 სტუმრად! „ბარსასთან" და „რეალთან" არაგონელებმა თავი შეირცხვინეს (0:4 და 0:6 შესაბამისად). გუნდს აქვს ყველაზე ცუდი ბურთების შეფარდება - მინუს 18, გაუშვა ყველაზე მეტი, 31 გოლი, გატანილით კი მხოლოდ ორ გუნდს („რასინგს" და „გრანადას") აჯობა, წააგო ყველაზე მეტი - 10 მატჩი, მოიგო ყველაზე ნაკლები - 2. მოკლედ, ლამის ყველა მაჩვენებლით „სარაგოსა" იმსახურებს ბოლო ადგილს.



სარაგოსას პორტუგალიელი ლეგიონერი რუბენ მიკაელი

ხავიერ აგირე გუნდს ძირითადად ორი ტაქტიკური სქემით ათამაშებდა: 4-1-4-1-ით დაიწყო და 4-2-3-1-ზე გადაერთო.

გაფრთხილება: 51
2 ყვითელი ბარათი: 2
წითელი ბარათი: 1
პენალტი (გატ): 2/1
პენალტი (გატ) სარაგოსას კარში: 5/4
საშუალო დასწრება: 21 500
დარტყმა (ზუსტი): 167 (57)
დარტყმა(ზუსტი)სარაგოსასკარში:262(102)
დარტყმის სიზუსტე: 34,1%
კუთხური: 67
თამაშგარე: 47
ჯარიმა (მათზე): 286 (211)

**გოლები**

4 **პოშტიგა**
3 **ლუის გარსია**
2 **ხუან კარლოსი**
1 **პონსიო, ხუარესი, ბარერა, მეტოქის ავტოგოლი (ბოტია, „სპორტინგი)**

**საგოლე პასები**

2 **ლაფიტა**
1 **ლუის გარსია, მეირა, ხუარესი, ბრაულიო, პონსიო, პოშტიგა**

**გაძევება**

2 **ლანძარო**
1 **ხუან კარლოსი**

**გაფრთხილება**

6 **პონსიო, ხუარესი**
5 **ლანძარო, მატეოსი, მეირა, პარედესი**
4 **პოშტიგა**
3 **რუბენ მიკაელი**
2 **აბრაჰამი, ლუის გარსია, ლაფიტა**
1 **ხუან კარლოსი, სუკულინი, პინტერი, და სილვა, როზერტო, ტომასი**

**თამაშები:**

**მეკარეები:** **რობერტო** ხიმენესი (16 თ), **ლეო ფრანკო**, კილიან **ფალკონი**, **ალკოლეა**.

**მცველები:** ეფრაინ **ხუარესი** (14), ხავიერ **პარედესი** (13), პაულო **და სილვა** (11), მაურიციო **ლანძარო** (10), დავიდ **მატეოსი** (9), ადამ **პინტერი** (4), **რამირო** რუისი.

**ნახევარმცველები:** ლეონარდო **პონსიო** (16), პაბლო **ბარერა** (15), **რუბენ მიკაელი** (14), **ხუან კარლოსი** (13), ფერნანდო **მეირა** (11), ფრანკო **სუკულინი** (8), **აბრაჰამ** მინერო (7), ანტონიო **ტომასი** (2).

**თავდამსხმელები:** ანხელ **ლაფიტა** (16), **ლუის გარსია** (15), ელდერ **პოშტიგა** (15), ხორხე **ორტი** (5), **ედუ ორიოლი** (4), **ბრაულიო** ნობრეგა (2), ხოელ **ვალენსია** (1).

სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა

**4-2-3-1:** *რობერტო - ხუარესი, და სილვა, მატეოსი, პარედესი - პონსიო, მეირა - ბარერა, ლუის გარსია, ლაფიტა - პოშტიგა.*

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ელდერ პოშტიგა - 15 თამაში, 4 გოლი, 1 საგოლე პასი.

**იციით თუ არა, რომ...**

სეზონის წინ დიდ იმედებს ამყარებდნენ 26 წლის შემტევ **ბრაულიო ნობრეგაზე**. მაგრამ 21 სექტემბერს ბრაულიო სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. შემთხვევა სარაგოსის გარეუბან უერვაში მოხდა, ვარჯიშიდან დაბრუნებულმა ბრაულიომ ერთ-ერთ ქალბატონზე მიიტანა იერიში, რაც ქუჩის ერთ-ერთმა კამერამ დააფიქსირა. ბრაულიო დამნაშავედ ცნეს, „სარაგოსას" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი ჯერ დროებით, შემდეგ კი სამუდამოდ მოკვეთა კლუბიდან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19. რასინგი | 16 | 2 | 8 | 6 | 11-21 | 14 |

| თარიღი | მეტოქე | ანგ. |
|---|---|---|
| 27 აგვისტო | ვალენსია (გ) | 3:4 |
| 11 სექტემბერი | ლევანტე (შ) | 0:0 |
| 18 სექტემბერი | ატლეტიკო (გ) | 0:4 |
| 21 სექტემბერი | რეალი (შ) | 0:0 |
| 25 სექტემბერი | სპორტინგი (გ) | 0:0 |
| 1 ოქტომბერი | ვალეკანო (შ) | 1:1 |
| 15 ოქტომბერი | რასინგი (გ) | 0:3 |
| 22 ოქტომბერი | ესპანიოლი (შ) | 0:1 |
| 26 ოქტომბერი | სევილია (გ) | 2:2 |
| 30 ოქტომბერი | ბეტისი (შ) | 1:0 |
| 6 ნოემბერი | გრანადა (გ) | 0:0 |
| 22 ნოემბერი | მალაგა (შ) | 1:3 |
| 27 ნოემბერი | მალიორკა (გ) | 1:2 |
| 3 დეკემბერი | ვილიარეალი (შ) | 1:0 |
| 11 დეკემბერი | ბილბაო (შ) | 1:1 |
| 18 დეკემბერი | სოსიედადი (გ) | 0:0 |

როგორც სჩვევია, არგენტინელმა **ექტორ რაულ კუპერმა** სეზონის წინ ხელები დაიკაპიწა და საქმეს ისე შეუდგა, მაგრამ ამისგან ვერაფერი გამოდნა - „მალიორკასთან" საგარეო მარცხის შემდეგ, არგენტინელი გადადგა და ამით სულ რამდენიმე დღით დაასწრო კლუბის ბოსებს. სხვათა შორის, ამის მერე გუნდს გუნდის სპორტული დირექტორი **ხუანხო გონსალესი** წვრთნიდა და სამ თამაშში სანტანდერელებმა ერთი მოიგეს და ორი ფრედ დაასრულეს.



რასინგელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, პაპა დიოპი ვილიარეალის წინააღმდეგ

ისე, ვერ ვიტყვით, რომ კუპერმა მთლად ჩააფლავა - „რასინგი" არ იყო ბრძოლის უნარს მოკლებული, ამაზე თუნდაც „რეალთან" აღებული ქულა მეტყველებს. მაგრამ მოგებით საქართველოს ნაკრების ექსთავკაცმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და ახლა კარიერის აწყობას თურქულ პროვინციაში, „ორდუსპორში" აპირებს.

### რას ვწერდით აგვისტოში

თუნდაც იმას, რომ ზედიზედ 10 სეზონი „რასინგი" ელიტაშია, თუმცა მე-11 სეზონში გაუჭირდება. აი, მაშინდელი ციტატა: *„მძიმე ეკონომიკური სიტუაციის მიუხედავად, მწვრთნელი და ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. თუმცა ჩვენ მათ შემართებას ვერ ვიზიარებთ. კანტაბრიელებს კვლავ მზის ქვეშ ადგილისთვის ბრძოლა მოუწევთ, თუმცა, შესაძლოა, „რასინგი" ამ ბრძოლაში კვლავ გამარჯვებული გამოვიდეს".*

კუპერის ყველაზე დიდი შეცდომა თანამემამულე **ლაუტარო აკოსტაზე** მეტისმეტად დიდი იმედის დამყარებაა, მაგრამ 23 წლის შემტევისგან თუნდაც კანტაბრიელი მესი ვერ გამოდნა. კუპერი ძირითადად 4-2-3-1 სქემით ათამაშებდა გუნდს, ეს არც მის შემცვლელს შეუცვლია. სხვათა შორის, გამონაკლისი იყო „რეალთან" მატჩი, სადაც „რასინგმა" საპატიო ფრეს (0:0) მიაღწია.

## რასინგი: კუპერის ფუტკარივით შრომამ არც კანტაბრიაში გაამართლა

### სტატისტიკური მონაგარი

16 თამაშში 14 ქულა, აქედან კუპერის მონაგარი ასეთია: 13 თამაშში 9 ქულა, გონსალესმა 3 თამაშში 5 ქულას მოუყარა თავი. „რასინგს" სტუმრად ჯერ არ მოუგია, თუმცა 4 ქულა მაინც მოაგროვა. სანტანდერში ამ გუნდის დამარცხება ძნელია და სულ ორჯერ მოახერხეს. დაცვას არა უშავს - 21 გაშვებული ბურთი, ეს ლა ლიგის ნახევარზე უკეთესი შედეგია. სამაგიეროდ, 11 გოლი კატასტროფაა, მხოლოდ „გრანადას" აქვს უარესი მაჩვენებელი. 8 ფრე ყველაზე მეტია ლა ლიგაში.

გაფრთხილება: 50
2 ყვითელი ბარათი: 1
წითელი ბარათი: 1
პენალტი (გატ): 1/1
პენალტი (გატ) რასინგის კარში: 1/1
საშუალო დასწრება: 11 700
დარტყმა (ზუსტი): 137 (44)
დარტყმა (ზუსტი) რასინგის კარში: 251 (78)
დარტყმის სიზუსტე: 32,1%
კუთხური: 67
თამაშგარე: 49
ჯარიმა (მათზე): 276 (233)

**გოლები**

2 **ადრიანი, ნაუელპანი, სტუანი**
1 **ალვარო, აკოსტა, სამპერიო, არანა, მეტოქის ავტოგოლი (სოლდადო, ვალენსია)**

**საგოლე პასები**

3 **დიოპი**
2 **არანა**
1 **ადრიანი, მუნიტისი, სტუანი, სერანო**

**გაძევება**

1 **დიოპი, ნაუელპანი**

**გაფრთხილება**

6 **დიოპი**
5 **ადრიანი**
4 **არანა, სისმა, მუნიტისი, ალვარო**
3 **ტონიო, სტუანი**
2 **ოსმარი, აკოსტა, კრისტიანი, ციოლისი**
1 **სერანო, ესპინოსა, კოლსა, ბედია, პიკონი**

**თამაშები**

**მეკარეები:** **ტონიო** (16 თ), **მარიო** ფერნანდესი, დანიელ **სოტრესი**.

მცველები: **ალვარო** გონსალესი (15), დომინგო **სისმა** (13), **ფრანსის** პერესი (12), მარკ **ტორეხონი** (10), **ბერნარდო** ესპინოსა (8), **კრისტიან** ფერნანდესი (8), **ოსმარ** ბარბა (4), ხოსე **პიკონი** (2), **ბორხა გარსია** (1).

**ნახევარმცველები:** **ადრიან** გონსალესი (15), მანუელ **არანა** (15), პაპაკული **დიოპი** (14), ალექსანდროს **ციოლისი** (9), ოსკარ **სერანო** (8), ხაირო **სამპერიო** (8), გონსალო **კოლსა** (4), **ედუ ბედია** (3), **კენედი** ბაკირჩიოგლუ (2).

**თავდამსხმელები:** პედრო **მუნიტისი** (15), კრისტიან **სტუანი** (13), **არიელ** ნაუელპანი (10), ლაუტარო **აკოსტა** (7), მამადუ **კონე** (6), **ხულიან ლუკე** (5).

სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა

**4-2-3-1:** *ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ტორეხონი, სისმა - დიოპი, ადრიანი - არანა, აკოსტა, მუნიტისი - სტუანი.*

**საუკეთესო ფეხბურთელი:** პაპაკული დიოპი - 15 თამაში, 3 საგოლე პასი.



ანჩელოტი და კაკა, ისევ ერთად?

### კაკა: პარიზელთა სამიზნე

არ წყდება სატრანსფერო ციებცხელება „რეალის" ბრაზილიელ ვარსკვლავ **კაკაზე**. 29 წლის ფეხბურთელის შეძენა ყველაზე მეტად „პარი სენ-ჟერმენს" სურს. მეტიც, ფრანგულ მედიას თუ ვენდობით, პსჟ-ს უპირველესი სატრანსფერო სამიზნე კაკაა. შეგახსენებთ, რომ მალე პარიზელებს სათავეში **კარლო ანჩელოტი** უნდა ჩაუდგეს, რომელთანაც კაკა ძალიან კარგად მუშაობდა „მილანში". ფეხბურთელის აგენტი კვლავ ამტკიცებს, რომ კაკა არსად მიდის. ამასვე ამბობს თავად კაკა: *„უახლოეს ხანებში „რეალიდან" წასვლას არ ვაპირებ. მაგრამ მომავალში, სამშობლოში წავალ კარიერის დასრულება იქ მინდა, სადაც დავიწყე - „სან პაულუში"*.

კაკას „სან პაულუში" დებიუტი 2001 წელს 18 წლის ასაკში ჰქონდა და პირველივე სეზონში მან 12 გოლი გაიტანა.

### აურზაური მარიოს გამო

ამას წინათ ვწერდით, რომ „რეალმა" თითქმის მიაღწია შეთანხმებას „გრემიოს" 21 წლის მცველ **მარიო ფერნანდესთან**. ცნობის გავრცელებას „რეალის" რეაქცია მოჰყვა - კლუბმა ოფიციალური საიტის მეშვეობით უარყო მარიო ფერნანდესის შესაძლო ტრანსფერი, თუმცა კიდევ ერთხელ დადასტურდა გამონათქვამი, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს - „გრემიოს" პრეზიდენტმა **პაულო ოდონემ** დაადასტურა „რეალის" ინტერესი და ისიც, რომ ამ თემაზე მოლაპარაკებაც გაიმართა. თავის მხრივ, ბრაზილიური კლუბის ბოსმა აღნიშნა, რომ „გრემიო" მარიო ფერნანდესს არსად უშვებს. *„დიახ, ნოემბერში გვქონდა საუბარი, მაგრამ ფულს არც კი შევხებივართ, რადგან ჩვენ გვსურს მარიოს შენარჩუნება და ეს არც თავად ფეხბურთელს უნდა, მარიო ჩვენთან თავს ბრწყინვალედ გრძნობს"*, - განუცხადა ოდონემ „მარკას".

### რაული ნაკრებში ბრუნდება?

მას შემდეგ, რაც **დავიდ ვილია** სერიოზულად დაშავდა (სხვათა შორის, „ელ გუახე" უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან), ესპანელი ფანები უკვე ხმამაღლა ითხოვენ ეროვნულ ნაკრებში რაულის დაბრუნებას. 34 წლის ფორვარდი შესანიშნავ ფორმაშია და „შალკეში" 17 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

რაულის ფანებს იმედი **ვისენტე დელ ბოსკეს** სიტყვებმა ჩაუსახა - ნაკრების 60 წლის თავკაცმა რაულის დაბრუნების შანსი დაუშვა: *„მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. რასაც რაული ბუნდესლიგაში ახერხებს, ფანტასტიკაა. არავისთვის არ დახურულა ნაკრების კარი, მით უფრო არც რაულისთვის. რაც უფრო მოახლოვდება ევრო 2012, საკადრო პრობლემები კიდევ იჩენს თავს, რისკი დიდია"*, - განუცხადა „მარკას" დელ ბოსკემ.

### ხუანლუ 4 თვეს დაისვენებს

ექიმებმა „ლევანტეს" გარემარბ **ხუანლუ გომესს** 4-თვიანი იძულებითი შესვენება გამოუწერეს. მან დაახლოებით იმ ადგილას გაიტეხა წვივი, სადაც **დავიდ ვილიამ**. ხუანლუს ოპერაციას დღეს-ხვალ გაუკეთებენ და უფრო ზუსტადაც დადგინდება სარეაბილიტაციო პროცესის ხანგრძლივობა. მოკლედ, „ლევანტეს" ერთ-ერთი ლიდერი მხოლოდ სეზონის ბოლო თვეში დაეხმარება გუნდს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰერტა

# კობიაშვილი ხომ გვყავს!

## სკიბემ დედეს ტრანსფერი უარყო


ლევან კობიაშვილი

ბერლინის „ჰერტას“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს თავისი ყოფილი კლუბიდან, თურქული „ესქიშეჰირიდან“ გერმანიის დედაქალაქში ბრაზილიელი მარცხენა მცველის, **დედეს** გადაყვანას აპირებდეს. ამ უკანასკნელს გერმანიაში კარგად იცნობენ, რადგან წლების განმავლობაში დორტმუნდის „ბორუსიას“ ღირსებას იცავდა, ზაფხულში კი თურქეთში სწორედ სკიბემ წაიყვანა. სპეკულაციები თავად ბრაზილიელმა გააღვივა – მან „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სკიბე ბერლინში ეპატიჟებოდა.

*„ეს არ არის მართალი. როცა მე ბერლინში მოვდიოდი, დედემ „ესქიშეჰირთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა და მე მისთვის ნამდვილად არ მითქვამს, „ჰერტაში“ წამოდი-მეთქი. ჩვენ მის პოზიციაზე ლევან კობიაშვილი გვყავს, აბსოლუტურად იდენტური მოთამაშე, რომელსაც ვენდობი,“* - უთხრა სკიბემ „კიკერს“.

შეგახსენებთ, რომ 46 წლის სპეციალისტი „ჰერტას“ მწვრთნელად ხუთშაბათს დანიშნეს. მან ამ პოსზე სკანდალით წასული **მარკუს ბაბელი** შეცვალა.

● ლევერკუზენი

# ქაოსი ლევერკუზენში

## დირექტორს მწვრთნელი მოსწონს, პრეზიდენტს – არა! ფანები მწვრთნელის გაგდებას ითხოვენ, მწვრთნელმა ბალიტში გააგდო...

ლევერკუზენის „ბაიერმა“ პირველი წრე მე-6 ადგილზე დაასრულა, რაც არც ცუდია და არც კარგი – რაც მთავარია, „ფარმაცევტები“ ევროზონაში არიან, ამ სეზონში კი მინიმალურ მიზნად სწორედ ეს აქვთ დასახული. სამაგიეროდ, ნამდვილად მშვენიერი წარმატება იყო ის, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გადალახა და ახლა, მერვედფინალში პატივი ექნება, „ბარსელონასთან“ ორჯერ ითამაშოს. ერთი სიტყვით, „ლევერკუზენის“ შედეგები სეზონის პირველ ნახევარში საბოლოოდ დადებითად უნდა შეფასდეს. მიუხედავად ამისა, გუნდში ტოტალური უკმაყოფილება და ქაოსია.


ლევერკუზენში მონასტერი ჰანო ბალიტშის მოკვეთის შემდეგ აირია

ყველაფერი გასული კვირის დასაწყისში, ორშაბათს, **ჰანო ბალიტშის** მოულოდნელი მოკვეთით დაიწყო. ეს უკანასკნელი წინა სეზონში „ლევერკუზენის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ და მეტიც, 30 წლის ნახევარმცველს „ფარმაცევტების“ ყველა შუამარბზე მეტი ორთაბრძოლა ჰქონდა მოგებული და კიდევ უფრო მეტი: სწორედ ბალიტშმა გაუტანა იმ სეზონში „ფრაიბურგს“ გოლი (1:0), რომელმაც „ბაიერი“ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოახვედრა. თუმცა მაშინ გუნდის თავკაცი **იუპ ჰაინკესი** გახლდათ, ზაფხულში კი „ფარმაცევტები“ **რობინ დუტმა** (სხვათა შორის, „ფრაიბურგის“ ყოფილმა მწვრთნელმა) ჩაიბარა, რომელსაც გამოცდილი ჰანო გულზე არ ეხატება.

ერთი სიტყვით, წინა კვირის დასაწყისში ბალიტშს უთხრეს, რომ შეუძლია, იანვარში ახალი გუნდი ეძებოს, რადგან მწვრთნელს აღარ სჭირდება. ჰანოს ამის მიზეზი დაწვრილებითაც აუხსნეს: თურმე, „შალკესთან“ მატჩის მიწურულს, რომელიც „ლევერკუზენმა“ 0:1 წააგო, სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ბალიტშს ხმამაღლა უთქვამს, ნუთუ შეცვლები აგვიკრძალესო – საქმე იმაში იყო, რომ დუტმა იმ შეხვედრაში არცერთი ფეხბურთელი არ შეცვალა, ბალიტშის რეპლიკა კი მშვენივრად გაიგონა. ჰანომ მოგვიანებით ბოდიში მოიხადა, მაგრამ არც ამან უშველა.

ერთი ფეხბურთელის გაგდების ქვეყანა არ დაიქცეოდა, რომ არა დუტის არაადეკვატური და აგრესიული განმარტებანი მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების მიხედვით, მიზეზებზე კონკრეტულად არცერთ მხარეს არ უნდა ესაუბრა. დუტმა კი „კიოლნერ ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, ფეხბურთის თამაში ხომ უნდა, ჰოდა უნდა წავიდეს, რადგან ჩემს გუნდში ნალდად ვერ ითამაშებსო და ისე გამოუვიდა, თითქოს ჰანო ბალიტში მთავარი ამრევია. ეს კი არა მარტო ფეხბურთელს, კლუბის ბოსებსაც აღარ მოეწონათ.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ახლა პრეზიდენტი **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი** დუტის საქციელითაა უკმაყოფილო (ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არც მის სამწვრთნელო შესაძლებლობებს აღიარებს), პრობლემა კი ის არის, რომ დუტს დღესდღეობით სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სახით ძალიან წონადი ადვოკატი ჰყავს. ეს უკანასკნელი მუდმივად იმეორებს, რომ რობინის იმედი აქვს და რომ მის გათავისუფლებაზე ერთხელაც არ უფიქრია.

ფეხბურთელთაგან კი მარტო ბალიტში როდია უკმაყოფილო. ბოლო დროს **სიმონ როლფესი** და **შტეფან კისლინგიც** იბღვირებიან – რა თქმა უნდა იმიტომ, რომ დუტი მათაც, მართალია, ბალიტშზე ხშირად, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც იშვიათად ათამაშებს.

უკმაყოფილოები არიან გულშემატკივრებიც, რომლებიც პირველი წრის ბოლო ტურში, „ნიურნბერგთან“ სამარცხვინო მარცხის (0:3 „ბაი არენაზე“) შემდეგ დუტის სალანძღავ სიტყვებს სკანდირებდნენ, ბოლოს კი ერთხმად შემოსძახეს – და ამის მერე თქვენ „ბარსელონასთან“ გამარჯვებაზე ოცნებობთო?

● ტრანსფერი

# გადაწყდა: ობასი შალკეშია

„შალკემ“ პირველი ტრანსფერი განახორციელა: გელზენკირხენელებმა „ჰოფენჰაიმიდან“ 25 წლის გარემარბი **ჩინედუ ობასი ოგბუკე** ინათხოვრეს. ამ უკანასკნელს „ჰოფეს“ მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** ბოლო დროს აღარ სწყალობდა, რის გამოც „სოფლელები“ ობასის არენდით გაშვებას სიამოვნებით დათანხმდნენ. ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლომდე აქვს, ზაფხულში კი „შალკეს“ ობასის საბოლოოდ ყიდვა შეუძლია.

● გერმანია. ბუნდესლიგა. მოსალოდნელი ტრანსფერები

# სიქსტეტი ყურადღების ცენტრში

## გერმანული სატრანსფერო ორომტრიალის მთავარი გმირები და მათი მომავალი

**გერმანიაში ფეხბურთი დროებით დამთავრდა, 20 იანვრამდე ბურთი აღარ გაგორდება. სამაგიეროდ, დაიწყო სატრანსფერო ორომტრიალი და ჭორ-მართლის წვიმა. მკითხველს ზედმეტად არარეალური სპეკულაციებით არ შევაწუხებთ და შევეცდებით, ამ პერიოდში მხოლოდ იმ ტრანსფერებზე ვისაუბროთ ხოლმე, რაც ჩვენი დაკვირვებით რეალურია. ფაქტია, რომ კლუბების მენეჯერებმა ტრანსფერებზე მუშაობა დაიწყეს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიაში ყურადღების ცენტრში სულ რამდენიმე ტოპფეხბურთელია მოქცეული: მიხაელ ბალაკი, კლაუდიო პისარო, ლუკას ბარიოსი, მარკო როისი, ჯეფერსონ ფარფანი და რაული. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ მათ გუნდები გამოიცვალონ და რა ხდება რეალურად ამ მოთამაშეების გარშემო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ქვემოთ შევეცდებით.**



### მიხაელ ბალაკი
(ლევერკუზენი)

გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და ჯერ არ გადაუწყვეტია, რას იზამს – ახალს გააფორმებს, სხვაგან გადავა, თუ საერთოდ ფეხბურთიდან წავა. ფაქტი ის არის, რომ ბალაკით რამდენიმე ინგლისურ კლუბთან ერთად (ბლექბერნი, ფულჰემი, ტოტენჰემი), ჩინური „შანხაიცაა“ დაინტერესებული. გარდა ამისა, არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ 35 წლის ბალაკს აშშ-სა და ყატარშიც ეპატიჟებიან.

ცნობილია, რომ ბალაკი თავის მომავალთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი წლის დასაწყისში მიიღებს. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ზაფხულში მიხაელი „ლევერკუზენს“ აუცილებლად დატოვებს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ბალაკს ინგლისში დაბრუნება სურს და არც აშშ-ზე იტყოდა უარს. აი, ჩინეთში ან ყატარში გადასვლა კი ნამდვილად არარეალურია.

### კლაუდიო პისარო
(ვერდერი)



33 წლის პერუელი თავდამსხმელი ბრემენის „ვერდერის“ წარმატებების უმთავრესი გარანტიაა და ცხადია, რომ „მუსიკოსებს“ არ ეთმობათ. მიუხედავად ასაკისა, **პისარო** ძალიან კარგ ფორმაშია, რაც პირველ წრეში 12 გოლით დაადასტურა. კლაუდიოს „ვერდერთან“ კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და რაკი წელიწადში 4 მილიონი ევროს სახით „ვერდერისთვის“ ზედმეტად მაღალ ხელფასს იღებს, ბრემენში მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე ჯერ კიდევ ორჭოფობენ, რადგან არ იციან, შეძლებს თუ არა ბრემენული კლუბი გაისად ევროსარბიელზე მოხვედრას, რაც კლუბისთვის დამატებითი, პისაროს ხელფასის დასაფინანსებელი ფულის მიღების გარანტია იქნებოდა.

ცოტა ხნის წინ „ვერდერის“ ბოსმა **კლაუს ალოფსმა** თქვა, პისაროს ზამთარში არაფრისდიდებით არ დავთმობთო, მაგრამ ფაქტია, რომ თუ პერუელი მართლა კარგ წინადადებას მიიღებს, „მუსიკოსებს“ მისი შენარჩუნება გაუჭირდებათ. ცნობილია, რომ მისით მილანის „ინტერის“ შეფები არიან დაინტერესებული, მაგრამ კონკრეტული არაფერი თქმულა. და თუ ეს არც ამ დღეებში მოხდება, პისარო ამ სეზონს „ვერდერში“ ჩაამთავრებს. სეზონის ბოლოს კი ისიც გაირკვევა, ექნებათ თუ არა ბრემენელებს მისი ხელფასის გადასახდელი ფული.

### მარკო როისი
(ბორუსია მ)

22 წლის **მარკო როისი** ბუნდესლიგის პირველი წრის მთავარი აღმოჩენა და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სულაც საუკეთესო ფეხბურთელია. ამიტომაცაა, „გლადბახის“ „მარგალიტს“ მთხოვნელების დიდი რიგი რომ დაუდგა. ყველაზე სერიოზულად მიუნხენის „ბაიერნი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ არიან დაინტერესებულები.



საინტერესო ისაა, რომ თუკი მიუნხენური გრანდის შეფები ჯერ მოცდას ამჯობინებენ და თანახმა არიან, რომ როისმა მიონხენგლადბახში კიდევ ერთი წელი ითამაშოს, „დორტმუნდს“ უნიჭიერესი გარემარბის ყიდვა ახლავე ან ზაფხულში უნდა, რამაც შესაძლოა, ტრანსფერის დაჩქარება „ბაიერნსაც“ აიძულოს.

„გლადბახს“ როისის თაობაზე უკვე დაუკავშირდნენ „არსენალიდან“, „მანჩესტერ სიტიდან“, „ინტერიდან“, „მილანიდან“ და „იუვენტუსიდანაც“. ჰო, დარეკეს მახაჩყალის „ანჟიდანაც“, მაგრამ ცხადია, რომ მარკო რუსეთში არ წავა.

ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ როისი ამ სეზონს აუცილებლად მიონხენგლადბახში ჩაამთავრებს, თავისი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებას კი სადღაც აპრილში ან მაისში მიიღებს. მარკოს მიონხენგლადბახელებთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და ამას წინათ თქვა, მინდა ცოტა დავიცადო და გავიგო, მოიპოვებს თუ არა ჩვენი გუნდი ევროსარბიელზე თამაშის უფლებასო. ანუ, თუ „გლადბახი“ ევროპის ლიგაზე ან სულაც ჩემპიონთა ლიგაში გავა, როისი 99 პროცენტით კიდევ ერთი წელი დარჩება. თუ ასე არ მოხდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისთვის მთავარი ბრძოლა „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის გაჩაღდება.

### ჯეფერსონ ფარფანი
(შალკე)



27 წლის გარემარბს „შალკესთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და მისი გადაბირება უკვე ძალიან ბევრ კლუბს უნდა. ტოპგუნდებიდან ყველაზე მეტად მილანის „ინტერი“ აქტიურობს, ყველაზე მეტი მთხოვნელი კი პერუელს რუსეთში ჰყავს, სადაც მოსკოვის „ლოკომოტივი“, ყაზანის „რუბინი“ და „ანჟი“ ეპატიჟებიან.

აი, **ფარფანის** შემთხვევაში ნამდვილად არ არის გამორიცხული ის, რომ მან რუსეთში წასვლაზე თანხმობა განაცხადოს, რადგან მისთვის ფულს დიდი მნიშვნელობა აქვს. გელზენკირხენელებს კი არ ეთმობათ და „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** რამდენიმე დღის წინ თქვა, არაუგვიანეს თებერვლისა უნდა ვიცოდე, აგრძელებს თუ არა ჯეფერსონი ჩვენთან კონტრაქტსო – „შალკემ“ ფარფანს ხელშეკრულების 2014 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზა.

თუკი ფარფანისთვის ფული იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „შალკეს“ მიერ შეთავაზებულ ხელფასზე (წელიწადში 6 მილიონი) უარს იტყვის, გელზენკირხენელები არ მოუმატებენ და ასეთ შემთხვევაში ჯეფერსონი **ლევან ყენიას** კლუბს დატოვებს.

### რაული
(შალკე)

ლეგენდარულმა ესპანელმა გოლეადორმა მე-17 ტურის შემდეგ, რომელშიც ჰეთ-თრიკი შეასრულა, გასაგებად ანიშნა ფანებს, რომ „შალკეში“ დარჩენა უნდა. მის კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს გასდის და პრობლემა ის არის, რომ ჯერ არავინ იცის, დათანხმდება თუ არა **რაული** ხელფასის შემცირებას. გაირკვა, რომ ყატარში და მოსკოვის „დინამოში“ მას სამჯერ მეტ ჯამაგირს ჰპირდებიან. „შალკე“ გონსალეს ბლანკოს ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობს.



### ლუკას ბარიოსი
(ბორუსია დ)

27 წლის **ბარიოსი** წინა სეზონში „დორტმუნდის“ საუკეთესო გოლეადორი იყო, ამ სეზონში კი BVB-ს მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** სათადარიგოთა სკამს ახეხინებს და მის პოლონელ კონკურენტ **რობერტ ლევანდოვსკის** ენდობა.

ლუკასმა (კონტრაქტი 2014 წლამდე) თქვა, თუ მეორე წრეშიც არ მათამაშებენ, მირჩევნია, ზამთარში სხვაგან გადავიდეო. ბარიოსის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს „სევილიასა“ და „ესპანიოლში“. ამ უკანასკნელს ლუკასი ახლავე სურს და თანაც არენდით, მის სრულფასოვნად შეძენას კი კატალონიელები ზაფხულში გეგმავენ.

ფაქტია, რომ დორტმუნდელებს მისი განათხოვრება არ აწყობთ და ბარიოსს 12 მილიონ ევროდ აფასებენ. ასე რომ, თუ ამ თანხას რომელიმე კლუბი გადაიხდის, ტრანსფერი ძალიან მალე განხორციელდება, რაც „ბორუსიას“ შეფებმა ოფიციალურად დაადასტურეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## მილანი

# გალიანი: ტევესი, ან არავინ


ტევესი უსაქმურობს

"მილანის" მესვეურები რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ფორვარდის შეძენას აპირებენ, დიდი ხანია ცნობილია და ამ მიმართულებით, უკვე არაერთი ნაბიჯიც გადადგეს. **ადრიანო გალიანი** პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს 27 წლის არგენტინელის, **კარლოს ტევესის** "მანჩესტერ სიტიდან" გადაბირების თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით, ამ ყველაფერს შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ, სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის "მილანში" **მაქსი ლოპესის** გადასვლის შესახებ, რომელიც "კატანიას" ღირსებას იცავს და ბუნებრივია, რომ ძალიან უნდა ძალები ევროპული ფეხბურთის გრანდში მოსინჯოს. როგორც ჩანს, ლოპესის სურვილს ახდენა არ უწერია, რადგან ადრიანო გალიანის ტევესის გარდა, არავის და არაფრის გაგონება არ სურს – მოვუსმინოთ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს:

*"ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ძალიან რთულია "მანჩესტერ სიტის" მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ ყველანაირად ვცდილობთ, რომ გულშემატკივრებს საშობაო საჩუქარი გავუკეთოთ. "მილანში" გადმოსვლის დიდი სურვილი აქვს თავად კარლოსს და მას დავპირდი, რომ შეთანხმების მიღწევას სატრანსფერო ფანჯრის ბოლო წუთამდე შევეცდები. რაც შეეხება მაქსი ლოპესს, ძალიან კარგი თავდამსხმელია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მისი გადაბირება დღის წესრიგში არ დგას. "კატანიას" მესვეურებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მათთან მოლაპარაკება უპრობლემოდ შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლოპესი მასიმილიანო ალეგრის გეგმებში არ ჯდება. საერთოდაც, საკითხი ასე დგას: ან ტევესი, ან არავინ".*

## ინტერი

# რა დროს გაძლიერებაა...

### ინტერი ბიუჯეტს უფრთხილდება


"გაძეტას" მტკიცებით, მასიმო მორატი ლუკასში თვით სნეიდერს გაცვლის

მართალია, ბოლო პერიოდში "ინტერმა" საგრძნობლად მოუმატა და სატურნირო ცხრილში მეხუთე პოზიციაზე მოკალათდა, მაგრამ გუნდის შემადგენლობიდან და თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლომბარდიელებმა მიმდინარე სეზონში უმაღლესი მწვერვალები დაიპყრონ. ამიტომ, პრესაში აქტიურად მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მილანელები შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავენ. "ინტერის" გულშემატკივართა სამწუხაროდ, კლუბის გენერალური მენეჯერი **ერნესტო პაოლილო** ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს:

*"სულ მალე მიშელ პლატინის მიერ შემუშავებული ფინანსური ფეარ პლეის პრინციპი ამოქმედდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფულის ძველებურად ხარჯვის საშუალება აღარ მოგვეცემა. ამიტომ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაძლიერებას ნამდვილად არ ვფიქრობთ და გვსურს, არსებული რესურსით გავიდეთ ფონს. გუნდის მიზანი სამეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლავთ, ეს კი ამ შემადგენლობით ნამდვილად ხელგვენიფება. იმედია, ქომაგები სწორად გაიგებენ ჩემს ნათქვამს – დღეს, უფრო მეტად გვიწევს ფინანსურ ბალანსზე ფიქრი, ვიდრე წინა წლებში".*

არადა, იტალიურ სპორტულ პრესაში დღემდე ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ "ინტერის" მესვეურებს "სან პაულუდან" **ლუკასის** გადაბირება სურთ, რომლის სატრანსფერო ფასი 30 მილიონ ევროს შეადგენს. ლუკასი 19 წლის შემტევი ნახევარმცველია, ბრაზილიური გუნდის შემადგენლობაში 53 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 13 გოლი გატანილი. "გაძეტას" მტკიცებით, **მასიმო მორატის** იმდენად უნდა ლუკასის გადაბირება, რომ მზადაა მის სანაცვლოდ **ვესლი სნეიდერსაც** კი შეელიოს. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ეს ინფორმაცია.

## ნაპოლი

# ვარგასი მხოლოდ დასაწყისია

### ნეაპოლში გაჩერებას არ აპირებენ

ისეთი პირი უჩანს, რომ "ნაპოლის" მესვეურები **ედუარდო ვარგასის** გადაბირებით არ შემოიფარგლებიან და ამ ზამთარს, გუნდს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გააძლიერებენ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნეაპოლელებს ურთულესი ამოცანების გადაჭრა მოუწევთ – ერთი მხრივ, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ღირსეული თამაში და მეორე მხრივ, სერია A-ს სამეულში მოხვედრა, რათა მომდევნო სეზონშიც გუნდმა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე იასპარეზოს.


აურელიო დე ლაურენტისი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეაპოლელებს ორი ჩეხი ფეხბურთელის: **მიხალ კადლეცის** და **ტომაშ სივოკის** გადაბირება აქვთ განზრახული. კადლეცი 26 წლის გახლავთ, მარცხენა მცველია და ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავს; სივოკი კი 28 წლისაა, საყრდენი ნახევარმცველია და თურქულ "ბეშიქთაშში" ასპარეზობს. სატრანსფერო საკითხებზე კომენტარი კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** გააკეთა, თუმცა ჩეხი ფეხბურთელები არ უხსენებია:

*"ედუარდო ვარგასი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაცია არ გაუჭირდება. გაჩერებას არ ვაპირებთ, გვსურს, რომ კიდევ რამდენიმე მოთამაშე გადავიბიროთ. კონკრეტული გვარების დასახელებას დღეს არ ვაპირებ, მაგრამ ერთს კი გეტყვით, თავდასხმა სრულად დაკომპლექტებულია. ჩვენი მიზანი დაცვის და ნახევარდაცვის გაძლიერებაა. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ".*

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**

## ჯენოა

# პასკუალე მარინო ენთუზიაზმით აღსავსეა

"ნაპოლისთან" 1:6 წაგებული შეხვედრის შემდეგ, "ჯენოას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ალბერტო მალეზანი** გაათავისუფლეს, მისი ადგილი კი 49 წლის სპეციალისტმა **პასკუალე მარინომ** დაიკავა. ბუნებრივია, მარინო უმალ მოექცა ჟურნალისტთა ყურადღების სფეროში და მისი კომენტარებიც გამოქვეყნდა. "ჯენოას" მიმართ ჩვენი ინტერესი დიდია, რადგან ამ გუნდში საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **კახა კალაძე** ასპარეზობს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სიტყვა პირდაპირ მარინოს გადავცეთ:

*"სიმართლე გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ, რომ ასეთი ამბიციური გუნდის გაწვრთნის საშუალება მომეცა. ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს, 1982 წელს შემეძლო ამ გუნდში გადასვლა, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა. მიმდინარე სეზონში, "ჯენოას" რამდენიმე შეხვედრას ვადევნე თვალი და უკვე ვიცი, რასთან მომიწევს შეჭიდება. უკვე მაქვს DVD, სადაც გუნდის ყველა მატჩია ჩაწერილი და ერთი სული მაქვს, როდის ჩავუჯდები. ბოლო პერიოდში, ჩემი ქალიშვილის მძღოლად ვმუშაობდი, თუმცა დადგა დრო, როდესაც რეალურ საქმეს უნდა მოვკიდო ხელი და ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. ბოლოს, როდესაც ალბერტო მალეზანი შევცვალე, კრიზისში მყოფი „უდინეზე" ჩავიბარე და გუნდს ევროსაგზური მოვაპოვებინე – იმედი მაქვს, "ჯენოაშიც" არანაკლებ წარმატებულად ვიმუშავებ. რა ტაქტიკას გამოვიყენებ? – ჩემი საბაზო სქემა ყოველთვის 4-3-3 იყო და ტრადიციას არც გენუაში ვუღალატებ. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ჯანდომენიკო მესტოსთან და ლუკა ანტონელისთან ადრეც მიმუშავია და მათ კარგად ვიცნობ; მომწონს როდრიგო პალასიოს თამაშის მანერა, ხორკერა კი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე გამიწვრთნია. ვფიქრობ, მას შეუძლია იგივე გახდეს "ჯენოასთვის", რაც მაგალითად სებასტიან ჯოვინკოა "პარმასთვის". დანარჩენს დრო გვიჩვენებს".*


პასკუალე მარინომ ყველაზე წარმატებულად "უდინეზეში" იმუშავა

## რომა

# ტოტი ხასიათზე მოვიდა

### და არსად აღარ მიდის


ფრანჩესკო ტოტი

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ დიდია შანსი სეზონის ბოლოს **ფრანჩესკო ტოტიმ** "რომა" დატოვოს და კარიერა რომელიმე სხვა გუნდში გააგრძელოს. ამის შესახებ თვით "პუპონემ" განაცხადა და დასძინა, პრემიერლიგაში ასპარეზობაზე უარს არ ვიტყოდიო, მაგრამ... გავიდა ხანი, "რომამ" მიჯრით მოიგო შეხვედრები და გუნდში ატმოსფერო საგრძნობლად გაუმჯობესდა – ამაში ტოტის სიტყვები ნათლად დაგარწმუნებთ, რომელიც "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნდა:

*"ბოლო ორმა გამარჯვებამ დაგვანახა, რომ სწორ გზას ვადგავართ და ასევე უნდა გავაგრძელოთ. შესანიშნავი მატჩები იყო, რომლებშიც მეტოქეებს აშკარად ვაჯობეთ და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიწერეთ აქტივში. გადავიფიქრე თუ არა "რომადან" წასვლა? – ჩემი ინიციატივით "ჯალოროსის" არასდროს დავტოვებ, ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს და იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრჯერ ვიტყვი. ბოლო პერიოდში, გუნდის სამწვრთნელო შტაბისგან დიდ ნდობას ვგრძნობ, რაც ძალინ მახარებს და ოპტიმიზმს მიღრმავებს. ასე რომ, არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. პრემიერლიგა? – შესანიშნავი ჩემპიონატია და სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ასეთივე წარმატებით შემიძლია ვთქვა, რომ ვიქნებოდი მაგალითად ჟოზე მოურინიოს შეგირდი, რომელზეც უამრავი კარგი რამ მსმენია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი ნებით, "რომადან" წასვლას არ ვაპირებ".*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა



არადა, იყო დრო...

## ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი: ბლატერი მანიაკი, რასისტი და მჩაგვრელია

**ჯეკ უორნერი**, ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც ივნისში დატოვა თანამდებობა, პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** საჯაროდ დაესხა თავს. უორნერმა თქვა, რომ შვეიცარიელი ფუნქციონერი დიდების მანიითაა შეპყრობილი, არის საშინელი რასისტი და დისკრიმინატორი.

*„აღარ შეიძლება ფიფას პრეზიდენტს მიეცეს იმის შანსი, რომ კვლავ ჩაგროს ხალხი კანის ფერის გამო. ვინმემ უნდა უთხრას მას - კმარა! არ შეიძლება ფიფას პრეზიდენტი ასე დაუსჯელად უშვებდეს დიდ შეცდომებს, დაკავებული იყოს სხვათა დისკრიმინაციით. ის დრო გავიდა, როცა ყველა ვდუმდით. ახლა აღარავინ არ უნდა გაჩერდეს, სხვა შემთხვევაში ფიფა დაღუპავს ფეხბურთს“*, - განაცხადა უორნერმა.

შეგახსენებთ, უორნერი და აზიის საფეხბურთო კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **მოჰამად ბინ ჰამამი** კარიბის აუზის ქვეყნების ფედერაციების მოსყიდვაში დაადანაშაულეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სახალისო

## ესპანური კლუბების საშობაო სურვილები

### დროის მანქანა, კატალონიის დამოუკიდებლობა და... წებო

ესპანეთმა შობა იზეიმა, სპორტულმა მედიამაც გაცილებით მეტი ყურადღება სახალისო თემებს დაუთმო. მაგალითად, GOAL.COM-მა პრიმერა დივიზიონის კლუბების საშობაო „სურვილები“ შემოგვთავაზა. რა შეიძლება ჩაუთქვას, ესპანური გუნდის თავკაცმა? ჩემპიონთა ლიგის საგზური, ელიტაში ადგილის შენარჩუნება, ტოპ-ტრანსფერი... წარმოვიდგინოთ, რომ ლა ლიგის გუნდები სუფრას უსხედან და ლათინური ანბანის მიხედვით, თითოეული თავის სათქმელს ეუბნება სანტას.

**ატლეტიკი:** ბასკური „პასპორტები“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებისთვის.

**ატლეტიკო:** ახალი კარმა და ახალი მფლობელებიც.

**ბარსელონა:** რაც შეიძლება მეტი კლასიკო სეზონში.

**ბეტისი:** პირველი ხუთი მატჩის იღბლის დაბრუნება.

**ესპანიოლი:** პაბლო ოსვალდოს კლონი

**ხეტაფე:** მათ მიერ „ბარსას“ ძლევის დვდ.

**გრანადა:** მეტი ფეხბურთელი იჯარით... „უდინეზედან“.

**ლევანტე:** საკუთარი თავის გამეორება.

**მალაგა:** კარგი წებო, რომელიც გუნდის ძვირადღირებულ ნაწილებს ერთიან ორგანიზმად შეაერთებს.

**მალიორკა:** მახაჭყალის „ანჟიმ“ შეიძინოს კლუბი, გადმოვიდეს ბალეარებზე და ასე დააბრუნოს პალმაში სამუელ ეტოო.

**ოსასუნა:** ახალი კონტრაქტი ხოსე ლუის მენდილიბარს, რომელმაც სასაცილო ბიუჯეტით ჯადოქრობა ჩაიდინა.

**რასინგი:** ის ფული, რომელიც კლუბს ჯერ კიდევ შარშან შეპირდა ინდოელი „ბიზნესმენი“ ალი საიედი.

**რაიო ვალეკანო:** ხელფასი საახალწლოდ.

**რეალი:** „კატალონიის დამოუკიდებლობა“, მხოლოდ ასე ხდება „რეალი“ ჩემპიონი.

**რეალ სოსიედადი:** ბევრი ინიგო მარტინესი და გოლები საკუთარი ნახევრიდან.

**სევილია:** ქვეყნის ხელისუფალის შეწყალება პრეზიდენტ ხოსე მარია დელ ნიდოს.

**სპორტინგი:** ბარსელონამ უკან იყიდოს მცველი ალბერტო ბოტია.

**ვალენსია:** ჯადოქრული რეალიზმი, როცა ტოპ 2-ში შეღწევა იმდენად რეალური იქნება, რომ ოცნებაც შეიძლება.

**ვილიარეალი:** დროის მანქანა, რომელიც გუნდს 1-2 წლით უკან გადაისვრის, როცა „ელ სუბმარინო“ ტოპ გუნდებს უმკლავდებოდა.

**სარაგოსა:** მესია...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ქივუ რეალს უნდა?

ამსტერდამის „აიაქსის“ თავკაცმა **ფრანკ დე ბურმა** განაცხადა, რომ **კრისტიან კივუს** შეძენა შეძენა მადრიდის „რეალს“ სურს. შეგახსენებთ, რომ ყოფილ აიაქსელს „ინტერთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. და რა შუაშია ფრანკ დე ბური? „აიაქსს“ სურს უკან დაიბრუნოს 31 წლის მცველი: *„ვიცით, რომ „რეალსაც“ სურს კივუს გადაბირება, თუმცა ვიმედოვნებ, რომ თავად ფეხბურთელი „აიაქსში“ დაბრუნებას არჩევს“*, - უთხრა დე ბურმა იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“. კივუს გასხვისება „ინტერს“ ძალიანაც აწყობს, რადგან რუმინელი **კლაუდიო რანიერის** მონახაზში ვერ „ჯდება“, სეზონის ბოლოს კი ის მილანს უსასყიდლოდ დატოვებს.

## შობა პლაჟზე

*„გაუმარჯოს ყველა ფანს, გესალმებით ჩემი შვებულებიდან და გილოცავთ შობას“*, - დაწერა „ფეისბუქზე“ **კრიშტიანო რონალდომ** და ეს ფოტოც დაურთო - *„ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელიწადი „რეალის“ სრული წარმატებისა იქნება“*. კონკრეტულად სად ისვენებს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის ნომინანტი, მას არ დაუკონკრეტებია.




კრიშტიანო რონალდო პლაჟზე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აღიარება

# დონიმ ყველაფერი დაფქვა

## კალჩოპოლი გრძელდება...

**თანამედროვე ფეხბურთი რომ მთლად სუფთა არ არის და მასზე ტოტალიზატორი დიდ გავლენას ახდენს, ისედაც ცხადი გახლდათ, კრისტიანო დონის აღიარებითმა ჩვენებამ კი ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. დიახ, ბერგამოს “ატალანტას” ყოფილმა ფეხბურთელმა აღიარა, რომ გასულ სეზონში რამდენიმე შეხვედრის ჩაწყობაში მიიღო მონაწილეობა და კონკრეტული ფაქტებიც დაასახელა. ამ ყველაფერზე თავად უკეთესად მოგითხრობთ და პირდაპირ მას გადავცეთ სიტყვა...**



### აღიარება

რამდენიმე შეხვედრის წინასწარ განსაზღვრაზე მართლაც მქონდა შემოთავაზება და ვაღიარებ, რომ ხელი მოვაწერე. ერთ-ერთი ასეთი მატჩი გახლდათ “ატალანტა”-“პიაჩენცა”, საიდანაც გაჩნდა კიდეც ეჭვები და შემდეგ სკანდალი აგორდა. აქვე, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ არავითარი დაჯგუფების წევრი არ ვარ – უბრალოდ მივიღე რამდენიმე შეთავაზება და დავთანხმდი, რადგან ამით ისევ “ატალანტას” ვეხმარებოდი. დიახ, ყველა იმ მატჩის რეზულტატის განსაზღვრაზე, რომელზეც მე ხელი მოვაწერე, ჩვენი გუნდის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგებაში მონაწილეობას არ მივიღებდი.

### ატალანტა

აუცილებლად უნდა დავაზუსტო, რომ ჩემი ხელმოწერა სულაც არ იყო გარანტი იმისა, რომ ესა თუ ის შეხვედრა აუცილებლად დაგეგმილი შედეგით დასრულდებოდა. იყვნენ თუ არა ”ატალანტას” სხვა მოთამაშეები საქმის კურსში, ჩემთვის უცნობია, რადგან მე მხოლოდ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებთან მქონდა კავშირი. ვიცოდი ვის, სად და როგორ უნდა დაეშვა შეცდომა, რომ შემდეგ მე ამით მესარგებლა. ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კლუბი ”ატალანტა” და გუნდის სხვა ფეხბურთელები ამ ყველაფერში გარეულნი არ არიან; გადაწყვეტილებებს ვიღებდი მე, ინდივიდუალურად. ყოველ შემთხვევაში, გარიგებულ მატჩებში სხვათა ჩართულობის შესახებ არაფერი მსმენია.

### დასკვნა

მართალია, ჩემი გუნდის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არასდროს მიმიღია, მაგრამ ეს ნამდვილად არ ამართლებს იმას, რაც ჩავიდინე. სარკეში რომ ვიხედები, საკუთარი თავი მეზიზღება და არც კი ვიცი როგორ უნდა ვიცხოვრო ციხიდან გარეთ გამოსულმა. ალბათ ყველას დავემალები, რადგან მრცხვენია როგორც ჩემი ახლობლების, ისე უბრალო გულშემატკივრების, რომლებიც მუდამ გვერდში მედგნენ.

**ლაშა ნიკლაური**

**P.S.** როგორც იცით, კრისტიანო ციხეში გახლდათ და განაჩენს ელოდებოდა - აღიარებითი ჩვენების შემდეგ ის გაათავისუფლეს და სახლში გაუშვეს. თუმცა, სასამართლო გრძელდება და დონის გარკვეული პერიოდით შინაპატიმრობაში მოუწევს ყოფნა.




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?
გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ეროვნულის საკადრისად...

**ამ უქმეებზე სპორტკომპლექსმა „არენამ“ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატსაც ისევე ორგანიზებულად უმასპინძლა, როგორც მანამდე - „თავისუფალთა“ და ძიუდოისტთა ანალოგიურ შეჯიბრებებს. ეს ამჯერადაც წესრიგის დასამყარებლად მიღებულმა გადამჭრელმა ზომებმა და სომეხ არბიტრთა მოწვევამ განაპირობა. მართალია, უკმაყოფილების ცალკეული და სულაც დაჯილდოებაზე პროტესტის ნიშნად არგამოცხადების მცდელობაც იყო, მაგრამ ამან საერთო სურათზე უარყოფითად ვერ იმოქმედა.**

წლევანდელი სეზონი ამ სტილის მოჭიდავეთათვის მნიშვნელოვანია, რადგან ნაკრების აქტივში ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ლიცენზიაა ანუ ლონდონში მოხვედრის შანსი გაცილებით ბევრს აქვს. ალბათ, ამიტომ მონაწილეთა რაოდენობაც შედარებით მეტი მოგროვდა - 166. მართალია, იყო მცირემონაწილიანი წონებიც, მაგალითად, 55-ში 14 კაცი გამოდიოდა, მძიმეში - მხოლოდ 10, მაგრამ, სამაგიეროდ, 74-ში 39, 66-ში - 32, სხვაგან 28-29 და ასე შემდეგ მონაწილე იყო. საბედნიეროდ, რაოდენობა ხარისხშიც გადაიზარდა და წლეულს შარშანდელზე ბევრად უფრო სანახაობრივი და საინტერესო ჩემპიონატი მივიღეთ.

თუმცა, შესაძლოა, ამას ხელი წესებში ჯერ კიდევ არშეტანილმა, მაგრამ უახლოეს მომავალში გამოსაცდელად შეგულებულმა რეფორმამაც შეუწყო. რამდენიმე დღის წინ „ლელოც“ წერდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირველ წუთნახევარში ქულა გაკეთდება, მაშინ შეხვედრა პირდაპირ გაგრძელდება, ჩოქბჯენის გარეშე. ჩვენმა ფედერაციამ ეს წესი ამ ტურნირზე გამოსცადა და მან სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ცხადია, მავნე ჩვევა ერთბაშად არ ისპობა და ახლაც იყო ჩოქბჯენის ლოდინის შემთხვევები, მაგრამ უკვე მეორე მხარე აქტიურობდა და ცდილობდა, შეხვედრა დგომშივე გაეგრძელებინა. ამან დინამიკურობა და სისწრაფე ნამდვილად დაუბრუნა ჭიდაობას, თუმცა დაველოდოთ სხვათა შეფასებებსაც - უახლოეს პერიოდში ამ სიახლეს დანარჩენ ტურნირებშიც გამოსცდიან და ვნახოთ, დაიმსახურებს თუ არა საყოველთაო მოწონებას. შესწორებასაც ოფიციალურად მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანენ წესებში.

კიდევ ერთი დადებითი მომენტი, რაც ამ პირველობაზე გამოვლინდა, ჩოქბჯენში ჭიდაობის გაუმჯობესებული ხარისხია. სამწუხაროდ, ადრე ამ კომპონენტში მოვიკოჭლებდით, მდგომარეობა არც ახლაა იდეალური, მაგრამ თუნდაც შარშანდელზე უკეთესია. ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **რევაზ ლაშხმა** (60) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, იმ ერთადერთი ლიცენზიის ავტორმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66) ძირითადად ამის ხარჯზე მოიგეს. იმედია, ეს სხვების შედეგებზეც აისახება.

სამწუხაროდ, ჩემპიონატს რამდენიმე ლიდერი დააკლდა - ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **რამაზ ნოზაძის** (96) ბედი, მგონი, ფედერაცია-ნაკრებშიც ბევრისთვის გაურკვეველია და უჭიდავებლობის მიზეზებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) კი ნაწილობრივ ტრავმების, ნაწილობრივ კი სალიცენზიო შეჯიბრებებისა თუ ოლიმპიადისთვის მიზანმიმართულად მოსამზადებლად ნაკრების ხელმძღვანელობას გაუთავისუფლებია. ხელმძღვანელობამ ოლიმპიურ ასპექტში ორი საკადრო გადაადგილებაც დაუშვა - რევაზ ლაშხსა და მანუჩარ ცხადაიას ზედა წონებში ჭიდაობის უფლება დაერთოთ. საბედნიეროდ, წონის შეცვლას მათზე გავლენა არ მოუხდენია და ორივე ლიდერმა სრულიად დამაჯერებლად მოიგო შეჯიბრება.

ჩემპიონატამდე ძალიან ბევრი ისეთი ფალავნის გამოსვლა გვაინტერესებდა, რომლებიც წინა წლებშიც გამოირჩეოდნენ კარგი ჭიდაობით, თუმცა ტრავმებისა თუ რიგ ობიექტურ მიზეზთა გამო ნაკრებში ვერ ხვდებოდნენ - თუნდაც ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **არჩილ თურმანიძე** (66), ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი პრიზიორი **ქემალ ხარაბაძე** (60) და სხვები. სამწუხაროდ, მათ ამჯერად წააგეს და თავიდან იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს საერთო დონე ეცემოდა, მაგრამ ახლა, შეჯიბრების გაანალიზების კვლობაზე შეიძლება ეს ყველაფერი კონკურენციის დამსახურებად მივიჩნიოთ. ადრეც დაგვიწერია, რომ ნიჭიერი თაობა მოდის, რომლებმაც ახლაც გამოიჩინეს თავი. მოგეხსენებათ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები წლეულს წარმატებით გამოვიდა ევროპა-მსოფლიოზე და არც მის წევრებს შეურცხვენიათ თავი - ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი** (84) აქაც ჩემპიონი გახდა, ევროპის პრიზიორმა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანმა **ზურაბ დათუნაშვილმა** (74) ამჯერადაც ფინალი იჭიდავა. ცხადია, ზოგმა წააგო კიდეც, მაგრამ მთლიანობაში, ახალმა თაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მზარდი ამბიცია. მაგალითად, ჭაბუკთა ასაკიდან გადმოსულმა **ბაჩანა ფუტკარაძემ** და **ზურაბ მაჭარაშვილმა** (ორივე - 55) ბრინჯაოები მოიპოვეს, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა **უჩა შავაძემაც** (66) ფინალი იჭიდავა, ამავე ასაკში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **რამინ შაქარაშვილი** (120) მესამეზე გავიდა, თუმცა ჩემპიონატის უდავო აღმოჩენად თერჯოლელი **ამირან ზარნაძე** (96) იქცა, რომელმაც ნახევარფინალში დამატებით დროში ძალიან ლამაზ, დაძაბულ ორთაბრძოლაში წონის წლევანდელი ლიდერი **ირაკლი ქაჯაია** დაამარცხა. ამ შეხვედრის პერიპეტიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი მეორე პერიოდის ის მომენტია, როცა ქაჯაიას მშვენივრად დაუხურა გდება და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. მართალია, ფინალში დამარცხდა, მაგრამ საყვედური მაინც არ ეთქმის, როგორც დათუნაშვილსა და ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონ **ფირუზ წულუკიძეს** (60). ოღონდ ეგ იყო, ამ ახალგაზრდა ფალავანს ემოციებმა სძლია და სწორედ მას არ უნდოდა კვარცხლბეკზე ასვლა. თუმცა ის შეხვედრა ყველაზე დაძაბულიც გამოდგა და ყველაზე მეტად გაპროტესტებულიც. შედეგიც რამდენჯერმე შეიცვალა და სწორედ ეს გახდა უკმაყოფილების საბაბი. განსაკუთრებით - მეორე პერიოდის ქულები. საინტერესოა, რომ წულუკიძე მთელი 13 წლით ანუ ლამის ერთი თაობით უმცროსია თავის მეტოქეზე, ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჭოჭუაზე, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ჟინიანად და რაც მთავარია, ხარისხიანად იჭიდავა. ეს შეხვედრა თავიდან ბოლომდე დრამატული გამოდგა - პირველ პერიოდში ჭოჭუამ ჩოქბჯენიდან 2-ქულიანზე იოლად დაატრიალა და მერეც დაუპირა კისრულზე წამოღება, მაგრამ წულიკიძემ მშვენივრად დაუხურა და ორი ქულა აართვა (თუმცა მსაჯებმა თავიდან 3 აჩვენეს). ამით პერიოდიც მოიგო და მეორეში უკვე თვითონ დაატრიალა ჩოქბჯენიდან, რაც მსაჯებმა 1 ქულად შეაფასეს. აქტიურად მოჭიდავე ჭოჭუამ შეტევას მყისვე უპასუხა და არბიტრებმა ჯერ ერთი ქულა მისცეს, რაც მერე გააუქმეს, თუმცა საბოლოოდ ისევ აღუდგინეს. ეს დამთავრებამდე 15 წამით ადრე მოხდა და უნდა გენახათ, წულუკიძე რა შესაშური გააფთრებით ეკვეთა, თუმცა ჭოჭუაც გონივრულად იცავდა თავს და პერიოდიც მოიგო. ბათუმელთა უკმაყოფილებაც ძირითადად ამ პერიოდს უკავშირდება - ისინი მიიჩნევდნენ, რომ წულუკიძის გდება 2-ქულიანი იყო. მოლოდინისამებრ, დამატებითი დროც დაძაბულად წარიმართა, თუმცა ორივე კარგად იცავდა თავს. ის-ის იყო, ჩოქბჯენში ჩადგომის დრო მოდიოდა, როცა ბევრად გამოცდილმა ჭოჭუამ შეტევაში გართული მეტოქე კონტრილეთზე დაიჭირა და ულამაზესი გდებით გამარჯვება მოიპოვა. მან გამოცდილების ხარჯზე აჯობა კონკურენტს, რომლის ჟინი მართლაც ქებას იმსახურებს. ასევე ბრძოლით დაგვამახსოვრა თავი ნადარეიშვილმაც.

საბედნიეროდ, ამჯერადაც ვიხილეთ ოჯახური წარმომადგენლობები - 60 კილოგრამში ბრინჯაოს მედლები სამტრედიელმა ძმებმა **გიორგი** და **გოჩა გოგიბერაშვილებმა** მოიპოვეს, 96-ში წყალტუბოელმა ბიძაშვილებმა - **მიხეილ ქაჯაიამ** და ზემოხსენებულმა ირაკლი ქაჯაიამ ბრინჯაოსთვის იჭიდავეს, თუმცა მედალი მხოლოდ ირაკლიმ ირგუნა. მძიმე წონაში ქუთაისელი ძმების, **შოთა და სერგო გოგისვანიძეების** პაექრობა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ შოთას ტრავმამ ჩაშალა - საერთოდ ვერ იჭიდავა.

ახალგაზრდების გვერდით, ძველმა თაობამაც კარგი ჭიდაობა გვაჩვენა. 32 წლის ჭოჭუა ხომ უბერებელია და აშკარად იგრძნობოდა კლასში უპირატესობა ლაშხისა და ცხადაიას შემთხვევებშიც - ორივემ მაღალი დონის ჭიდაობა გვაჩვენა. ოსტატობასთან ერთად, გამოცდილება მათთვისაც მძლავრი იარაღია და გაისადაც ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტთა შორის იქნებიან. აუცილებლად აღსანიშნავია **გურამ ფერსელიძის** (120) გამოსვლაც - გულის საკმაოდ მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ ხალიჩასაც დაუბრუნდა და სხვებსაც აჯობა. ტრავმებს და მეტოქეებს სძლია ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **სოსო ჯაბიძემაც** (96) - მას ადრეც ლამის მუდმივად სტკიოდა რაღაც, მაგრამ ახლა უშუალოდ ამ ტურნირზეც იტკინა ნეკნი და ლამის მთელი ჩემპიონატი ისე ჩაატარა. ფინალის შემდეგ ექიმსაც კი უხმო ლეიბზე, თუმცა მთელი ჩემპიონატი მაინც ძალზე დამაჯერებლად გაიარა. **ლაშა გოგიტაძესაც** (55) არავინ გამოუჩნდა კონკურენტი თავის წონაში.

ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიასთან** ინტერვიუს ხვალ შემოგთავაზებთ, აქ კი ზოგიერთ დეტალს გავამხელთ გუნდის უახლოეს სამომავლო გეგმებზე: ლაშხი და ცხადაია ევროპის ჩემპიონატზეც ზედა წონებში გამოვლენ, თუმცა საოლიმპიადოდ კვლავაც ძველ წონებში მოიაზრებიან. კვირკველიას ასაკის გამო შეღავათს გაუწევენ და, ალბათ, ევროპას არც ის იჭიდავებს. ასაკი იქნება გარკვეული კორექტივების შეტანის მიზეზი ჭოჭუას შემთხვევაშიც, თუმცა ულიცენზიოდ დარჩენილ 6 წონაში უკან დასახევი გზა არცაა და ყველგან გამოვალთ. ოღონდ აქ ერთი პრობლემაა - ეს შეჯიბრება მეტად შემჭიდროებულ ვადებში ტარდებიან და იძულებულნი ვართ, 2-2 ფალავანი მაინც მოვამზადოთ მათთვის.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი), 2. გოდერძი დავითაძე, 3. ბაჩანა ფუტკარაძე (ორივე - აჭარა), ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთი).

**60 კგ.** 1. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი); 2. ფირუზ წულუკიძე (აჭარა), 3. გოგიტა და გოჩა გოგიბერაშვილები (ორივე - სამტრედია).

**66 კგ.** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი), 2. უჩა შავაძე, 3. მამუკა ხოზრევანიძე, პაატა ბაკურაძე (სამივე - აჭარა).

**74 კგ.** 1. მანუჩარ ცხადაია (ხობი), 2. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი), 3. გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი), შმაგი გულიაშვილი (გარდაბანი).

**84 კგ.** 1. რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი), 2. გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი), 3. მათე სოფაძე (ბაღდათი), ჯონი მინაძე (თბილისი).

**96 კგ.** 1. სოსო ჯაბიძე (ბაღდათი), 2. ამირან ზარნაძე (თერჯოლა), 3. გიორგი მორჩილაძე (თბილისი), ირაკლი ქაჯაია (წყალტუბო).

**120 კგ.** 1. გურამ ფერსელიძე (აჭარა), 2. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი), 3. სერგო გოგისვანიძე (ქუთაისი), რამინ შაქარაშვილი (აჭარა).

ზურაბ დათუნაშვილისა (ზემოდან) და მანუჩარ ცხადაიას პაექრობის მომენტი



ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

შეხვედრა წარსულთან



ნესტორ ესებუა (მარცხნივ) და კულა გლდანელი

# ჭიდილის ზურნა და ქველმოქმედება

**ძველ ტფილისში და საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში თუ XX საუკუნის დასაწყისში ვერც ერთი გასართობი ვერ აძლევდა საქველმოქმედო საქმიანობას იმდენ შემოსავალს, როგორც ჭიდაობა (ქართული, ევროპული, აზიური).**

ჭიდაობიდან აღებული ფულით უპირველესად ეხმარებოდნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. იშვიათად ნახავდა მაშინ კაცი სკოლას ან სამკითხველოს, რომ მას ჭიდაობიდან დახმარება არ მიეღოს.

*აი, რას წერდა ილიას „ივერია“ 1889 წელს (№219).*

„რუსეთიდამ შიმშილის გამო დიდძალი გლეხობა მოდის საქართველოში სამუშაოდ. გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პენზის გუბერნიიდან კიდევ შვიდი გლეხის ოჯახობა, მაგრამ გლეხები აქ სამუშაოს ვერა პოულობენ და გლახაობენ. ზოგი კი კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში მიდიან სამუშაოდ“.

აი, ასეთი დამშეული ხალხის დასახმარებლად და კიდევ სხვა სახის საქველმოქმედოდ გამართულა ჭიდაობა.

*„22 ამ თვისას ნესტორ ესებუამ ჭიდაობა გამართა ქალაქ ბათომში და ერთი ნაწილი წმინდა შემოსავლისა შესწირა მოუსავლიანობით დაზარალებულს ხალხს რუსეთის შიდა გუბერნიისას - სულ 25 მანეთი. 19-ს ამ თვისას ბათომში გამართავს ჭიდაობას ნესტორ ესებუა და მეათედი ნაწილი შემოსავლისა გადაიდება ბათომის ერთ-ერთი სასწავლებლისათვის.*

*ბ-ნი ნ. ესებუა ამ ერთი თვის განმავლობაში გამართავს ჭიდაობას და იმ ჭიდაობის შემოსავლის ნახევარი შეუძლებელს ქართულს სტუდენტებს მიეცემათ. მუდმივ საჭიდაოდ ბ-ნ ესებუას, ბათომში საბურთალო მოედანზე ალაგი შემოუფარგალავს და მოუწყვია“. („ივერია“, 1891 წ. №206).*

იმავე 1891 წლის 6 ოქტომბერს ბათუმში გამართულა საქველმოქმედი ჭიდაობა. გამარჯვებულთათვის გამოყოფილი ყოფილა ათი თუმანი. შემოსავლის დიდი ნაწილი გადადებული ყოფილა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადეობისათვის“ გამოჩენილი ფალავანი თედო ლილოელი (ავალიშვილი) დაჭიდებია ბათუმელ ბექაიას და გაუმარჯვია. 20 მანეთი თვითონ მიუღია დანარჩენი კი წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გადაუციათ.

*„13 ოქტომბერს ქობულეთში სკოლის დაარსების სასარგებლოდ ნესტორ ესებუა აპირებს ჭიდაობას და შემოსავლის ნახევრის ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის გადადებას“* - წერდა „ივერია“ 1891 წლის №219-ში.

თბილისში საქველმოქმედო ჭიდაობები იმართებოდა ვინმე ესიკოვსკის, გოთფრუას, ნიკიტინის, მურაშკოვის, ეფიმოვის, ალექსეის, ტანტემის, იუპატოვის, ტრუცკის დროებით ცირკებში. აგრეთვე ღია მოედნებზე: იტალიელების ბაღში, სადოლოველში, დამოჟნიაზე, იარმუკაზე, მოდერნის ბაღში, ფიქრის გორაზე, მახათაზე, გრიშუას ბაღში, მუშტაედში, მთაწმინდაზე, გოგილოს აბანოსთან, არსენალზე, ვერის ხიდთან...

დაბა ყვირილაშიც (დღევანდელი ზესტაფონი) გამართულა საქველმოქმედო ჭიდაობა, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ნ. ჯინორიძის სასარგებლოდ. ამ ჭიდაობიდან სრული შემოსავალი 45 მანეთი და 46 კაპიკი იყოო - წერს გაზეთი „ივერია“ (1886 წ. №248).

საინტერესოა რას მოხმარდა ეს ფული: ფიცრის ქირა და გადატან-გადმოტანა 2 მანეთი, თოკების ქირა 1 მანეთი, ლურსმანი და სხვა წვრილმანი ხარჯი 95 კაპიკი, პოლიციის მოხელეებს მიეცა 3 მანეთი, წმინდა შემოსავალი დარჩა 39 მანეთი, აქედან 18 მანეთი დამცველისთვის (გაურკვეველია, რა იგულისხმება. რედ.) გადაუციათ, 18 კიდევ გაუგზავნიათ ნ. ჯინორიძისათვის ხარკოვში.

ჭიდაობის მოთავენი ყოფილან: თეოფილე ხუსკივაძე, კალენიკე მესხი და ქრისტიან დარახველიძე.

ახლა ვნახოთ თუ როგორ განაწილდა თბილისში ერთ-ერთი საქველმოქმედო ჭიდაობის ფული:

„წარსულ კვირას იყო გამართული ჭიდაობა საქველმოქმედო მიზნით, ესე იგი რამდენიმე ღარიბი ოჯახის დასახმარებლად. ამ კეთილი საქმის მოთავეთ კნეინა მაიკო მელიქოვისამ და კნეინა ნინო ბარათოვისამ გადმოქვცეს დაწვრილებითი ანგარიში იმ ჭიდაობიდან შემოსული ფულისა, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ: გასყიდული ბილეთების ფასი 900 მანეთი.

აქედან ბაღის პატრონს - 220 მანეთი; მოჭიდავე ათამაშვილს - 100 მანეთი; მოჭიდავის ჩოხისა - 9 მანეთი.“

შენიშვნა: 511 მანეთი გადაუციათ რამდენიმე ულარიბესი ოჯახისათვის. გაზეთში ფულის მიმღები ოჯახის გვარებიც არის აღნიშნული. გაზეთი „დროება“ 1883 წ. №107.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა არც კრიტიკას ერიდებოდა.

*„ამ დღეებში გლდანელმა ორჯერ კიდევ გაიმარჯვა. ვწუხვართ, რომ ეს სახალხო ჭიდაობა ვიღაცა გადმოვარდნილმა საფრანგეთელმა ჩაიგდო ხელში, ის ხალხი, რომელსაც მანეთების მიცემა არ შეუძლიან, ასეთი სახალხო სურათითაც ველარ სარგებლობს“.* (გაზ. „დროება“ 1883 წ. №18).

*„დაჰკრეს მეზურნეებმა ჭიდილის ზურნა და ერთი - ერთის მხრიდან გამოვიდა წრეზე, მეორე - მეორისა“...*

ასეთ შესავალს ხშირად წააწყდებით გასული XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ჭიდილის ზურნა და ფიცხელი შერკინებები, როგორც ვნახეთ, ძალიან ხშირად კეთილი საქმისთვის - ქველმოქმედებისათვის იმართებოდა.

მოამზადა
**გაბრიელ ბარჯაძემ**

რეგიონი. ინტერვიუ გიორგი რაზმაძესთან

# ბორჯომი სპორტის სარკეში იყურება


ბორჯომის სტადიონი, სპორტსკოლის დარბაზი და სპორტკომპლექსი „ოლიმპი“ გვერდიგვერდ მდებარეობს

**ბორჯომის რაიონი სპორტული მრავალფეროვნებითაც გამორჩეულია საქართველოში. სასპორტო სკოლაში ზაფხულისა და ზამთრის სპორტის სახეობათა შემსწავლელი 14 სექცია ფუნქციონირებს. წლეულს განსაკუთრებით შთამბეჭდავი რევაზ ლაშხის კონტინენტის ჩემპიონობა იყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. გვესაუბრება სასპორტო სკოლის დირექტორი გიორგი რაზმაძე.**

- კალათბურთი (ქალთა და ვაჟთა), ფეხბურთი, რაგბი, მძლეოსნობა, ძიუდო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, კარატე, კიკბოქსინგი, სათხილამურო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომა, ბიატლონი, საციგაო სპორტი და ჰოკეი - ეს სპორტის ის სახეობებია, სადაც მომავალი თაობა ოსტატდება. იანვრიდან, მუნიციპალიტეტის თაოსნობით, ჭადრაკის სექციასაც ავამოქმედებთ, რომელმაც 90-იან წლებში, განუკითხაობის დროს შეწყვიტა არსებობა.

**- ტრადიციული სპორტის რომელი სახეობებია?**

- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რომელიც სამი ათეული წელია ფუნქციონირებს, აგრეთვე მძლეოსნობა და ფეხბურთი. ფეხბურთი მასობრიობითაც გამოირჩევა. სკოლაში ამჟამად სულ 400-მდე შეგირდი გვყავს, რომელთა დაოსტატებას 21 მწვრთნელ-მასწავლებელი ემსახურება.

**- რევაზ ლაშხის წლევანდელმა წარმატებამ ალბათ დიდი სტიმული მისცა აქაურ სპორტსმენებს.**

- გაზაფხულიდან, ანუ ევროპის ჩემპიონატში ლაშხის გამარჯვების მერე ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციაში ვარჯიშის მსურველთა რაოდენობა გაიზარდა და გადავწყვიტეთ, ბორჯომიდან ორიოდე კილომეტრში, სოფელ ყვიბისის საჯარო სკოლის დარბაზშიც აგვემოქმედებინა დამატებით ჯგუფი. დარბაზს ხალიჩა თავად ლაშხმა გადასცა. ამავე სოფლის სტადიონზე რაგბის მოყვარული ჭაბუკებიც ვარჯიშობენ. რადგან მსურველებს ველარ აუდის, სოფელ ახალდაბაშიც ვამატებთ რაგბის ჯგუფს. წლეულს რაგბიში 1997-1998 წწ დაბადებულთა შორის საქართველოს პირველობაზე ბორჯომიც იყო წარმოდგენილი. სურვილია სხვა ასაკშიც ჩავერთოთ კიდევ ერთი გუნდით. გაზაფხულიდან ფეხბურთის სექციების გახსნას ვგეგმავთ წაღვერსა და ბაკურიანში.

**- რამდენიმე წლის წინათ ბორჯომი საკმაოდ ამბიციური ფეხბურთის გუნდით იწონებდა თავს. წარსული მოგონებად იქცა. როგორც ამას წინათ სკ „ბორჯომის“ დირექტორმა ვახტანგ მაისურაძემ გვითხრა, თუ მეორე ლიგაში მაინც არ დაიწყეთ ასპარეზობა, ფეხბურთს პერსპექტივა თქვენთან საერთოდ არ ექნება.**

- ბატონი ვახტანგი მართალია. იმის გამო, რომ ჩვენთან გუნდი არ არის, ჩვენს სექციებში აღზრდილმა რამდენიმე მოთამაშემ წლეულსაც სხვა ქალაქების გუნდებს მიაშურა. სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით, რაიონის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, რომ ახალი საფეხბურთო სეზონიდან მეორე ლიგაში ასპარეზობაში ჩავაბათ საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი“. ეს არის აუცილებელი საწყისი ეტაპი.

**- ვიცით, რომ ბორჯომი წარმატებებით გამოირჩევა მძლეოსნობაშიც.**

- ჩვენთან მუშაობს ძლიერი სპეციალისტი ვალერი ჟადანი. ჩემი აზრით, ის არა მხოლოდ საქართველოში, საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში მძლეოსნობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია.

**- რაც შეეხება ზამთრის სახეობებს...**

- ზამთრის სახეობების ცენტრი საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული, ბაკურიანია. აქ არის ჰოკეის მოედანი, ბიატლონის და სამთო-სათხილამურო ტრასები. ვერ ვიტყვი, რომ ინფრასტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისია, მაგრამ დამაკმაყოფილებელი მაინც ეთქმის. ბავშვთა კონტინგენტის მხრივ კი იქ მაინც და მაინც სიმრავლე ობიექტური მიზეზის გამო ვერ იქნება, რადგან ამ სახეობებში ძირითადად დაბა ბაკურიანიდან და ორი მიმდებარე სოფლიდან (ანდეზიტი და ციხისჯვარი) დადიან პატარები სავარჯიშოდ. მაგალითად, ბორჯომში მცხოვრები ბავშვისთვის კი სურვილის მიუხედავად, ბაკურიანში სისტემატიურად სავარჯიშოდ სიარული, ძალიან ძნელია.

**- ინფრასტრუქტურა ვახსენეთ, სხვა სახეობებში როგორი ვითარებაა?**

- ჩვენთან ერთ არეალშია სტადიონი, სასპორტო სკოლის დარბაზი და სპორტკომპლექს „ოლიმპის“ ბაზა. „ოლიმპის“ დარბაზში მშვენიერი სავარჯიშო პირობებია ბერძნულ-რომაული ჭიდაობისა და ძიუდოს სექციებისთვის. სპორტსკოლის დარბაზში, რომელიც წლეულს გარემონტდა კარატეს, კიკბოქსინგის და კალათბურთის ჯგუფები მუშაობენ. მეორე საჯარო სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ მოკრივეები. სტადიონზე ფეხბურთელები და ზოგჯერ მორაგბეებიც ვარჯიშობენ. ჩვენი სტადიონი, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა მოწესრიგებული ტრიბუნებით, გასახდელებით და მსაჯთა ოთახით, ხელოვნურსაფრიანი მოედანი კი სპეციალისტთა შეფასებით, ასევე გამორჩეულია საქართველოში.

**- ადგილზე რა შეჯიბრებებს მართავთ?**

- წელიწადში ორჯერ ვატარებთ ტრადიციულ ასპარეზობებს მძლეოსნობაში, ძიუდოსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კარატესა და კიკბოქსინგში. გვინდა პირველობას კრივშიც ვუმასპინძლოთ, მაგრამ ჯერჯერობით ოლიმპიური რინგის არქონა გვაფერხებს. უახლოეს მომავალში ამ საკითხსაც მოვაგვარებთ.

**- ფასიან სწავლასა და მუნიციპალიტეტიდან დაფინანსებაზე რას იტყვით?**

- სწავლის საფასური ყველა სახეობაში 15 ლარს შეადგენს თვეში გარდა მძლეოსნობისა. შემოსავლის 70 % მწვრთნელთა ხელფასს ხმარდება. მძლეოსნობას კი პრიორიტეტად იმიტომ მივიჩნევთ და მსურველებს უფასოდ ვავარჯიშებთ, რომ იგი ყველა სახეობისათვის გარკვეულ ეტაპზე გამოსადეგია, ბავშვები ხშირად აქ იწყებენ მეცადინეობას და შემდეგ გადადიან ჭიდაობაზე, კალათბურთზე, რაგბიზე, კრივზე, ფეხბურთზე და ა. შ.

სასპორტო სკოლის დირექტორად 2006 წლიდან ვმუშაობ. ბიუჯეტი მცირედით, მაგრამ მაინც ყოველწლიურად იზრდება. ახალი წლიდან მეტს მოველით, რადგან, როგორც გითხარით, ჯგუფებს ვამატებთ.

დასასრულს გეტყვით, რომ ამ დღეებში რაიონის 2011 წლის სპორტსმენთა საუკეთესო ათეულების გამოვლენას ვგეგმავთ უმცროსებსა და დიდებში. რჩეულები რაიონის გამგეობის მხარდაჭერით ჯილდოების გარეშე არ დაგვრჩებიან.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

ჭადრაკი

# საპრიზო ისევ სათუოა

გასულ უქმეებზე თურქულ მარდინში მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ტურის პაექრობები გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა ამ შეჯიბრებაზე მეორედ დაამთავრა შეხვედრა ფრედ - შაბათს უკრაინას დაუზავდა: **ნანა ძაგნიძემ** და **სალომე მელიამ** ქულა გაიყვეს ანა უშენინასთან და ტატიანა ვასილევიჩთან, **ბელა ხოტენაშვილმა** მარია მუზიჩუკს მოუგო, **ნინო ხურციძე** კი ნატალია ჟუკოვასთან დამარცხდა.

კვლავაც უდანაკარგოდ მიიწევს ტიტულისკენ ჩინეთის უძლიერესი ნაკრები, რომელმაც მე-6 ტურში ბერძნებს 3:1 სძლია: ჰოუ იფანი - ელენა დემბო 1:0, ცზიუ ვენძიუნი - მარინა მაკროპულუ 0,5:0,5, ჟაო სიუ - ეკატერინი ფახირიდუ 1:0, თან ჟონი - ეკატერინი პავლიდუ 0,5:0,5. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ინდოეთი - რუსეთი 1:3 (ჰამფი კონერუ - ნადეჟდა კოსინცევა 0,5:0,5, ჰარიკა დრონავალი - ტატიანა კოსინცევა 0,5:0,5, ტანია საჩდევი - ვალენტინა გუნინა 0:1, სვამინათან სოუმია - ნატალია პოგონინა 0:1), თურქეთი - ვიეტნამი 0,5:3,5 (ბეთულ ილდიზი - ნგუენ ლე ტაო 0:1, კუბრა ოზთურქი - ჰოანგ ბაო თრამი 0:1, კარდელენ კემპანი - ნგუენ თან ანი 0,5:0,5, ებრუ კაპლანი - ჰოანგ თი ნჰუ ი 0:1), სამხრეთ აფრიკა - სომხეთი 0:4 (სესილ ვან დერ მერვე - ელინა დანიელიანი 0:1, ანზელ სოლომონსი - დილით მკრტიჩიანი 0:1, დენის ფრიკი - ლილით გალოიანი 0:1, ლორენ ვან ნიუკერი - მარია კურსოვა 0:1).

გუშინ ჩვენი მანდილოსნები ერთპიროვნულ ლიდერ ჩინელებს დაუპირისპირდნენ. ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ ზავს მოაწერეს ხელი ჰოუ იფანთან და თან ჟონთან, ხოლო ლელა ჯავახიშვილი და ბელა ხოტენაშვილი ცზიუ ვენძიუნსა და ჟაო სიუს დანებდნენ. ბოლო ორ ტურში 3 ქულის დაკარგვით ჩვენებურებმა საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი საგრძნობლად გაიუარესეს. რაც შეეხებათ ჩინელებს, მათ, ფაქტობრივად, ტიტული შეინარჩუნეს. ძნელი სავარაუდოა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანსა და მის თანაგუნდელებს ინდოელებმა ხელი შეუშალონ, სხვებს კი საამისოდ ხელი არ მიუწვდებათ.

გუშინდელი დანარჩენი პაექრობების შედეგები: სომხეთი - უკრაინა 1,5:2,5 (ელინა დანიელიანი - ანა უშენინა 1:0, ლილით მკრტიჩიანი - მარია მუზიჩუკი 0:1, ლილით გალოიანი - ინა გაპონენკო 0:1, მარია კურსოვა - ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5), ვიეტნამი - სამხრეთ აფრიკა 4:0 (ნგუენ ლე ტაო - სესილ ვან დერ მერვე 1:0, ჰოანგ ბაო თრამი - ანზელ სოლომონსი 1:0, ნგუენ მაი ჰუნგი - დენის ფრიკი 1:0, ჰოანგ თი ნჰუ ი - ლორენ ვან ნიეკერი 1:0), რუსეთი - თურქეთი 3:1 (ნადეჟდა კოსინცევა - ბეთულ ილდიზი 1:0, ტატიანა კოსინცევა - კუბრა ოზთურქი 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი - კარდელენ კემპანი 1:0, ნატალია პოგონინა - ებრუ კაპლანი 1:0), საბერძნეთი - ინდოეთი 1,5:2,5 (ელენა დემბო - ჰამფი კონერუ 0,5:0,5, მარინა მაკროპულუ - ჰარიკა დრონავალი 0:1, ეკატერინი ფახირიდუ - ტანია საჩდევი 0,5:0,5, ეკატერინი პავლიდუ - როუთ რადმინი 0,5:0,5).



შვიდი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: ჩინეთი-14 (23,5), ინდოეთი-11 (20,5), რუსეთი-10 (15,5), უკრაინა-8 (16,5), ვიეტნამი-8 (15,5), საქართველო-8 (15,5), სომხეთი-6 (15), თურქეთი-4 (9,5), საბერძნეთი-1 (7,5), სამხრეთ აფრიკა-0 (1).

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: უკრაინა - ჩინეთი, ინდოეთი - საქართველო, თურქეთი - საბერძნეთი, სამხრეთ აფრიკა - რუსეთი, სომხეთი - ვიეტნამი.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ახალი ამბები



## სნოუბორდი გვიშინაურდება

საქართველოში სნოუბორდის, როგორც სპორტის ზამთრის ოლიმპიური სახეობის პოპულარობის ამაღლებას და მის შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ტურნირი, რომელის ჩატარება 2012 წლის თებერვალში იგეგმება გუდაურში.

ჩვენთვის შედარებით სპორტის ამ ახალი სახეობის ეროვნული ფედერაცია შარშან შეიქმნა (პრეზიდენტი **ლევან მშვილდაძე**), თუმცა ქართველმა სპორტსმენებმა უკვე გამოიჩინეს თავი საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. მიღწევებისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაციას ფედერაცია ამ დღეებში გამართავს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში.

## მხედრები ახალ წელს ბაქოში შეხვდებიან

ბაქოში, ზუსტად ახალი წლის წინ, 31 დეკემბრის საღამოს „გრან-პრის“ გათამაშებით დამთავრდება ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით „კავკასიის ლიგის“ 2011 წლის ბოლო მეექვსე ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში. საქართველოდან ოთხი მხედა-



რი (**ივანე ნორაკიძე, შალვა გაჩეჩილაძე, ცოტნე თავაძე, გეგი მეტონიძე**) ჩაებმება შეჯიბრებაში. თბილისიდან ცხენმზიდი ავტომანქანით მათთვის შვიდი მერანს ჩაიყვანენ აზერბაიჯანის დედაქალაქში.

## ნოვაცია მედიათა მიჯნაზე

უპრეცედენტო, სრულიად ახალი სიტყვა ქართულ მედია სივრცეში - ეს არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტელეჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტთა მიერ პროფესორ **პაატა ნაცვლიშვილის** შემოქმედებით სახელოსნოში მომზადებული ჟურნალი „ობორობა“, რომლის მეორე ნომრის პრეზენტაცია გასულ შაბათს გაიმართა თბილისის მოსწავლეთა სასახლეში.

მედიათა მიჯნაზე თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და შემოქმედების ეს ბრწყინვალე ნაზავი ანუ ორი მედიის - ბეჭდური ჟურნალისა და ინტერნეტის კავშირი, სიახლეთა თვალსაზრისით შესანიშნავი სახელმძღვანელოა თვით გამოცდილი ჟურნალისტებისთვისაც კი.



კონცეფცია, რეჟისურა და დიზაინი პაატა ნაცვლიშვილისაა, თავადაა რედაქტორიც.

საინტერესო ჟანრებით დახუნძლულ 232 გვერდიან გამოცემაში, ცხადია, სპორტიცაა წარმოდგენილი, კერძოდ - აფროსნობა, მისი განვითარების ისტორია საქართველოში და დღევანდელობა. დამწყები ჟურნალისტები ბევრ საინტერესოს ამოიკითხავენ **პეპი ბოჭორიშვილის** ინტერვიუში. პეპი „ლელოს“ ჟურნალისტი იყო. 1992 წელიდან კანადაში ცხოვრობს, გახდა მწერალი - ჯერჯერობით ხუთი წიგნი აქვს გამოცემული.

რუბრიკა მოამზადა
**თენგიზ თომაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. XI ტური

# გასროლა, აფეთქება, ფეიერვერკი

## საკალათბურთო ახალი წელი შაბათს დადგა



ოლიმპი-არმია



სტუ-სოხუმი

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გვესმის გასროლისა თუ აფეთქების ხმა. ჩინელები ხომ უხვად გვამარაგებენ ვითომ საბავშვო ასაფეთქებელი მოწყობილობებით. ზოგიერთი 1 იანვრის 00:00 საათამდე ვერ ითმენს, ფერად შუშხუნებს ისვრის და ნაადრევად ზეიმობს.

მათ რიგებს კალათბურთელებიც მიეკუთვნებიან: ახალ წლამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე სპორტის სასახლეში ისეთები ისროლეს და ისე იზეიმეს, 31 დეკემბრის ღამე გეგონებოდათ. ჩემპიონატის ფავორიტებმა, სატურნირო ცხრილში პირველ და მეორე ადგილზე მყოფმა „არმიამ" და „ოლიმპმა" გულშემატკივარს ისეთი „ფეიერვერკი" მოუწყვეს, წაგებული მხარეც კი კმაყოფილი დარჩა სანახაობით.

თავად განსაჯეთ: მატჩის ბოლო 8 წამში თითო გუნდის კალათში თითო სამქულიანი ჩავარდა, რაც უფრო საინტერესოა - მატჩი ერთქულიანი სხვაობით დასრულდა (63:62).

ტურის საუკეთესო კალათბურთელებად ოლიმპელი **ნიკიცა სკიუკა** (22 ქულა, 2-დან 2 ორქულიანი, 13-დან 6 სამიანი) და „არმიას" ფორვარდი **ჯერემი რიჩარდსონი** (12 ქულა, 5 მოხსნა) დავასახელეთ. რამ გადაგვაწყვეტინა ერთდროულად ორი კალათბურთელის გამორჩევა და რატომ ვაღიარეთ საუკეთესოდ 12-ქულიანი რიჩარდსონი, ქვემოთ წაიკითხავთ.

**24 დეკემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**ოლიმპი-არმია 62:63**

**15:18, 9:20, 25:16, 13:9**

**ოლიმპი:** გამყრელიძე (16ქ, 7მ, 11პ, 4ჩ), გულისაბედაშვილი, თავართქილაძე, მილუტინოვიჩი (12ქ, 12მ), ბერიშვილი (2ქ, 6მ), სლიუკა (22ქ), ტუტუსი (3ქ, 5მ), ჰოგერი (7ქ, 5მ).

**არმია:** რიჩარდსონი (12ქ, 5მ), ბაბიაშვილი (10ქ, 5მ), ბოისა (2ქ), კვიმსაძე, ტომასი (12ქ, 8მ), შელბომი (8ქ, 8მ), ვუდსაიდი (9ქ, 6მ, 7პ), საყვარელიძე (10ქ, 9მ, 4პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

ჯერ რიცხვები შევადაროთ: პირველ ტაიმში (20 წუთი) „ოლიმპმა" 24 ქულა ჩააგდო, მესამე პერიოდში (10 წუთი) კი - 25. ეს სტატისტიკაც ნათელყოფს, რომ პირველ მეოთხედში „არმიამ" დაცვაში დამაჯერებლად ითამაშა, შეტევაშიც ნორმალურად გამოიყურებოდა და დიდ შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით გავიდა. ამან „ოლიმპის" კალათბურთელები სათანადოდ გამოაფხიზლა.

*- მეორე ტაიმიდან თამაშიც დაცვაში გამოვასწორეთ და პერიმეტრიდანაც. პირველ ნახევარში სამქულიანებს ვერ ვაგდებდით, მეორეში კი ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა და სწორედ ამან მოგვცა დაწევის საშუალება,* - თქვა „ოლიმპის" კაპიტანმა **ლაშა გამყრელიძემ.**

თავის მხრივ, „არმიას" მეორე ტაიმში შეტევაში გაუჭირდა. ეს თვალშისაცემი მეოთხე პერიოდის დასაწყისში იყო, როცა **კოტე ტულუშის** შეგირდებმა 6-წუთიანი მონაკვეთი მშრალად ჩაატარეს. დაკვირვებულ მაყურებელს საქართველო-რუსეთის მატჩი გაახსენდებოდა, რომლის ბოლო მეოთხედის საწყის 5 წუთში რუსეთმა ქულა ვერ ჩააგდო. სხვათა შორის, რუსეთთანაც და „არმიასთანაც" საქართველოს ნაკრებისა და „ოლიმპის" დაცვას გამყრელიძე ხელმძღვანელობდა.

ასეთმა მშრალმა სერიამ კიდევ ერთი მატჩი გაგვახსენა: „არმიამ" გერმანიაში „გოტინგენთან" 18-ქულიან უპირატესობას მიაღწია, თუმცა მატჩის ბოლოს გერმანელები კინაღამ დაეწივნენ. შაბათს სიტყვა „კინაღამის" გამოყენება საჭირო არ იყო, რადგან „ოლიმპმა" 16-ქულიანი ჩამორჩენა მართლაც აღმოფხვრა და ბოლო წამებზე დრამაც გაათამაშა. ჯერ დასკვნითი 6 წუთის ქრონოლოგიას გავეცნოთ.

| | |
|---|---|
| 06:10 | ჰოგერი (ოლიმპი) 2/1 (52:56) |
| 04:33 | სლიუკა (ოლიმპი) 2ძ (54:56) |
| **03:13** | **ტომასი (არმია) 2ძ (54:58)** |
| 02:58 | სლიუკა (ოლიმპი) 3ძ (57:58) |
| 01:33 | მ. ბერიშვილი (ოლიმპი) 2/2 (59:58) |
| **01:17** | **შელბომი (არმია) 2ძ (59:60)** |
| 00:08 | სლიუკა (ოლიმპი) 3ძ (62:60) |
| **00:01** | **რიჩარდსონი (არმია) 3ძ (62:63)** |

ბოლო წამებმა კიდევ ერთი შეხვედრა გაგვახსენა - „არმია"-"ბეშიქთაში". მაშინ გადამწყვეტი ტყორცნა გამოცდილმა **დევიდ ჰოუკინსმა** ზუსტად შეასრულა და თურქებს გაამარჯვებინა. ამჯერად „არმიასთვის" ყველაფერი საპირისპიროდ განვითარდა: სირენამდე 8 წამით ადრე სლიუკას ზუსტი სამქულიანის შემდეგ მწვრთნელმა, კოტე ტულუშმა წუთშესვენება აიღო. ოლიმპელები გახარებულები შეიკრიბნენ სათადარიგოთა სკამთან. ძნელი წარმოსადგენი იყო, არმიელებს სამქულიანით ეცადათ თამაშის მოგება, უფრო სავარაუდო იყო ორქულიანზე წასულიყვნენ და მატჩი ოვერტაიმში გადაეყვანათ. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჯერემი რიჩარდსონის მეურვემ პერიმეტრზე ასვლა ვერ მოასწრო და **ვუდსაიდის** პასის შემდეგ ჯერემიმ გამარჯვების მომტანი სამქულიანი გამოიყენა. სწორედ ამ გასროლას მოჰყვა დიდი ემოცია და არმიელთა სიხარული.

მიხვდებოდით, მე-11 ტურში რიჩარდსონი და სლიუკა ტურის საუკეთესოებად ერთდროულად რატომ დავასახელეთ.

*- ამ შეხვედრას დიდი დატვირთვა ჰქონდა - წაგება არ შეიძლებოდა, რათა ცხრილში პირველი ადგილი შეგვენარჩუნებინა. ამის გამო ერთგვარი წნეხის ქვეშაც მოვექეცით, ბევრი შეცდომაც დავუშვით, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ისე დავასრულეთ, როგორც გვსურდა,* - აღნიშნა ჯერემი რიჩარდსონმა.

„ოლიმპის" თავკაცმა, **გია კაზანჯიანმა** ყურადღება მეოთხე პერიოდზე გაამახვილა:

*- დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ, ბოლო 10 წუთში ერთადერთი შეცდომა დავუშვით, რაც წაგებად დაგვიჯდა. ვულოცავ „არმიას" გამარჯვებას.*

პირველი წრის ჩემპიონის მწვრთნელი კოტე ტულუში:

*- ქომაგს ასეთი გულშემატკივრობისთვის მადლობას მოვახსენებ. ისედაც ლამაზი თამაში მათმა აქტიურობამ კიდევ უფრო დაამშვენა. ამ გამარჯვებით „არმია" ზამთრის ჩემპიონი გახდა. დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ მომავალ წელს რთული ბრძოლები გველის.*



დინამო-თსუ

**24 დეკემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**სტუ-სოხუმი 94:74**

**17:13, 19:22, 24:21, 34:18**

**სტუ:** თევზაძე, ჩაჩიბაია (20ქ), მაჩალაძე (13ქ, 5მ), ხანიაშვილი (8ქ, 3მ, 4პ), კობიძე, დეკანოიძე, ძიძიგური (14ქ, 3მ, 4პ), კორძაძე, ბერუაშვილი **(16ქ, 11მ, 4პ), ანთაძე (23ქ, 8მ, 3პ).**

**სოხუმი:** როგავა, კანკია (1ქ), ჩლაიძე (9ქ, 5მ), სორდია (11ქ, 3მ, 3პ), ათუაშვილი (8ქ, 6მ), ფაცაცია (28ქ, 12ქ, 5პ), გაფრინდაშვილი (7ქ, 4მ, 5პ), ქადარია (4ქ, 10მ), ჯგერენაია (6ქ, 6მ), ჯანაშია.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი

სტუ-სა და „სოხუმის" მატჩში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რა მნიშვნელობა აქვს გუნდის მწვრთნელის გემოვნებით შერჩევას. მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, სტუ-ს თავკაცმა **ზურაბ ტომარაძემ** სეზონის დასაწყისში სწორედ ისეთი შემადგენლობა შეკრიბა, როგორითაც საქართველოს ჩემპიონატში ღირსეულად წარმოჩინდებოდა. მის ხელში ყველა კალათბურთელი ბოლომდე გაიხსნა და ახალგაზრდული, სწრაფი სტუ-ს შეჩერება ბევრს უჭირს.

საპირისპიროდ, მწვრთნელთა შტაბში თუ შემადგენლობაში სეზონის დასაწყისიდან დღემდე დიდი ცვლილებები განიცადა „სოხუმმა", რომლის ახალ მწვრთნელ **რიმვიდას სამულენასს** თამაშის დასალაგებლად დრო სჭირდება. ამას დაერთო ერთ-ერთი ლიდერის, **ლაშა ფარლალავას** ტრავმა და „სოხუმმა" წრე სტუ-სთან მარცხით დაასრულა.

*- საზარდული მაქვს გაჭიმული და 2 კვირა იძულებითი დასვენება მომიწევს,* - გვითხრა ფარლალავამ.

მატჩის ოქმში საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა: „სოხუმმა" სტუ-ს მოხსნებში 54:40 აჯობა, თუმცა ეს უპირატესობა ფარქვეშიდან ჩაგდებულ ტყორცნებში ვერ ასახა - სამწამიანი ზონიდან სოხუმელებმა 30 ქულა მიითვალეს, სტუ-ელებმა - 42. შეტევის პირველივე ფაზაში დასრულებაში ტექნიკოსები მეტოქეზე ორჯერ უკეთესად გამოიყურებოდნენ: 32 სწრაფი ქულა 16-ის წინააღმდეგ.

**24 დეკემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**დინამო-თსუ 101:91**

**24:28, 20:17, 26:18, 31:28**

**დინამო:** ბაქრაძე (11ქ, 4მ, 5პ), ლეჟავა (5ქ), სანაძე (26ქ, 4მ), მარხვაშვილი (5ქ), კეიდია (4ქ, 4მ), ალხანაიძე (2ქ), ჯანგველაძე (4ქ), სუხიშვილი (3ქ), ნოელი (14ქ, 10მ), კარტერი (27ქ, 8მ, 5პ).

**თსუ:** ბერიშვილი (20ქ), ფანჩულიძე (3ქ, 6მ), კორკოტაძე (5ქ, 4მ), მარკოიშვილი (15ქ, 8მ, 3პ), ნინიაშვილი (21ქ, 12მ), ჩიტაშვილი (20ქ, 9მ, 11პ), ხიზანიშვილი, შერმადინი (2ქ, 4მ), მაისურაძე (5ქ, 3მ), ჩქარეული.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

სტუ-ს გამარჯვებამ თსუ-ს პირველი წრის მეექვსე ადგილზე დასრულების შანსი მოუსპო („დინამო" ისედაც ვერ ავიდოდა მეექვსემდე, რადგან ურთიერთშეხვედრაში ტექნიკოსებთან უარყოფითი ბალანსი აქვს). ასე რომ, „დინამოსა" და თსუ-ს ურთიერთშეხვედრას მეშვიდეადგილოსნის ვინაობა უნდა გაერკვია.

როგორც ცხრილის მეზობლებს შეშვენით, თამაშიც თანაბარი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ „დინამომ" მესამე პერიოდის შემდეგ მცირე უპირატესობა მოიპოვა (70:64) და მეოთხეშიც ინარჩუნებდა ფორას, თსუ-ელები ხან ჩვეული პრესინგით, ხან სწრაფი აფეთქებებით ცდილობდნენ თამაშის შემოტრიალებას, რაც საბოლოოდ ვერ მოახერხეს.

სტუდენტთა გამთამაშებელ **მიხეილ ჩიტაშვილს** სამმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა - 20 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა. დინამოელთა გამარჯვებაში კი 53-ქულიანი წვლილი ორმა კალათბურთელმა შეიტანა: **დუდა სანაძემ** 26 ქულა ჩააგდო, **კიენ კარტერმა** - 27.

მეორე წრე თებერვალში დაიწყება, იანვარში კი ქორქია-საკანდელიძის მემორიალი და საქართველოს თასი გველის. მანამდე საახალწლო ფეიერვერკებია.

**პირველი წრე**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 10 | 0 | 895/628 | 20 |
| 2. ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 879/758 | 18 |
| 3. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 799/715 | 18 |
| 4. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 832/786 | 16 |
| 5. შსს | 10 | 6 | 4 | 931/836 | 16 |
| 6. სტუ | 10 | 5 | 5 | 840/872 | 15 |
| 7. დინამო | 10 | 4 | 6 | 839/910 | 14 |
| 8. თსუ | 10 | 4 | 6 | 808/844 | 14 |
| 9. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 843/892 | 13 |
| 10. ბათუმი | 10 | 1 | 9 | 736/905 | 11 |
| 11. რუსთავი | 10 | 0 | 10 | 705/961 | 10 |

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# რევანში არ გამოვიდა


მამუკა გორგოძე (N 7)

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი წრის ბოლო, მეცამეტე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საპლეიოფო ექვსეულში ადგილი მხოლოდ ერთმა, "აჟენმა" დაკარგა. კვლავ აუტსაიდერთა შორისაა "ლიონი"- კიდევ ერთი "ქართული გუნდი".

ჩვენებურთა გუნდებიდან ყველაზე კარგი შედეგი **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონს" აქვს, რომელიც 44 ქულით მეორე ადგილზეა. "ვულკანებმა" მეცამეტე ტურში სტუმრად ითამაშეს **ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** "ბრივთან". მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა.

მასპინძლებმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში საუკეთესოები არიან დაცვაში თამაშში. "კლერმონმა", რომელიც პირველ დივიზიონში შედეგიანობით გამოირჩევა (საშუალოდ მატჩში ორი ლელო), „ბრივს" ლელო ვერ გაუტანა, თუმცა მატჩი მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა, ოღონდ ზუსტი საჯარიმოების წყალობით – 9:6.

შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმრებმა 6:3 მოიგეს. შესვენების შემდეგ "ბრივი" უპირატეობას დაეუფლა, თუმცა მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა შეძლო, რაზეც სტუმრებმა ასევე ერთით უპასუხეს. არადა, ბრიველებს თამაშის მოგებაც შეეძლოთ, თუმცა მხოლოდ ერთ პრემიალურ ქულას დაყაბულდნენ.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა შეცვალა, ნატრიაშვილმა მოედანზე 14 წუთით მეტი დაჰყო, ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

"კლერმონს" სამი ქულით უსწრებს და პირველ ადგილზეა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და ერთ-ერთი გრანდი "ტულუზი", რომელმაც სტუმრად შანსი არ დაუტოვა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "მონპელიეს" – 45:25.

მასპინძლებს ძალიან უნდოდათ, შარშან ფინალში განცდილი მარცხის გამო შური ეძიათ, თუმცა, როგორც ჩანს, ზედმეტმა მონდომებამ მათ თამაშს სერიოზული დაღი დაასვა. მონპელიელებმა მეტოქის შევიწროება ვერაფრით მოახერხეს, არადა, თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ირჯებოდნენ. არ იყო მხოლოდ გუნდის კაპიტანი **ფულენსე უოდრაოგო.**

ტულუზელთა რიგებში გამორჩეული იყო მგეზავი **ლიონელ ბუქსი**, რომელმაც არა მარტო ზუსტი დარტყმით, არამედ გონივრული თამაშითაც ჩვენებურთა გუნდს დიდი პრობლემები შეუქმნა. მან სამი არეკნი, ორი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო გაიტანა (28 ქულა).

გორგოძე, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, მატჩის არბიტრმა მე-14 წუთზე გაასინბინა. რაკში თამაშისას მას მეტოქის გარემარბი **ვინსენ კლერი** განზრახ ბინძურად ეთამაშა, რაც საქართველოს ნაკრების ლიდერმა არ აპატია და ფრანგთა ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი ხელიდან დიდი გაჭირვებით გამოსტაცეს. გორგოძე, როგორც ყოველთვის, თამაშისასაც აქტიური იყო, მაგრამ თანაგუნდელები ვერაფრით აიყოლია.

ჟღენტი თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო, ნარიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, შველიძე განაცხადში არ იყო. "მონპელიეს" ახლა 27 ქულა აქვს და VIII ადგილზეა.

მას 5 ქულით უსწრებს და VII ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** "აჟენი", რომელმაც მე-13 ტურში სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ "მეტრო რასინგთან" – 8:26. პარიზელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და პირველი ტაიმი 19:3 მოიგეს. ნათელი გახდა, რომ აჟენელები მეტოქესთან ვერას გახდებოდნენ და თავი დიდად არც მატჩის მეორე ნახევარში გამოუდვიათ.

შეყლაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

"აჟენს" სამი ქულით უსწრებს და IV ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** "კასტრი". ჩვენებურის გუნდმა უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა სტუმრად ბასკურ "ბაიონთან" და ფრეს დასჯერდა – 16:16.

აღსანიშნავია, რომ კასტრელებმა პირველ ტაიმში ბევრად უკეთ ითამაშეს. ჩვენებურის გუნდი მე-14 წუთისთვის 10:0-ს იგებდა. პირველი ნახევარი კი შვიდქულიანი უპირატესობით 13:6 მოიგო.

შესვენების შემდეგ მასპინძლები მთელი სიმძლავრით ამოქმედდნენ და 71-ე წუთისთვის უკვე 16:3 იგებდნენ. "კასტრი" მარცხს ფულბეკი **რომან ტულეს** საჯარიმომ გადაარჩინა.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს.

"კასტრს" ოთხი ქულით უსწრებს და მესამე ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** "ტულონი", რომელმაც შინ დიდი გაჭირვებით დაამარცხა **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** "ლიონი" – 20:15.

მასპინძლები, ცხადია, ფავორიტებად მიიჩნეოდნენ და მათ დიდი ანგარიშით გამარჯვებასაც უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა "ლიონმა" ბრჭყალები გამოაჩინა და მეტოქეს იოლად არაფერს უთმობდა. მატჩის პირველი ტაიმი ფრედ 9:9 დასრულდა. თუმცა მეორეში ტულონელებმა მაინც იმძლავრეს და სანადელს მიაღწიეს.

ქუბრიაშვილი და კავთიძე თამაშში ერთდროულად 52-ე წუთიდან ჩაერთნენ, მიქაუტაძეს, ჩილაჩავას და რატიანიძეს არ უთამაშიათ.

**I დივიზიონი**

**XIII ტური**

ბრივი-კლერმონი 6:9, ბაიონი-კასტრი 16:16, სტად ფრანსე-ბიარიცი 23:10, პერპინიანი-ბორდო 38:13, მეტრო რასინგი-აჟენი 26:8, ტულონი-ლიონი 20:15, მონპელიე-ტულუზი 25:45.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი – 47 ქულა, 2. კლერმონი – 44, 3. ტულონი – 39, 4. კასტრი – 35, 5. სტად ფრანსე – 34, 6. მეტრო რასინგი – 34, 7. აჟენი – 32, 8. მონპელიე – 27, 9. პერპინიანი – 25, 10. ბრივი – 23, 11. ბაიონი – 22, 12. ბორდო – 21, 13. ლიონი – 18, 14. ბიარიცი – 15.**

**XIV ტური**

**მონპელიე-მეტრო რასინგი, კასტრი-პერპინიანი, ბორდო-სტად ფრანსე, ლიონი-კლერმონი, აჟენი-ბრივი, ბირიცი-ტულონი, ტულუზი-ბაიონი.**


ვასილ კაკოვინი

დაბრუნება


ფრედერიკ მიშალაკი

# ფრედერიკ მიშალაკი საფრანგეთში ბრუნდება

საფრანგეთის ნაკრებისა და "ტულუზის" ყოფილი მგეზავი **ფრედერიკ მიშალაკი**, რომელმაც ერთი სეზონი სამხრეთ აფრიკაში, ზე რაგბის გათამაშებაში გაატარა, საფრანგეთში ბრუნდება. ამის თაობაზე ინფორმაცია ფრანგული კლუბის, **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** "ტულონის" ვებგვერდმა გაავრცელა.

*"ფრედერიკ მიშალაკთან უკვე სამ თვეზე მეტია მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა შევთანხმდით, რომ ის ჩვენთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 2003 წლიდან მოყოლებული ოცნებად მქონდა გუნდში ისეთი შესანიშნავი დუეტი მყოლოდა, მიშალაკი და ვილკინსონი რომ შექმნიან. პრობლემები კარიერაში "ვილკოსაც" ჰქონდა და, რაც ჩვენს კლუბში გადმობარგდა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ასე იქნება მიშალაკის შემთხვევაშიც, ყველაფერს ვილონებთ, რათა ის დიდ რაგბიში დაბრუნდეს"* - თქვა „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა.**

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა და "ტულონის" ამჟამინდელმა თავკაცმა **ბერნარ ლაპორტმა** ამ ამბავში სიცხადის შეტანა სცადა:

*"გუნდში უკვე გვყავს სამი მგეზავი, ვილკინსონი, გიტო და დუმორა. მიშალაკს ვეცდებით ცხრა ნომრის პოზიცია ავათვისებინოთ. საფრანგეთის ნაკრებში მწვრთნელობისას, ერთხელ ეს უკვე ვცადე, მაგრამ ფრედერიკი საამისოდ მზად არ იყო. ახლა მას ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრეს და, ვფიქრობ, ვილკინსონთან ერთად შესანიშნავ დუეტს შექმნის".*

შეგახსენებთ, რომ ფრედერიკ მიშალაკი 29 წლისაა და ეროვნულ გუნდში 54 კეპი აქვს მოხვეჭილი. გასული სეზონი მან სამხრეთაფრიკულ "ნატალ შარქსში" გაატარა.

ტესტები

# პუმებს ტესტები გაუორმაგდა

არგენტინის რაგბის კავშირმა ეროვნული ნაკრების მატჩების მომავალი წლის კალენდარი გამოაქვეყნა. შარშანდელთან შედარებით "პუმები" ორჯერ მეტ მატჩს გამართავენ. ეს კი ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ არგენტინის ნაკრები სამი ერის გათამაშებას მეოთხე ერად დაემატა.

არგენტინელები ოთხი ერის გათამაშებაში სამ მატჩს შინ გამართავენ, სამსაც სტუმრად. მეტოქეები კი პლანეტის სამი საუკეთესო გუნდი: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია იქნებიან. ცხადია, ამ გუნდებთან ყოველ წელიწადს ორ-ორჯერ თამაში არგენტინული რაგბის არნახულ პროგრესს გამოიწვევს. წინასწარი ინფორმაციით, ოთხი ერის მატჩებს ბუენოს აირესი უმასპინძლებს, თუმცა განიხილება ასევე ქალაქების, როსარიოსა და მენდოსას ვარიანტიც.

ამ ექვსი თამაშის გარდა "პუმები" კიდევ ექვს ტესტს გამართავენ. ივნისში არგენტინელები შინ ორჯერ დაუპირისპირდებიან საფრანგეთის ნაკრებს, იქამდე კი, ივნისის დასაწყისში, იტალიას უმასპინძლებენ.

ნოემბრის ტესტებისას "პუმები" ევროპას ეწვევიან და სამ შეხვედრას გამართავენ, უელსის, საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებთან.

**ივნისის ტესტები**

**9 ივნისი**

**არგენტინა-იტალია**

**16 ივნისი**

**არგენტინა-საფრანგეთი**

**23 ივნისი**

**არგენტინა-საფრანგეთი**

**ოთხი ერი**

**18 აგვისტო**

**სამ.აფრიკა-არგენტინა**

**25 აგვისტო**

**არენტინა-სამ.აფრიკა**

**8 სექტემბერი**

**ახ.ზელანდია-არგენტინა**

**15 სექტემბერი**

**ავსტრალია-არგენტინა**

**29 სექტემბერი**

**არგენტინა-ახ.ზელანდია**

**6 ოქტომბერი**

**არგენტინა-ავსტრალია**

**ნოემბრის ტესტები**

**10 ნოემბერი**

**უელსი-არგენტინა**

**17 ნოემბერი**

**საფრანგეთი-არგენტინა**

**24 ნოემბერი**

**ირლანდია-არგენტინა**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ბრედ მარშანი

# ბოსტონის რვა გასროლა

საკმაოდ საინტერესო მატჩი გაიმართა ნიუ არკში, სადაც ადგილობრივმა "დევილზმა" "ვაშინგტონს" უმასპინძლა. უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ, მასპინძლებმა მეორეში მეტოქის განადგურება დაიწყეს და პირველ ათ წუთში სამჯერ გამოიჩინეს თავი. მაგრამ დედაქალაქელებს დანებება არ უცდიათ და მესამე პერიოდში მათაც სამი უპასუხო შაიბა გაიტანეს. საქმე ბულიტების სერიამდე მივიდა, რომელშიც "ეშმაკებს" გამარჯვება **კოვალჩუკისა** და **ელიაშის** ზუსტმა დარტყმებმა მოუტანეს. "ნიუ ჯერსიმ" გაიმყარა მდგომარეობა აღმოსავლეთის პლეი ოფის ზონაში.

„ბოსტონმა" შეურაცხყოფა მიაყენა „ფლორიდას" - „დათვებმა" პანტერების" კარში რვა უპასუხო შაიბა გაიტანეს. **კლოდ ჟულიენის** შეგირდები მხოლოდ ფინალურმა სერიამ შეაჩერა. დაუჯერებელი თამაში აჩვენა „ბოსტონის" 23 წლის ფორვარდმა **ბრედ მარშანმა**, რომლის ანგარიშზე ჰეთ-თრიკი და ორი შედეგიანი პასი მოდის. ასევე შესანიშნავად გამოიყურებოდა მისი პარტნიორი შეტევით სამეულში **პატრის ბერჟერონი** - მისი მონაგარი გოლი და ორი შედეგიანი პასი იყო. სულ კი „ბოსტონის" ჰოკეისტებმა 23 ქულა დააგროვეს და მხოლოდ ოთხმა მოთამაშემ დატოვა მოედანი უქულოდ. აღვნიშნავთ მეკარე **ტუუკა რასკის** ბრწყინვალე თამაშს, რომელმაც 31 დარტყმა მოიგერია, სეზონში მეორე „შათაუტი" შეასრულა და თავის გუნდს ზედიზედ მეექვსე მატჩში მოაგებინა.

"ვინიპეგს" ჰქონდა თავის კონფერენციაში პირველ რვა გუნდში შესვლის შანსი, მაგრამ ეს საქმე "პიტსბურგთან" 1:4 წაგების გამო მომავლისთვის გადადო. "პიტსბურგი" მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა, რაზეც დარტყმების შეფარდებაც მოწმობს – 39:19 "პინგვინების" სასარგებლოდ, თუმცა მათ გადამწყვეტ უპირატესობას ბოლო პერიოდში მიაღწიეს. 1:1-ზე "პიტსბურგმა" ბოლო 20-წუთეულის პირველ ხუთ წუთში სამი შაიბა გაიტანა **ოდრეი პაველეცის** კარში. ამ სამი გოლიდან ერთი **ჯეიმს ნილს** ეკუთვნის, რომელმაც სეზონში თავისი მონაგარი 20 შაიბამდე აიყვანა. ზედიზედ მესამე მოგებით "პინგვინზი" მიუახლოვდა "რეინჯერსსა" და „ფილადელფიას" – ეს დუეტი მხოლოდ ორი ქულით არის წინ.

წარმატებული გამოვიდა NHL-ში **ნაზემ კადრის** დაბრუნება. 2009 წლის დრაფტის მეშვიდე ნომერს უკვე ზედიზედ მეორე მატჩია გოლები გააქვს, მისმა "ტორონტომ" კი 5:3 დაამარცხა "აილენდერსი". კადრის გარდა, კანადელთა რიგებში უნდა გამოვარჩიოთ **მაკარტურისა** და **კონოლის** წყვილი – მათ ოთხი ქულა მიითვალეს.

რაღაც მოიშალა "ნეშვილის" მექანიზმში. ბოლო სამ მატჩში ამ გუნდმა 15 შაიბა გაუშვა. დალასელებმა პირველ პერიოდში სამშაიბიანი ჰანდიკაპი შექმნეს. დარჩენილ 40 წუთში "ნეშვილმა" სცადა თამაშის გადარჩენა, მაგრამ რამდენიც გაუტანა მეტოქეს, ტეხასელებმაც იმდენივეთი უპასუხეს – 6:3.

თანაბარი გამოვიდა მატჩი „ფინიქსსა" და „სენტ ლუისს" შორის, რომელშიც „ბლუზმენებმა" გაიმარჯვეს - 3:2. „სენტ ლუისმა" შთამბეჭდავად ითამაშა შეტევაში - სულ რაღაც 18-ჯერ დაარტყა და სამი შაიბა გაიტანა. „ფინიქსი" აგრძელებს ბრძოლას პლეი ოფის ზონაში მოსახვედრად, „სენტ ლუისმა" კი დაიბრუნა მეორე ადგილი ცენტრალურ დივიზიონში, სადაც „დეტროიტი" დააქვეითა.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „კალგარიმ". ამჯერად „ფლეიმზმა" სტუმრად დაამარცხა „ვანკუვერი" - 3:1. ყველა გოლი მესამე პერიოდში გავიდა. „კალგარის" შვიდი დარტყმა ეყო იმისთვის, რომ სამჯერ აილო „კენაქსის" კარგი. შესანიშნავ ფორმაშია **კერტინ გლენკროსი**, რომელმაც შაიბა და საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში და ზედიზედ ხუთი მატჩია უქულოდ არ ტოვებს მოედანს, ამასთან, ბოლო ოთხ მატჩში ხუთი შაიბა გაიტანა.

ზედიზედ ორი მატჩი ჩაატარა „ლოს ანჯელესმა" ახალი მწვრთნელის **დერილ სატერის** ხელმძღვანელობით და მეორედ ბულიტების სერიაში მონაწილეობა მოუხდა. ამჯერად, „მეფეები" დამარცხდნენ „სან ხოსესთან". რა თქმა უნდა, ჯერ რთულია ახალი დამრიგებლის მუშაობის შეფასება, მაგრამ „კინგზის" თამაში შეტევაში მაინც და მაინც ვერ გვხიბლავს - 26 დარტყმიდან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

**ბოსტონი-ფლორიდა 8:0**

**4:0, 2:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 მარშანი-13 (პ. ბერჟერონი-20, საიდენბერგი-8), 2:0 ლუჩიჩი-12 (პ. ბერჟერონი-21, ჰორტონი-12), 3:0 პუიო-7 (კ. კელი-8), 4:0 საიდენბერგი-1 (კორვო-14, მარშანი-13), 5:0 გ. კემპბელი-3 (მარშანი-14, ფერენსი-12), 6:0 პ. ბერჟერონი-7 (ხარა-15, კრეისი-14), 7:0 მარშანი-14 (ხარა-16, სეგუინი-16), 8:0 მარშანი-15 (სეგუინი-17, მაკუეიდი-3).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 4:3 (ბ)**

**0:0, 3:0, 0:3, 0:0**

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-11 (ფოსტერი-4, ელიაში-17), 2:0 არბორნი-1 (ზაიაცი-1, კოვალჩუკი-16), 3:0 ენრიკე-9 (ტაორმინა-2, პარიზე-17), 3:1 ლეიჩი-8 (ვიდემანი-17, ოვეჩკინი-13), 3:2 ჩიმერა-12 (სიომინი-7), 3:3 ჩიმერა-13 (ლეიჩი-13, სიომინი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), ელიაში (ნიუ ჯერსი).

**აილენდერსი-ტორონტო 3:5**

**1:3, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 მაკარტური-10 (ტიმ კონოლი-10, ფანოფი-17), 0:2 კადრი-2 (გრაბოვსკი-8, გარდინერი-9), 0:3 გუნარსონი-1 (ტიმ კონოლი-11, მაკარტური-6), 1:3 ოკსოპო-6 (მოტო-2, ბეილი-7), 2:3 ნილსენი-5 (მოულსონი-12, პარენტო-21), 2:4 კრები-6 (ბოჟაკი-17), 3:4 ტავარესი-11 (პარენტო-22, ჰამონიკი-7), 3:5 ლუპული-16 (კესელი-21).

**რეინჯერსი-ფილადელფია 4:2**

**0:0, 2:0, 2:2**

**გოლები:** 1:0 სტეპანი-8 (ბიკელი-3), 2:0 ფედოტენკო-5 (ბიკელი-4, დუბინსკი-14), 3:0 გაბორიკი-21 (სტრალმანი-4, დელ ზოტო-14), 3:1 მეზაროში-5 (მ. კარლი-15, ჰარტნელი-16), 4:1 კელეჰანი-13 (ჟირარდი-10, დელ ზოტო-15), 4:2 ვან რიმსდიკი-9 (მეზაროში-7, რიდი-10).

**კაროლინა-ოტავა 2:1 (ო)**

**1:1, 0:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ნოდლი-2 (ნეში-1, მაკბეინი-11), 1:1 კუბა-3 (ფოლინო-11, ტარისი-3), 2:1 ტ. რუუტუ-12 (ჰარისონი-9, ი. იოკინენი-17).

**ვინიპეგი-პიტსბურგი 1:4**

**0:1, 1:0, 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიტალე-2 (პიკარი-4), 1:1 ბურმისტროვი-8 (ველერი-20, ე. კეინი-11), 1:2 ჯ. ნილი-20 (მალკინი-25, კუნიტცი-11), 1:3 ჯ. სტაალი-13 (კუნიტცი-12, სალივანი-12), 1:4 დუპუი-10 (ტაილერ კენედი-11).

**დალასი-ნეშვილი 6:3**

**3:0, 1:2, 2:1**

**გოლები:** 1:0 ფიდლერი-4 (დვორაკი-12, სურეი-12), 2:0 ლ. ერიქსონი-12 (დელეი-7, რაიდერი-10), 3:0 ოტი-6 (დელეი-8, რიბეირო-21), 3:1 ჰალიშჩუკი-7 (ჯოფრიონი-3, სმიტსონი-2), 3:2 ერატი-8 (რ. სატერი-19, შ. უებერი-21), 4:2 რიბეირო-5 (მოროუ-10, ოტი-11), 4:3 ლეგუანდი-10 (კ. უილსონი-14, კ. სმიტი-17), 5:3 ბენი-9 (ლ. ერიქსონი-18, რაიდერი-11), 6:3 რაიდერი-13.

**ფინიქსი-სენტ ლუისი 2:3**

**0:0, 1:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 სტინი-12 (პიეტრანჯელო-6), 1:1 დოუნი-9 (კორპიკოსკი-8, როუსივალი-2), 1:2 დ'აგოსტინი-7 (პოლაკი-8, გრაჩოვი-3), 1:3 არნოტი-7 (რასელი-3, დ'აგოსტინი-7), 2:3 იენდლი-5 (ტორეის-5, კ. ო'რაილი-4).

**კოლორადო-ტამპა ბეი 2:1 (ო)**

**0:1, 1:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 კუბინა-2 (ლეკავალიე-12, სან ლუი-14), 1:1 რ. ო'რაილი-8 (ო'ბრაიენი-11, ჰეიდუკი-14), 2:1 დუშენი-12 (ელიოტი-4, ლანდესკოგი-10).

**ვანკუვერი-კალგარი 1:3**

**0:0, 0:0, 1:3**

**გოლები:** 0:1 გლენკროსი-14 (იგინლა-14, ბოუმისტერი-12), 0:2 ბეკლუნდი-3 (სტემპნიაკი-7), 1:2 ჰამჰუისი-3 (ბიეკსა-14, ჰოჯსონი-11), 1:3 ო. იოკინენი-12 (იგინლა-15, გლენკროსი-10).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1 (ბ)**

**0:0, 1:1, 0:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 კუტური-15 (ქლოუ-15, მარლო-13), 1:1 მ. რიჩარდსი-13 (კოპიტარი-22, დაუტი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ქლოუ (სან ხოსე).

ფორმულა 1

# ფერარი პოლიტიკას სჯობს

ფიორანოში „ფერარის" ბაზაზე ჟურნალისტებთან შეხვედრისას, იტალიური საჯინიბოს პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორები პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით...

*„პოლიტიკაში წასვლა? არა, „ფერარიში" ვრჩები, თუმცა თავის დროზე აქ მოსვლისას ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე დიდხანს დავრჩებოდი გუნდის სათავეში. ამ 20 წლის განმავლობაში ბევრი სირთულე გადავიტანეთ, მაგრამ შესანიშნავ შედეგებსაც მივაღწიეთ როგორც სპორტული თვალსაზრისით, ასევე მენეჯმენტის მხრივ.*

*ფორმულა 1-ში წლევანდელი სეზონი ბევრი მიზეზით არ იყო ჩვენთვის პოზიტიური, მაგრამ დიდ იმედებს ვამყარებთ მანქანაზე, რომელსაც 3 თებერვალს წარმოგიდგენთ. ეს მართლაც ინოვაციური პროექტია, რომელშიც დიდი ყურადღება ექცევა ცალკეულ დეტალებს.*

*უკმაყოფილო ვართ წელს ფელიპე მასას გამოსვლით, თუმცა ეს ბოლომდე მისი ბრალი არ არის. ჩვენი მანქანის თავისებურებები არ შეესაბამებოდა მის სტილს - ეს უკვე პირველივე ტესტებისას ცხადი გახდა. თანაც „პირელის" საბურავი მისთვის მეტად ხისტი აღმოჩნდა. ვიცი, რომ თუ კონკურენტუნარიან მანქანას შევქმნით, მასა ძველებურად სწრაფი იქნება. გაისად ფელიპე გააგრძელებს კარიერას „ფერარიში", შემდეგ კი გადაწყვეტილებას მივიღებთ. ყოველთვის თვალს ვადევნებთ პილოტთა ბაზარზე არსებულ სიტუაციას, არჩევანი დიდია, მაგრამ დღეს ერთადერთი პრობლემა, რომელიც არ გაგვაჩნია - პილოტთა პრობლემაა.*

*ჰემილტონი? არ მგონია ღირდეს შეცდომის გამეორება და ერთ გუნდში ისევ ალონსოსა და ლუისის დუეტის აღდგენა. ფეტელი? სებასტიანი ჭკვიანი ახალგაზრდაა, მე კი, თუ არჩევანის საშუალება მაქვს, ყოველთვის გონებაგახსნილ პილოტს ვანიჭებ უპირატესობას. მაგრამ დღეს არ არსებობს პილოტი, რომელსაც ალონსოს შევადარებდი, რადგან ფერნანდო - უძლიერესი ავტომრბოლია. ჯენსონ ბატონმა შესანიშნავად ჩაატარა სეზონი - საინტერესო იყო მისი დუელის ხილვა ჰემილტონთან. სუსტი მანქანის მიუხედავად, როსბერგი მეორე წელია წარმატებით გამოდის, უებერი კი ყოველთვის კარგად ართმევს თავს სამუშაოს.*

*ედრიან ნიუის მოწვევა? მჯერა ჩვენი გუნდის ტექნიკური განყოფილების თანამშრომლების. როცა 1997 წელს ნიუის შევხვდით, მისი მეუღლე იტალიას, ფაქტობრივად, მესამე სამყაროს ქვეყნად აღიქვამდა. მაგრამ თუ ნიუი თავისუფალი იქნება და მისი ცოლიც შეიცვლის აზრს, რატომაც არა?! თუმცა იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს აეროდინამიკის როლი არც ისე მაღალი იქნება - დავიღალეთ იმ ბრძოლით, რომელშიც ყველაფერი აეროდინამიკურ მილში გატარებულ დროზეა დამოკიდებული.*

*მე ტესტების შემცირების მომხრე ვიყავი, მაგრამ, საბოლოოდ, ის მთლიანად გააუქმეს. საჭიროა შუალედური გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ გვაქვს „ფერარის" აკადემია, გვყავს რამდენიმე ნიჭიერი პილოტი და მაგრამ მე არ შემიძლია ისინი დავსვა კარტის ან GT-ის მანქანის საჭესთან. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ „რეალსა", „ბარსელონას" ვარჯიშს აუკრძალავენ? რატომ არ შეუძლია ფერარის" იმუშაოს ფიორანოსა და მუჯელოში? შედეგად, მოგვიხდა დიდი თანხების გაღება საბოლოო სიმულატორისთვის, რომელსაც მთელი შენობა უკავია.*

*მსოფლიო მორიგი კრიზისის პირასაა, საჭიროა სპონსორებთან აქტიური მუშაობა და ტესტები - ეს არის საინტერესო ღონისძიება, რომელსაც კომპანიებისა და კლიენტების მოზიდვა შეუძლია. ევროპაში ასობით ავტოდრომია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მათი გამოყენება.*

*მესამე მანქანა? არასოდეს მითქვამს, რომ „ფერარიმ" ან „მაკლარენმა" მესამე მანქანა უნდა გამოიყვანონ ტრასაზე. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ პატარა გუნდებს ესარგებლათ ჩვენი ბოლიდებით",* - ამბობს დი მონტეძემოლო.




ლუკა დი მონტეძემოლო

# გასწრება შუმახერისაა

„მერსედეს გრანპრის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტიკა - გერმანულ საჯინიბოში დაითვალეს - თითოეულმა პილოტმა რამდენი გასწრება შეასრულა 2011 წლის სეზონში. პირველი ადგილი დაიკავა „მერსედესის" წევრმა **მიხაელ შუმახერმა** - მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა 116 გასწრება შეასრულა - საშუალოდ რბოლაში 12.

თუმცა მოყვანილ ციფრებს პირობითი ხასიათი აქვს. საიდუმლო არ არის, რომ 2011 წელს ლეგენდარული გერმანელი არც ისე წარმატებით გამოდიოდა კვალიფიკაციაში, რბოლაში კი გაცილებით სწრაფად გამოიყურებოდა და ეს აძლევდა გასწრების საშუალებას. გარდა ამისა, შუმი რამდენჯერმე მოხვდა ავარიაში და შემდეგ დაკარგული პოზიციების დაბრუნება უხდებოდა - ამანაც დადებითად იმოქმედა მის სტატისტიკაზე.

ლიდერებს შორის მოხვდნენ აგრეთვე „ტორო როსო" და „ზაუბერი". ამ შემთხვევაშიც კარგი შედეგიანობა იმით იყო გამოწვეული, რომ ამ გუნდებში აქცენტს რბოლაზე აკეთებდნენ და ხშირად მსხვერპლად სწირავდნენ სასტარტო პოზიციას. „უილიამსის" წარმომადგენლები კი სხვადასხვა მიზეზის გამო რბოლას აუტსაიდერი გუნდების უკან იწყებდნენ და ესეც ხელს უწყობდა იოლ გასწრებებს.

მათ შორის, ვისი აღნიშვნა მართლაც შეიძლება, „მაკლარენის" პილოტი **ჯენსონ ბატონია**. მსოფლიოს ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** კი 27 გასწრებით ერთ-ერთი ბოლოა ამ სიაში. მართლაც, როცა მუდმივად პირველი ხარ ტრასაზე, უბრალოდ არავის გასწრება არ გიწევს.

**1. შუმახერი (მერსედესი) - 116**
**2. ბუემი (ტორო როსო) - 114**
**3. კობაიაში (ზაუბერი) - 99**
**4. ალგერსუარი (ტორო როსო) - 94**
**5. მალდონადო (უილიამსი) - 91**
**6. დი რესტა (ფორს ინდია) - 90**
**7. პერესი (ზაუბერი) - 87**
**8. ბარიკელო (უილიამსი) - 86**
**9. ბატონი (მაკლარენი) - 85**
**10. მასა (ფერარი) - 82**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# პაკმენი მეტოქეს ეძებს

როგორც ვებგვერდი BoxingScene.com იუწყება, პრომოუტერული კომპანია Top Rank მომავალი წლის ივნისისთვის აპირებს ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონის, 33 წლის ფილიპინელი **მენი პაკიაოსთვის** ბრძოლის ორგანიზებას. პრიორიტეტულ მეტოქედ ამავე წონაში WBC-ის ჩემპიონი, 34 წლის ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** სახელდება, მაგრამ მას სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს და ახლა პაკიაოს გუნდის წევრები სხვა მოწინააღმდეგის ძიებით არიან დაკავებული. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ, მეივეზერი ბრძოლებისთვის ათი კვირის განმავლობაში ემზადება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან მოასწროს ივნისის ჩხუბისთვის ფორმაში ჩადგომა, თუმცა ფლოიდისა და მენის ბრძოლა, შესაძლოა, ნოემბერში გაიმართოს.

Top Rank-ის ხელმძღვანელმა **ბობ არუმმა** ივნისში პაკიაოს შესაძლებელ მოწინააღმდეგედ შემდეგი მოკრივეები დაასახელა: მჩატე წონაში WBA-სა და WBO-ის ჩემპიონი, 38 წლის მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი**, რომელსაც პაკიაო სამჯერ შეხვედრია, პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონი, 31 წლის პუერტორიკოელი **მიგელ კოტო**, ვინც პაკიაოსთან მატჩრევანშს ითხოვს და პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, 28 წლის ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი**.

პაკიაოს მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** ამ სიას დაამატა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ისა და IBF-ის ჩემპიონი, 27 წლის ამერიკელი **ლამონტ პიტერსონი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბრიტანელი ვარსკვლავი **ამირ ხანი** დაამარცხა.

კალათბურთი

# დევისი და ლოპესი ორი თვე დაისვენებენ


ენდი როდიკი და ბაირონ დევისი

გაირკვა ლიგის ორი წამყვანი კალათბურთელის გამოჯანმრთელების ვადები. „ნიუ ჯერსი ნეტსის" ძირითადმა ცენტრმა **ბრუკ ლოპესმა** მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გადაიტანა. ამერიკული პრესის ცნობით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სავარაუდოდ, 23 წლის კალათბურთელის აღდგენის ვადა 6-8 კვირა იქნება. შეგახსენებთ, რომ ბრუკმა ტრავმა „ნიუ იორკთან" წინასასეზონო მატჩისას მიიღო.

ლოპესი „ნეტსმა" 2008 წლის დრაფტის მე-10 ნომრად აირჩია. გასულ სეზონში მისი სტატისტიკა 82 შეხვედრაში 20.4 ქულასა და 6.0 მოხსნას უდრიდა.

■ ■ ■

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ „ნიუ იორკ ნიქსის" ახალწვეულ **ბაირონ დევისს** ხერხემლის ტრავმა აწუხებს. როგორც ირკვევა, 32 წლის ვეტერანს ამ დაზიანების სამკურნალოდ დაახლოებით 8-10 კვირა დასჭირდება.

როგორც იცით, ამ სეზონის დაწყებამდე ეს კალათბურთელი შემადგენლობიდან დაითხოვა „კლივლენდმა" და შემდეგ დევისი თავისუფალი აგენტის სტატუსით „ნიუ იორკმა" აიყვანა.

# ბინუმს ერთი ჩამოაკლეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ "დეტროიტის" ფორვარდ **ჩარლი ვილანუევასა** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრის **ენდრიუ ბინუმის** დისკვალიფიკაციის ვადის შემცირების შესახებ გამოაცხადა. შეგახსენებთ, რომ "პისტონზის" 27 წლის კალათბურთელი ხუთი მატჩით იყო დასჯილი კლივლენდელ **რაიან ჰოლინზთან** ჩხუბისა და "კავალიერზის" გასახდელში შეჭრის მცდელობისთვის. იმის გამო, რომ ჩარლიმ უკვე გამოტოვა ერთი შეხვედრა, მას სეზონის სტარტზე კიდევ სამ მატჩში არ მოუწევს მოედანზე გასვლა, რადგან ერთი მატჩით შეუმცირეს სასჯელი.

იგივე მოხდა ენდრიუ ბინუმის შემთხვევაში. გასული სეზონის პლეი ოფში "ლეიკერსის" ცენტრს კონფლიქტი ჰქონდა დალასელ **ხუან ხოსე ბარეასთან**. ენდრიუსაც ერთი მატჩით შეუმცირეს დისკვალიფიკაცია, შესაბამისად, მას ახალი რეგულარულის სტარტზე ოთხი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ამბები

## პიეტრუსი ბოსტონში წავიდა

ფრანგმა ფორვარდმა **მიკაელ პიეტრუსმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ბოსტონ სელტიქსთან". ESPN-ის ინფორმაციით, პიეტრუსის ხელფასი 1.3 მილიონი დოლარი იქნებაა.

როგორც იცით, ეს კალათბურთელი რამდენიმე დღის წინ "ფინიქსმა" დაითხოვა შემადგენლობიდან – მიზეზად სამედიცინო ტესტის ჩაგდება დასახელდა. 29 წლის პიეტრუსმა შარშან, "სანზის" შემადგენლობაში 38 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.4 ქულა და 2.0 მოხსნა დააგროვა.

## იბენქსი ლეიკერსის სასტარტოში

რეგულარული სეზონის სტარტის წინ, "ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ სასტარტო შემადგენლობაში მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე კანდიდატურა შეარჩია. მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბრაუნმა** უპირატესობა მიანიჭა **დევინ იბენქსს**. ასე რომ, **მეტა უორლდ პისი (რონ არტესტი)** და **მეტ ბარნსი** სათადარიგოთა სკამიდან შევლენ მოედანზე.

*"ვეძებდით ისეთ მოთამაშეს, ვინც ამ პოზიციაზე სტარტიდანვე სტაბილურ თამაშს აჩვენებდა. ისეთი კალათბურთელი გვჭირდებოდა, რომელიც გუნდისთვის საჭირო მომენტში სტაბილურად ჩააგდებდა ბურთებს. სწორედ ამიტომაც ავირჩიეთ იბენქსი"*, - ასე ახსნა თავისი არჩევანი მაიკ ბრაუნმა.

## მექსიკელი ნიუ ორლეანში

ფორვარდი **გუსტავო აიონი** მესამე მექსიკელია, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს. უნივერსალურმა კალათბურთელმა, რომელიც ხშირად ცენტრის პოზიციაზეც მოქმედებს, "ნიუ ორლეანთან" გააფორმა კონტრაქტი.

შარშანდელ სეზონში 26 წლის მექსიკელმა ესპანეთის ჩემპიონატში 10 მატჩი ჩაატარა "ფუენლაბრადას" შემადგენლობაში. ამ მატჩებში ის საშუალოდ 15.9 ქულასა და 8.2 მოხსნას აგროვებდა.

## ოკლაჰომამ რობინსონი მოიშორა

სავარაუდოდ, სულ მალე "ოკლაჰომას" მცველი **ნეიტ რობინსონი** თავისუფალი აგენტი გახდება. ჩატენვების კონკურსის სამგზის გამარჯვებულის კონტრაქტი 2011-12 წლების სეზონის ბოლომდე იყო ძალაში და ამის სანაცვლოდ 4.5 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ კლუბი ამ ხელშეკრულების გაუქმებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ რობინსონი "ოკლაჰომაში" "ბოსტონთან" განხორციელებული ტრეიდის მეშვეობით გადავიდა. ნეიტი, რომელსაც NBA-ში დაახლოებით 400 მატჩი აქვს ჩატარებული, საშუალოდ 11.3 ქულას, 2.6 მოხსნასა და 2.6 შედეგიანი პასს აგროვებდა.

## ჰაუსი მაიამიდან გაუშვეს

"მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობამ მცველ **ედი ჰაუსთან** კონტრაქტის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. NBA-ის 2008 წლის ჩემპიონის ხელშეკრულება 2011-12 წლების სეზონის ბოლომდე მოქმედებდა, კალათბურთელის ხელფასი კი 1.4 მილიონ დოლარი იყო.

სულ ასოციაციაში გატარებული 11 სეზონის განმავლობაში ჰაუსი საშუალოდ 7.5 ქულასა და 1.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

## ჩერნოგორიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

წარსულში ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელი და გამოცდილი მწვრთნელი **ლუკა პავიჩევიჩი** ჩერნოგორიის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 43 წლის სპეციალისტმა ამ პოსტზე **დეიან რადონიჩი** შეცვალა, რომელმაც ჩააგდო ლიტვაში გამართული ევრობასკეტი – მან საკმაოდ ძლიერი ჩერნოგორია მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვერ გაიყვანა.

ადრე პავიჩევიჩი სათავეში ედგა ისეთ კლუბებს, როგორებიცაა "ჰემოფრამი", "პანიონიოსი" და "ალბა", მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ახალგაზრდულ ნაკრებებთან მუშაობისას მიაღწია – 2005 წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გასულ წელს კი უნივერსიადაზე გამარჯვება მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **შოტლანდია** | |
| ინვერნესი-აბერდინი | 2:1 |
| სტ. მირენი-რეინჯერსი | 2:1 |
| ჰართსი-მოზერველი | 2:0 |
| სელტიკი-კილმარნოკი | 2:1 |
| დანდი იუნ-ჰიბერნიანი | 3:1 |
| დანფერმლაინი-სტ. ჯონსტონი | 0:3 |
| **III დივიზიონი** | |
| ანენი-ბირუიკი | 2:2 |
| ქუიზ პარკი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ჰ) | 3:1 |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ფ-თ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ი-რ)-ირონი | 1:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბნეი სახნინი | 0:2 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ი-ქ) | 0:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | 1:1 |
| ჰაპოელი (ა)-ბეითარი | 1:1 |
| აშდოდი-მაკაბი (თ-ა) | 2:1 |
| **იაპონიის თასი** | |
| სერეზო-შიმიცუ | 2:2 პენ. 6:5 |
| ტოკიო-ურავა | 1:0 |
| ნაგოია-იოკოჰამა | 0:0 პენ. 3:4 |
| შონანი-კიოტო | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 106:104 |
| დალასი-მაიამი | 94:105 |
| **თურქეთი** | |
| ჰაჩეთეფე-ბეშიქთაში | 81:80 |
| ტრაბზონი-პინარი | 69:88 |
| ეფესი-ბადირმა | 80:56 |
| ოლინი-მერსინი | 86:81 |
| თოფასი-ანთალია | 90:73 |
| გალათასარაი-ტ. ტელეკომი | 82:75 |
| ბანვითი-ფენერბაჰჩე | 70:66 |
| ალიაგა-ერდემი | 72:74 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლევ პოპრადი-ატლანტი | 4:5 (ო) |
| დინამო (მნ)-სკა | 3:0 |
| ს. იულიაევი-ამური | 4:2 |
| ავტომობილისტი-დინამო (მ) | 2:4 |
| ტრაქტორი-ტორპედო | 2:0 |
| სპარტაკი-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| ვიტიაზი-ავანგარდი | 1:2 |
| აკ ბარსი-სიბირი | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (ნ) | 3:2 |
| სევერსტალი-იუგრა | 1:0 (ბ) |

TV პროგრამა

**26 დეკემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნაპოლი-ჯენოა.
**16:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტურის წინ.
**17:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. ჩელსი-ფულემი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. იუვენტუსი.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ბარსელონა.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-დორტმუნდი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჩიკაგო.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. გალათასარაი-ბარსელონა.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. არლეკინსი-კონახტი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მაიამი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. უიმბლდონი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ინგლისი.
**00:50** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-რეალი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-მილანი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
**21:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.

კალათბურთი. NBA. დეკემბრის კალენდარი

**25 დეკემბერი**

ნიუ იორკი-ბოსტონი
ლეიკერსი-ჩიკაგო
დალასი-მაიამი
ოკლაჰომა-ორლანდო
გ. სტეიტი-კლიპერსი

**26 დეკემბერი**

კლივლენდი-ტორონტო
შარლოტი-მილუოკი
ინდიანა-დეტროიტი
სან ანტონიო-მემფისი
ფინიქსი-ნიუ ორლეანი
საკრამენტო-ლეიკერსი
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ორლანდო-ჰიუსტონი
მინესოტა-ოკლაჰომა
დალასი-დენვერი
პორტლენდი-ფილადელფია
გ. სტეიტი-ჩიკაგო

**27 დეკემბერი**

ნიუ ჯერსი-ატლანტა
მაიამი-ბოსტონი
მილუოკი-მინესოტა
პორტლენდი-საკრამენტო
ლეიკერსი-იუტა

**28 დეკემბერი**

ტორონტო-ინდიანა
ატლანტა-ვაშინგტონი
ნიუ ორლეანი-ბოსტონი
სან ანტონიო-კლიპერსი
ფინიქსი-ფილადელფია
შარლოტი-მაიამი
დეტროიტი-კლივლენდი
მემფისი-ოკლაჰომა
დენვერი-იუტა
გ. სტეიტი-ნიუ იორკი

**29 დეკემბერი**

ორლანდო-ნიუ ჯერსი
ოკლაჰომა-დალასი
საკრამენტო-ჩიკაგო
ჰიუსტონი-სან ანტონიო
პორტლენდი-დენვერი
ლეიკერსი-ნიუ იორკი

**30 დეკემბერი**

შარლოტი-ორლანდო
ატლანტა-ნიუ ჯერსი
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
მემფისი-ჰიუსტონი
მილუოკი-ვაშინგტონი
კლიპერსი-ჩიკაგო
ინდიანა-კლივლენდი
ბოსტონი-დეტროიტი
მინესოტა-მაიამი
დალასი-ტორონტო
იუტა-ფილადელფია

**31 დეკემბერი**

ლეიკერსი-დენვერი
ჰიუსტონი-ატლანტა
ოკლაჰომა-ფინიქსი
გ. სტეიტი-ფილადელფია
დეტროიტი-ინდიანა
საკრამენტო-ნიუ იორკი
სან ანტონიო-იუტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# მარია სეზონს ვერ იწყებს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა** არ ითამაშებს წლის დასაწყისში ბრისბენის ტურნირზე, რომელსაც ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადების მთავარ ეტაპად განიხილავდა.

მარიამ აცნობა ტურნირის ორგანიზატორებს, რომ ფეხის ტრავმის შემდეგ ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და ასი პროცენტით მზად არ არის ახალი სეზონის დასაწყებად. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა შარაპოვამ 2011 წლის ბოლოს ჩინეთის ტურნირსა და WTA-ის წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში.

*„სამწუხაროდ, ტრავმის შემდეგ ბოლომდე მომზადებული არ ვარ. იმედი მაქვს, ავსტრალიის ღია პირველობის სტარტისთვის მოვასწრებ კორტზე დაბრუნებას“*, - განაცხადა შარაპოვამ.

# დებმა კაცებს მოუგეს

ამერიკელმა ჩოგბურთელებმა - **ვენუს** და **სერენა უილიამსებმა** საჩვენებელი მატჩები გამართეს პალმ-ბიჩზე. თავდაპირველად, მათ ერთეულთა შეხვედრები ჩაატარეს საკუთარ სპარინგპარტნიორებთან - **დევიდ უიტთან** და **საშა ბაჟინთან**. შემდეგ კი წყვილებშიც ეთამაშნენ მათ და ტაი-ბრეიკზე 7:4 დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის მსაჯი იყო ოლქის შერიფის თანაშემწე **ირა პეშკოვიჩი**. სხვათა შორის, მან გაფრთხილებაც კი მისცა ბაჟინს იმის გამო, რომ ის ძლიერად აწვდიდა.

მატჩის შემდეგ ვენუსმა 2012 წელს თავისი მთავარი მიზანი გაუმხილა ჟურნალისტს: *„ჯანმრთელი უნდა ვიყო ოლიმპიური თამაშებისთვის. ნებისმიერი სპორტსმენი ოცნებობს ოლიმპიადაზე. მოუთმენლად ველი, როდის წარვადგენ აშშ-სა და ჩემს ოლქს ლონდონში“.*

*„ვგრძნობ, რომ ასი პროცენტით ვარ მზად ახალი სეზონისთვის. შარშან ავსტრალიაში საერთოდ არ ჩავსულვარ და წელს ვაპირებ იქ დაბრუნებას“*, - ეს უკვე სერენა უილიამსის სიტყვებია.



# ჯოკოვიჩმა ეკიპი წააგო და BBC მოიგო

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მეორე ადგილი დაიკავა ფრანგულ გაზეთ „ეკიპის“ ვერსიით „წლის სპორტსმენის“ ნომინაციაში.

ჯოკოვიჩმა, რომელმაც წელს „დიდი სლემის“ სამი ტურნირი მოიგო, 699 ქულა დააგროვა და მხოლოდ არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ თავდამსხმელ **ლეო მესისთან** წააგო. გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა**.

1. ლეო მესი (არგენტინა) - 807 ხმა
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) - 699
3. სებასტიან ფეტელი (გერმანია) -255
4. ნიკოლა კარაბატიჩი (საფრანგეთი) - 221
5. კელი სლეიტერი (აშშ)
6. ტედი რინერი (საფრანგეთი)
7. სებასტიან ლოები (საფრანგეთი)
8. დირკ ნოვიცკი (გერმანია)
9. რიჩი მაკოუ (ზელანდია)
10. კეიდელ ევანსი (ავსტრალია)

■ ■ ■

ანალოგიური .გამოკითხვა ჩაატარა ბრიტანულმა ტელეკომპანია BBC-მ და აქაც პირველი სამეული „ეკიპის“ ანალოგიური იყო. ოღონდ, პირველ ადგილზე ჯოკოვიჩი გავიდა, მეორეზე - ფეტელი და მესამეზე - მესი.

ამ ნომინაციაში ყველაზე ხშირად სწორედ ჩოგბურთელები იმარჯვებენ, ფორმულა 1-ის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ლეგენდარულ ავსტრიელ **ნიკი ლაუდას** გაუმარჯვია შორეულ 1977 წელს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ალონსოს ახალი ქალი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, „ფერარის“ ესპანელმა პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** რომანი გააბა რუსული წარმოშობის შვეიცარიელ მოდელ - **ქსენია ჩუმიჩოვასთან**. ამ ინფორმაციას გერმანული ტაბლოიდები ავრცელებენ.

ჩუმიჩოვა ადრე „მის შვეიცარიის“ ტიტულის კანდიდატი იყო, ახლა კი წარმატებული მოდელი გახლავთ. წყვილი შეამჩნიეს შვეიცარიაში ერთ-ერთი კონცერტის დროს. როგორც რამდენიმე დღის წინ ვწერდით, ალონსომ და მისმა ყოფილმა მეუღლემ **რაკელ დელ როსარიომ** ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაშორება გადაწყვიტეს.

■ ■ ■

ამასობაში, ესპანელმა პილოტმა ფორმულა 1-ის ფინანსურ რეიტინგში გაასწრო მსოფლიოს ჩემპიონ **სებასტიან ფეტელსა** და ლეგენდარულ **მიხაელ შუმახერს**.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში ალონსო მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, ესპანელი 2011 წელს ყველაზე დიდი შემოსავლით დაიკვეხნის - მისი საბანკო ანგარიში 30 მილიონი ევროთი შეივსო.

მეორე ადგილზეა ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი**. „მაკლარენის“ პილოტმა, რომელმაც ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა, 16 მილიონი ევრო გამოიმუშავა.

მესამე და მეოთხე ადგილებზე მოდიან „მაკლარენისა“ და „ფერარის“ მეორე პილოტები - **ჯენსონ ბატონი** და **ფელიპე მასა**. მათ თავიანთი ქონება 9 მილიონი ევროთი გაზარდეს.

8-8 მილიონი მიიღეს გერმანელებმა, მიხაელ შუმახერმა, **ნიკო როსბერგმა**, სებასტიან ფეტელმა და ავსტრალიელმა **მარკ უებერმა**.



კრივი

# საკანი მეივეზერისთვის

როგორც იქნა, ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** ყოფილ შეყვარებულზე თავდასხმისთვის სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 34 წლის მოკრივე სასჯელს Clark County-ის ოლქის ციხეში მოიხდის. იქაურ საკნებში მოთავსებული არიან მოქალაქეები, რომლებმაც დანაშაული ლას ვეგასის ტერიტორიაზე ჩაიდინეს და მაქსიმუმ 365 დღე აქვთ მისჯილი.



მეივეზერს ციხეში 6 იანვარს, დილით მიიყვანენ. სავარაუდოდ, პირველ კვირას მოკრივეს მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დანარჩენ 3400 პატიმარს მოარიდებენ. ფლოიდი მოთავსებული იქნება ჩვეულებრივ კამერაში, რომლის ზომებია - 1.8X3 მეტრი. აქ არის საწოლი, ტუალეტი, უჟანგავი ნიჟარა, ბეტონის მაგიდა, იატაკზე დამაგრებული სკამი და ორი ვერტიკალური ფანჯარა.

მეივეზერს საშუალება აქვს ციხის დეპოზიტზე შეიტანოს ნებისმიერი თანხა და ამით შეიძინოს საკვები, ტკბილეულობა, საპონი და სხვა საჭირო ნივთები. შვიდ დოლარად ღირებული საკითხავი სათვალე - ყველაზე ძვირია იმ ნივთებიდან, რომლის შეძენაც პატიმარს შეუძლია. პატიმრობის პირველი კვირის განმავლობაში მეივეზერს ციხის ეზოში ერთი საათი სეირნობა ეკუთვნის. ყოფაქცევიდან გამომდინარე, მომავალში მან, შესაძლოა, რამდენიმე საათი ისეირნოს, იმ დროს, როცა სხვა პატიმრები თავიანთ საკნებში იქნებიან. კარგი ყოფაქცევის შემთხვევაში, მეივეზერს პატიმრობის ვადა, შესაძლოა, 60 დღემდე შეუმცირონ. ასეთ შემთხვევაში, მეივეზერი მარტის დასაწყისში გათავისუფლდება.

კალათბურთი

# ჩხუბი ჯორდანებისთვის

ამერიკის ქალაქ სიეტლში რეტრო სპორტული ფეხსაცმელებით ვაჭრობამ დიდი არეულობა და პოლიციასთან შეტაკებები გამოიწვია.

სპორტული ფეხსაცმელი - Nike Air Jordan, თავის დროზე, სპეციალურად ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის **მაიკლ ჯორდანისთვის** შეიქმნა. სწორედ ამ ფეხსაცმელების გაყიდვისას ატყდა მასობრივი ჩხუბი, რომელიც პოლიციამ სპეციალური საშუალებებით დაშალა.

აქცია სიეტლის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში გაიმართა, სადაც შაბათს დილით გასაყიდად გამოიტანეს სპორტული ფეხსაცმელები. ათასობით მყიდველი თავიდანვე ჩადგა რიგში, რომელიც ჰიპერმარკეტიდან რამდენიმე კილომეტრზე გაიჭიმა. რიგში რამდენიმესაათიანი დგომის შემდეგ მყიდველთა ნაწილი წყობიდან გამოვიდა და მაღაზიაში ძალით შეჭრა სცადა.

შედეგად, ატყდა ჩხუბი. ერთ მხარეს იდგნენ ისინი, ვინც უკვე შეიძინა სპორტული ფეხსაცმელი, აგრეთვე მაღაზიის პერსონალი და მეორე მხარეს - ისინი, ვისაც არ შეხვდა ნანატრი Nike Air Jordan. ჩხუბის ალსაკვეთად და წესრიგის დასამყარებლად პოლიციას ცრემლსადენი გაზისა და რეზინი ხელკეტების გამოყენებამ მოუწია.

აშშ-ის ინტერნეტმაღაზიებში Air Jordan-ის სპორტული ფეხსაცმელები 400 დოლარად იყიდება. მისი ოფიციალური ფასი 180 დოლარია.



